

ლიანლიანი



# ქორეოლის ეპოსის ქართული ვერსია

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი  
ИНСТИТУТ ВОСТОКОВЕДЕНИЯ им. акад. Г. В. ЦЕРЕТЕЛИ

№ 175 809/3

№ 216 356/3



Л. Г. ЧЛАИДЗЕ



**ГРУЗИНСКАЯ ВЕРСИЯ**

**ЭПОСА „КЕР-ОГЛЫ“**



ИЗДАТЕЛЬСТВО «МЕЦНИЕРЕБА»  
ТБИЛИСИ — 1978

ქოროლლის ეკონის

ქართული პერსონა



საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
მინისტროს  
საინფორმაციო ცენტრი

საგარეო ურთიერთობების მინისტროს საინფორმაციო ცენტრი

ნაშრომში შესწავლილია პოპულარული აღმოსავლური ეპოსის — „ქოროლის“ ქართული ვერსია, წარმოდგენილია ეპოსის საქართველოში შემოსვლისა და ქართული ვერსიის ჩამოყალიბების საკითხები, მოცემულია ქართული ვერსიის ანალიზი (ქართულ და რუსულ ენებზე).

ნაშრომში პირველად არის თავმოყრილი და გამოქვეყნებული ქართული ვერსიის ტექსტები მათი რუსული თარგმანით.

В работе изучена грузинская версия популярного тюркского эпоса «Кер-оглы», исследованы вопросы проникновения эпоса в Грузию и формирования грузинской версии. Здесь же дан анализ грузинской версии на грузинском и русском языках.

В труде впервые собраны и опубликованы тексты грузинской версии эпоса «Кер-оглы» с приложением их русского перевода.

რედაქტორი ს. ჯ ი ქ ი ა.



K 175-809  
3

## შესავალი

თურქულენოვანი ხალხების მდიდარი და მრავალფეროვანი ეპიკური მემკვიდრეობა კარგა ხანია იპყრობს ჩვენი თუ უცხოელი მკვლევარების ყურადღებას, რასაც ისიც აძლიერებს, რომ თურქულენოვანი ეპიკური თხზულებები, ელინური, ინდური, ირანული თუ შუასაუკუნეების, ევროპული ეპიკური თხზულებებისაგან განსხვავებით, ძველთაგანვე არ ყოფილა ჩაწერილი და ლიტერატურულად გადამუშავებული, იგი მრავალრიცხოვანი ვარიანტებით ცოცხლობდა სახალხო მთქმელ-შემსრულებელთა რეპერტუარში.

თურქულენოვანი ხალხები საუკუნეთა მანძილზე მსგავს საზოგადოებრივ-ეკონომიურ პირობებში ცხოვრობდნენ, მჭიდრო კონტაქტები ჰქონდათ ერთმანეთთან, მათ ეთნოგენეზშიც ბევრი საერთო კომპონენტი მონაწილეობდა, რაც განაპირობებდა არა მხოლოდ მსგავსი სიუჟეტებისა და მოტივების არსებობას ამ ხალხთა ეპოსში, არამედ ერთი და იმავე გმირის სახელთან დაკავშირებული ეპიკური ციკლების არსებობასაც (იხ. 73,247). ასეთ საერთო ეპიკურ თხზულებათაგან ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ქოროღლის ეპოსია, რომელიც გასცილებია თურქულენოვან ზეპირსიტყვიერებას, გადასულა მეზობელ ხალხებში და ეპიკური სიუჟეტის საერთაშორისო გავრცელების იშვიათი შემთხვევა მოუცია.

ქოროღლის ეპოსის სამშობლო აზერბაიჯანია, სადაც მისი შექმნა განაპირობა XVI—XVII საუკუნეების მძაფრმა სოციალურმა და პოლიტიკურმა ვითარებამ. აზერბაიჯანიდან შესულა იგი ამიერკავკასიისა და შუა აზიის ხალხებში და XVII ს-ის დასაწყისიდან XIX ს-ის შუა წლებამდე ჩამოყალიბებულა ეპოსის თორმეტამდე ნაციონალური ვერსია მრავალრიცხოვანი ვარიანტებით. ეს ვერსიებია: აზერბაიჯანული, სომხური, ქურთული, ქართული, თურქული, თურქმენული, უზბეკური, არაბული, ტაჯიკური, ყაზახური, თობოლურთათრული, ყარაყალფახური. ჩამოთვლილ ვერსიებს ორად აჯგუფებენ. ერთია უშუალოდ აზერბაიჯანულიდან მომდინარე ამიერკავკასიური და თურქული ვერსიები, მეორე — მცირეაზიური, რომელთა წყარო თურქმენული ვერსიაა (60,45).

ნაციონალურ ვერსიებს საერთო აქვთ ძირითადი სიუჟეტური ბირთვი, ბევრი სიმღერა, ჰყავთ საერთო გმირები, მაგრამ განსხვავდებიან სიუჟეტის შემდგომი დამუშავებით, ახალ-ახალი შტრიხებით გმირის სახეში და სხვა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ ყოველ ხალხს გარედან მიღებული სიუჟეტი საკუთარი ეპიკური ტრადიციის კვალობაზე გადაუმუშავებია. ამის შედეგად მივიღეთ ვერსიათა ერთიანი ჯაჭვი, რომლის ყოველი რგოლი წინ გადადგმული ნაბიჯია ქოროლის ეპოსის განვითარების გზაზე — აზერბაიჯანული ნახევრადისტორიული ლეგენდიდან უზბეკურ სადევგმირო ზღაპრამდე.

აზერბაიჯანული ვერსია არის დესთანის, რომლის თითოეული თავი შეიცავს ამა თუ იმ ეპიზოდს გმირის ცხოვრებიდან და სიუჟეტურად სუსტად უკავშირდება სხვა თავს, მათ თურქულენოვანი ეპიკური თხზულების ტრადიციული ფორმა აქვთ — პროზაულ ტექსტში ჩართულია ლექს-სიმღერები, თვით გმირთა პოეტური იმპროვიზაციები. სახალხო მთქმელ-შემსრულებლები ტექსტის პროზაულ ნაწილს რეჩიტატივით ასრულებენ, პოეტურს — საზის აკომპანიმენტით მღერაინ. აზერბაიჯანული ვერსიის პირველი ჩამწერის ა. ხოძკოს ცნობით, აღმოსავლეთში იყვნენ ქოროლის დესთანების მცოდნე სპეციალური აშუღები, რომელთაც „შაჰ-ნამე ხანებისა“ და „ყურან ხანების“ ანალოგიით „ქოროლლუ ხანებს“ უწოდებდნენ (69, VII).

აზერბაიჯანული ვერსია ე. წ. „ყაჩაღური ციკლის“ ნაწარმოებია, რომლის გმირი — „კეთილშობილი ყაჩაღი“ — იბრძვის უსამართლობისა და ძალმომრეობის წინააღმდეგ. ამ ვერსიით გმირის მამა — ხანის მეჯინბეთუხუცესი — ხანისათვის რემადან კვიცებს არჩევს, რომლებიც ზღვის რაშის ჩამომავალნი არიან, მაგრამ ძალიან უთვალადონი. ხანს კვიცები არ მოსწონს და მისი ბრძანებით მეჯინბეს აბრძავებენ, სვამენ მის მიერვე ამორჩეულ კვიცზე, მეორე კვიცსაც თან ატანენ და შინ ისტუმრებენ. მეჯინბეთუხუცესის 15 წლის ვაჟს — რუშანს ამის შემდეგ ქოროლი — 'ბრმის შვილი' შეერქმევა. ქოროლი და მამამისი დაზრდიან კვიცებს, რომელთაგან ერთი — ყირათი — გმირის გრძნეული თანაშემწე ხდება. ყირათზე ამხედრებული ქოროლი შურს იძიებს მამის დათხრილი თვალებისათვის, შემდეგ კი შემოიკრებს თავისავით თავზეხელაღებულ რაინდებს, დამკვიდრდება ჩამლიბელში, რომლის ლოკალიზაციასაც ხალხური ტრადიცია მრავალ ადგილას ახდენს აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოსა თუ მცირე აზიის ტერიტორიაზე, და რისხვად ევლინება ხანებს, ფაშებს, სულთანს, შაჰს, ექომავება ჩაგრულთ, ეხმარება ღარიბ-ღა-

ტაკთ. ქოროლის მრავალ ცოლთაგან ყველა ვერსიით უპირველესია თურქეთის სულთნის ასული ნიგარ ხანუმი, უახლოესი თანამებრძოლები — აივაზი, დემურჩოლი და ისა ბაღა. ეპიკური ტრადიციით, გმირი უშვილოა. მხოლოდ ზოგი ვარიანტით ჰყავს მას ვაჟი დერბენდელი ფაშას ასულთან. ვაჟი მამის უნახავად იზრდება და მათ შეხვედრას მოსდევს მამა-შვილის ბრძოლის პოპულარული ეპიკური ეპიზოდი.

თუ აზერბაიჯანული ვერსია დასაწყისი საფეხურია სახალხო გმირის იდეალიზაციისა და ჭერ კიდევ არ სცილდება „ნახევრადისტორიული ლეგენდის“ ჩარჩოებს, სხვა ნაციონალური ვერსიები უფრო მეტად იტვირთებიან ეპიკური მოტივებით.

პირველი ჯგუფის ვერსიათაგან აზერბაიჯანულთან განსაკუთრებულ სიახლოეს ქურთული ვერსია იჩენს (იხ. 70).

უფრო თვითმყოფადია სომხური ვერსია. იგი მთლიანად გალექსილია და იმღერება. სომხური ვერსიის სიმღერებს ორად ჰყოფენ: ერთია უშუალოდ აზერბაიჯანულიდან ნათარგმნი, მეორე — სომეხი აშუღების მიერ გადამუშავებული ან შეთხზული, რომლებშიც სომეხი აშუღების შემოქმედებითი ინიციატივა საკმაოდ შორს წასულა (52, 32).

თურქული ვერსია უახლოვდება აზერბაიჯანული ვერსიის იმ ვარიანტს, რომელიც ა. ხოძკოს ჩაუწერია სამხრეთ აზერბაიჯანში (76, 1—26; 109).

ქოროლის ეპოსის მეორე ჯგუფის ვერსიები თავს იყრიან თურქმენული ვერსიის ირგვლივ. თურქმენული კი უშუალოდ აზერბაიჯანულ ვერსიას უკავშირდება, რაც აზერბაიჯანელი და თურქმენი ხალხის ეთნიკური და ენობრივი სიახლოვის შედეგია. უფრო მეტიც, თვლიან, რომ ქოროლის ეპოსი თურქმენი და აზერბაიჯანელი ხალხების ერთიანი შემოქმედების პროდუქტია (67, 42). თურქმენული ვერსიის თავები (თურქმენულად *шаха*) საკმაოდ ვრცელი დესთანებია, რომლებშიც აზერბაიჯანულის „კეთილშობილი ყაჩაღი“ დიდებული გვარის ჩამომავლად, თავისი ტომის ბელადად ქცეულა. თურქმენულშივე ჩნდება ლეგენდა გმირის დაბადებისა მკვდარი დედის მუცლიდან და მისი სახელის გააზრება, როგორც *Gür oğlu* 'საფლავის შვილი'.

უზბეკურ ფოლკლორში 'გურუგლის' სახელის გარშემო მოხდა ვრცელი დესთანების გენეალოგიური ციკლიზაცია, რაც გურუგლის შვილებისა და შვილთაშვილების ამბებით სრულდება. უზბეკური ეპოსის გმირი დიდებულთა შთამომავალია, უტოპიური ქვეყნის,



ჩენლიბელის მმართველი ბეგი, სახალხო ომების მხედართმთავარი ძალზე ფანტასტიკური თავგადასავლით (61, 225—265).

მეზობელი ხალხებიდან შესულა ქოროღლის ეპოსი ტაჯიკურ ფოლკლორში და მისი ორგანული ნაწილი გამხდარა (56, 253—259).

მიაჩნიათ, რომ უზბეკური ფოლკლორიდან უნდა მიეღოთ ქოროღლის ეპოსი ბუხარელ არაბებსაც, რომელთაგან არაბული ვერსია პირველად ჩაიწერა აკად. გ. წერეთელმა (91, 253—259). უზბეკური ვერსიაა ყაზახურის წყაროც. ამ ეპოსს დიდი ადგილი უკავია ყაზახი აკინების რეპერტუარში. თურმე, ცნობილი აკინი ჯამბული „ქურუ-გილი სულთანს“ მთელი თვის განმავლობაში მღეროდა. მარტო ჯამბულის ვარიანტის 1750 სალექსო სტრიქონია ჩაწერილი (67, 235).

ქოროღლის ეპოსის ფრაგმენტი (სამი ეპიზოდის შემცველი) ჩაწერილია ტობოლსკელ თათრებში (75, 258).

თურქმენულიდან შესულად მიაჩნიათ ეპოსი ყარაყალფახურ ფოლკლორში (81, 25—31).

ქოროღლის ეპოსის ნაციონალურ ვერსიათა უმეტესობა რამდენჯერმეა გამოცემული და მეტ-ნაკლებად შესწავლილი, რასაც ვერ ვიტყვით ქართულ ვერსიაზე, რომლის ერთადერთ პუბლიკაციად დღემდე რჩება აკად. ნ. მარის მიერ 1911 წელს გამოქვეყნებული „ქოროღლის ექია“<sup>1</sup> (72, 55—70).

ქოროღლის ეპოსის ქართული ვერსიის შესწავლა პირველად დასახეს მიზნად პროფესორებმა მ. ჩიქოვანმა და ს. სერებრიაკოვმა მოხსენებაში «Сказание о Кероглу и Ашуг Гарибе в грузинском фольклоре», რომელიც წარდგენილი იყო 1965 წ. ბაქოში გამართულ სესიაზე (95, 240), მაგრამ, რასაკვირველია, სასესიო მოხსენება ვერ გასწვდებოდა ქართული ვერსიის მრავალ ვარიანტს და მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

ქართული ვერსიის შედარებით სრულად შესწავლას ისახავდა მიზნად აზერბაიჯანელი მეცნიერის ფ. ფაჰრადოვის სადოქტორო დისერტაცია «Закавказская версия эпоса Кероглы». ვერ გამოვლდებოთ შრომის დაწვრილებით ანალიზს, შევჩერდებით მხოლოდ ზოგიერთ საჩოთირო დებულებაზე, რომელიც გვხვდება V თავში «Эпос Кероглы у грузин» (88, 56 — 74). ამ თავში, ავტორის განცხადებით, განხილულია ეპოსის ნიმუშები, შეკრებილი საქართველოს სხვადასხვა კუ-

<sup>1</sup> იგივე ტექსტი, შიგ ჩართული თურქული სიმღერების გამოკლებით, გადმობეჭდილია შიგნში: ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, 1, თბ., 1961, გვ. 383-388.

თხეში «на азербайджанском, абхазском и аджарском языках» (88,56). რომ აღარაფერი ვთქვათ „აქარულ ენაზე“, შრომა ვერ გვიხსნის, თუ რა მიმართებაშია აზერბაიჯანულ და აფხაზურ ენებზე საქართველოში ჩაწერილი ვარიანტები ქართულ ვერსიასთან, ანდა რატომ არის ეს ვარიანტები ქართველთა საკუთრება?

მართალია, ქართველებმა, რომელთაც ემეზობლებიან საქართველოს ტერიტორიაზე მოსახლე აზერბაიჯანელები, ზოგჯერ იციან აზერბაიჯანული ენა და ამ ენაზე შექმნილი ფოლკლორის ნიმუშები, მათ შორის ქოროლლის სიმღერებიც, მაგრამ ეს სიმღერები მხოლოდ და მხოლოდ აზერბაიჯანული ვერსიის ფრაგმენტებია. იგივეა ავტორის მიერ მითითებული ქართული ტრანსკრიფციით ჩაწერილი ქოროლლის სიმღერებიც, რომელთაც ჩვენის მხრივ დავეუმატებთ საიათნოვას აზერბაიჯანული ლექსების დავთარში შეტანილ ქოროლლის თოთხმეტ სიმღერას. ეს დავთარიც ქართული ტრანსკრიფციით შეუდგენია საიათნოვას შვილს ივანე სეიდოვს (30, 61), მაგრამ ქართული ტრანსკრიფცია მცირე საბუთია იმისათვის, რომ ჩანაწერი ქართველთა საკუთრებად მივიჩნოთ (როგორც ამას ფ. ფაჰრადოვი აკეთებს). ცნობილია, რომ აზერბაიჯანული პოეზიის ნიმუშების ჩასაწერად ხშირად მიმართავდნენ ხოლმე ქართულ ანბანს არაქართველნიც, რამეთუ არაბული ანბანი დიდ სიძნელეს ქმნიდა თურქულენოვანი ტექსტების ჩასაწერად (დიდი აზერბაიჯანელი პოეტების ვიდადისა და ვაგიფის ლექსებიც კია ქართული ტრანსკრიფციით ჩაწერილი (იხ. 54, 130, 140).

ხოლო თუ „აზერბაიჯანულ ენაზე შეკრებილ მასალაში“ ივულისხმება ჩვენში მცხოვრებ აზერბაიჯანელთაგან ჩაწერილი ნიმუშები, მაშინ უნდა გავიხსენოთ, რომ ქოროლლის ეპოსის ნაციონალურ ვერსიათა კლასიფიკაციის მიღებული პრინციპის თანახმად, ისინი აზერბაიჯანული ვერსიის ვარიანტები იქნება და არა ქართულისა (აკად. გ. წერეთლის მიერ უზბეკეთში მცხოვრებ არაბებში მიკვლეული ვერსია უზბეკურად არავის მიუჩნევია). ასე რომ, საკუთრივ ქართული ვერსიის შესასწავლად ფ. ფაჰრადოვს რჩება ნ. მარის პუბლიკაცია და ხუთიოდე ჩანაწერი. მათ შორის ვაზ. „Кавказ“-ში გამოქვეყნებული „Кере-оглы (предание)“ (64), რომელიც შინაარსით ძალიან ახლოს დგას ა. ხოძკოს მიერ გამოცემულ ტექსტთან (69), და რომლის ქართულობისათვის არავითარი საბუთი არ არსებობს.

„აფხაზურ და „აქარულ“ ენებზე შეკრებილ ნიმუშებს“ ავტორი განიხილავს „V თავის ორ დამოუკიდებელ ნაწილში“ (88,63). აქ აფხა-

ზურ ენაზე ჩაწერილად წარმოგვიდგენს 1936 წ. სოხუმის მანკობ-  
ლად ჩაწერილ რამდენიმე ლაზურ ვარიანტს (88, 63—64). სხვაგვარად არც იყო მოსალოდნელი: აფხაზური ზეპირსიტყვიერება ქო-  
როლლის ეპოსს არ იცნობს<sup>2</sup>. „აქარულ ენაზე“ ჩაწერილი მასალა კი  
მალევე უერთდება „ახალციხელებს შორის გავრცელებულ ნიმუ-  
შებს“ (88, 63) და გვაძლევს აშუღ ყოშაევის რეპერტუარში შემავალ  
„აქარულ-ახალციხურ ვარიანტს“. ოღონდ გაუგებარი რჩება, რა ნიშ-  
ნით ერთიანდება ეს ვარიანტები, ან რა ენაზეა ყოშაევის ვარიანტი  
(ქართულზე თუ სომხურზე).

აფხაზური და აქარული მასალის შესწავლა უფლებას აძლევს ავ-  
ტორს დაასკვნას, რომ ქოროლლის გმირობის ამბავი მეტად პოპულარ-  
ული ყოფილა დასავლეთ საქართველოში და «они также составляли  
один из любимейших и популярных репертуаров местных скази-  
телей и ашугов, которые воспевали их как на родном, так и на  
грузинском языках...» (88, 63). იქვე ვკითხულობთ: «В диссертации  
рассматриваются и другие эпические сказания о Кероглы, известные среди  
аджарцев, а также близким к ним народностям» (88, 66).

აქვე აქარული მასალა შედარებულია უზბეკურთან და ერთი  
სიტყვითაც კი არ არის ნახსენები თურქული ვერსია, რომელთანაც  
უფრო მოსალოდნელი იყო აქარული, იმერხეული თუ ლაზური ვა-  
რიანტების სიახლოვე. იქამდე ვერიდება ფ. ფაპრადოვი თურქული  
ვერსიის ხსენებას, რომ ნ. მარის „ქოროლლის ექიაში“ ჩართულ სიმ-  
ღერებსაც აზერბაიჯანულად აცხადებს (88, 59).

ვფიქრობთ, უზერხულიც კია ვამტკიცოთ, რომ „საქართველოს  
დასავლეთ რაიონებში“ აქარასა და აფხაზეთს გარდა სხვა კუთხეებიც  
იგულისხმება, და რომ ზოგიერთ მათგანში ქოროლლის სახელი არც  
კი სმენიათ, რომ არ არსებობს „აქარული ენა“ და „აქარელი ხალხი“. რაც  
შეეხება დასავლეთ საქართველოს აშუღებს, რომლებიც ქორო-  
ლლის სიმღერებს „მშობლიურ და ქართულ ენებზე ასრულებდ-  
ნენ“, ამის შესახებ დავძენთ: დასავლეთ საქართველო არ იცნობს  
აშუღებს — არც ადგილობრივთ და არც მოსულთ. აქარაშიც კი  
აშუღები სამხრეთ საქართველოს გამაჰმადიანებული პროვინციები-  
დან მოდიოდნენ<sup>3</sup>.

<sup>2</sup> ცნობა მოგვაწოდა აფხაზმა ფოლკლორისტმა ფილ. მეც. კან. შ. სალაყაიამ.

<sup>3</sup> აქარელი კაცი აშილად (აშუღად) არ უწევდოდა. შავშეთიდან ვადმოსული იყ-  
ვენ მაგენი ვნ ჩოლი (უმეტესობა) — გვითხრა 1964 წ. ცნობილმა აქარელმა მეჭიბო-  
ნემ 80 წლის სელიმ გელაძემ (სოფ. ლურტა).

ჩვენი აზრით, მოტანილი მაგალითებიც საკმაოა იმის ნათელსაყოფად, თუ რა დონეზეა შესწავლილი ქოროღლის ეპოსის ქართული ვერსია ფ. ფაპრადოვის შრომაში.

თურქმენი მეცნიერის ბ. ა. კარიევის მონოგრაფიაში «Эпические сказания о Кер-оглы у тюркоязычных народов (65) წარმოდგენილია არა მხოლოდ თურქულენოვანი, არამედ ყველა, დღემდე მიკვლეული ვერსია. ბ. ა. კარიევის ნაშრომს ვრცელი რეცენზია უძღვნა აკად. ვ. მ. ჟირმუნსკიმ (62, 108), ორიოდ სიტყვით ჩვენც აღვნიშნეთ მისი ღირსება-ნაკლოვანებები (97, 339), ამიტომ აქ აღარ გავიმეორებთ მის ანალიზს და ვიტყვით მხოლოდ, რომ მასში ქართული ვერსია საკმაოდ სქემატურად არის წარმოდგენილი. ეს იმან განაპირობა, რომ ქართული ვერსია საერთოდ შეუსწავლელია და შრომის ავტორს მხოლოდ ნ. მარისა და გ. შაიშმელაშვილის პუბლიკაციებზე მიუწვდებოდა ხელი.

ბ. ა. კარიევს არცა აქვს პრეტენზია თავის შრომაში ქართული ვერსიის შესწავლის საქმე დამთავრებულად თუ არა, დაწყებულად მაინც წარმოადგინოს და წერს: «Грузинская версия Кер-оглы далеко не собрана и не изучена. Поэтому ее дальнейшее исследование является одной из очередных задач советских фольклористов» (65, 61).

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს შეძლებისდაგვარად შეაგნოს ქოროღლის ეპოსის ქართული ვერსიის შესწავლაში არსებული ხარვეზი, გაარკვიოს ამ ეპოსის ადგილი ქართულ ზეპირსიტყვიერებაში და აღნიშნოს, თუ რა წვლილი შეიტანა ქართულმა ვერსიამ ეპოსის საერთო აღმოსავლურ ტრადიციაში.

ვეყრდნობოდით რა აკად. ვ. მ. ჟირმუნსკის საპროგრამო დებულებას იმის თაობაზე, რომ ქოროღლის ეპოსის შესწავლაში „არანაკლებ მნიშვნელოვანია ნაციონალურ ვერსიათა ტექსტების აღდგენა და ვარიანტთა მკაცრი დიფერენციაცია“ (62, 108), შევეცადეთ ჩვენს ხელთ არსებული ჩანაწერების საფუძველზე წარმოგვედგინა ქართული ვერსიის ტექსტი, თუმცა, აქვე დავძენთ, რომ სავსებით მოსალოდნელია, შემდგომმა კვლევამ ახალ-ახალი თავები შემატოს ამ ტექსტს.

\*\*\*

ქოროღლის ეპოსის ფრაგმენტები ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში ჩაუწერიათ. ეს არის სომეხი ვაჭრის ელიას მუშელიანის 1721 წლით დათარიღებულ რვეულში სომხური ტრანსკრიფციით

ჩაწერილი 13 აზერბაიჯანული სიმღერა. აქვეა ცნობა გმირის ცინაობის შესახებ (52, 28); შემდეგ ჩანაწერად მიიჩნევენ პოეტ ანდალიფ გარაჯადაღლის მიერ შედგენილ აზერბაიჯანული პოეზიის კრებულში შეტანილ ქოროლის სიმღერებს (99,4).

1823 წელს საიათნოვას შვილს ივანე სეიდოვს მამამისის აზერბაიჯანული ლექსების დავთარი შეუდგენია და მასში ქოროლის სიმღერებიც შეუტანია (30, 23).

XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა საერთოდ ძლიერდება დაინტერესება ხალხური შემოქმედებით და ხალხური სიტყვიერება კავკასიაშიც ყურადღების საგანი ხდება, ქოროლის სახელი, მასთან დაკავშირებული ეპოსის ფრაგმენტები ჩნდება რუსული პრესის ფურცლებზე, იწყება მისი პოპულარიზაციის ცდები. ერთ-ერთი ასეთი ცდა იყო 1840 წელს პოლონელი მწერლის ი. შოპენის მიერ სამხრეთ აზერბაიჯანში სომეხი თარჯიმნის დახმარებით ჩაწერილი ქოროლის დესთანის რუსული თარგმანის გამოქვეყნება პეტერბურგში (98). ი. შოპენის პუბლიკაცია არის აზერბაიჯანული ვერსიის რომანტიკულ ფერებში გადმოცემა. ფიქრობენ, თვით ი. შოპენის მიერ უნდა იყოს შეთხზული შესავალი—აზერბაიჯანის მთების დიდებული პეიზაჟები და ფინალი — ქოროლის მიჯნური ქართველი ქალის სიკვდილი და ქოროლის შურისძიება.

მართალია, ი. შოპენის მიერ გამოქვეყნებული ეს, როგორც უწოდებენ „ბაირონიზებული ლეგენდა“, ხალხური ეპოსის პუბლიკაციად ვერ ჩაითვლება, მაგრამ მისი მნიშვნელობა მაინც დიდია, რამეთუ მან მკითხველთა ფართო წრეებში გაიტანა ეპოსის შინაარსი და მისი გმირის სახელი.

ამავე წლებს განეკუთვნება ქოროლის ეპოსის წმინდა ფოლკლორული ჩანაწერის გაჩენა — რუსეთის კონსულმა ა. ხოძკომ სამხრეთ აზერბაიჯანში ჩაიწერა ეპოსის 13 თავი (მეჯლისი). ამ ჩანაწერის ორიგინალი საფრანგეთის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება, ნუსხა — სტამბოლის თურქოლოგიურ ინსტიტუტში (102, 13).

ა. ხოძკოს ჩანაწერის ინგლისური თარგმანი გამოქვეყნდა 1942 წ. ლონდონში (107). ამ წიგნმა ევროპელ მკითხველს გააცნო აღმოსავლეთის გმირის რომანტიკული თავგადასავალი. ნაწყვეტები ამ წიგნიდან მალევე უთარგმნიათ გერმანულად და გამოუციათ იენაში (1843 წ.), ცოტა მოგვიანებით — ფრანგულად (1855 წ.) (იხ. 102, 13).

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა ეპოსის შესწავლაში და მის პოპულარიზაციაში იყო ა. ხოძკოს წიგნის რუსული თარგმანის გამოცემა თბილისში 1856 წ. (69). წიგნს წამძღვარებული აქვს შესავა-

ლი წერილი, რომელიც ეხება გმირის ვინაობას, მის პოპულარობას. გმირი მიჩნეულია პოეტად, ეპოსი კი — მის პოეტურ იმპროვიზაციად.

თბილისურმა გამოცემამ არა მხოლოდ გააცნო ქოროლლის ეპოსი მკითხველთა ფართო მასებს, არამედ მიაპყრო მასზე ლიტერატურული წრეების ყურადღება და, შეიძლება ითქვას, დასაბამი მისცა ჩვენში მის მეცნიერულ შესწავლას. ნათქვამის დასასაბუთებლად გამოდგება ის გამოხმაურება, რაც თბილისურ გამოცემას გამოუწვევია იმავე წლის რუსულ პრესაში. მართალია, რეცენზიები ზოგჯერ ცალმხრივია და ტენდენციური, მაგრამ მის გამოსვლას ყველა რეცენზენტი მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნევს (82, 972).

იმავე წელს, ჟურნალ „Современник“-ის სარედაქციო წერილში ქოროლლის ეპოსი შეფასებულია რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციებიდან, ეპოსი და მისი გმირი აღიარებულია ხალხის იდეალების გამომხატველ ნაციონალურ მოვლენად (94).

XIX საუკუნის შუა წლებში უნდა იყოს შესრულებული ქოროლლის ეპოსის აზერბაიჯანული ვერსიის ის ვრცელი და მეტად საინტერესო ხელნაწერი, რომელიც დაცულია საქ. სსრ მეცნ. აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (110). ხელნაწერს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქოროლლის ეპოსის გენეზისის, მისი ისტორიის, გმირების პროტოტიპებისა თუ სხვა ზოგადი საკითხების გასარკვევად.

ი. შობენისა და ა. ხოძკოს დასახელებული პუბლიკაციების შემდეგ განვლილ პერიოდში გამომზეურდა ქოროლლის ეპოსის ზემოთ ჩამოთვლილი ნაციონალური ვერსიები, მათი შესწავლის შედეგად დაგროვილია დიდძალი ლიტერატურა, რომელშიც, შეიძლება ითქვას, წინა პლანზე წამოწეულია ეპოსის გენეზისისა და გმირის ვინაობის გარკვევის ცდა.

ჯერ იყო და ი. შობენმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქოროლლის ეპოსის წყარო უნდა იყოსო აშოტ ბაგრატიუნის ბრძოლების ამსახველი ლეგენდები, რომელიც შესულა „თათრებში“ და ქოროლლის სახელს დაკავშირებია (98, 22).

თურქმა ლიტერატურათმცოდნეებმა ზია გოქ ალფმა და ზეჟი ველედმა ეპოსის წარმოშობა ადრე შუასაუკუნეებში გადაიტანეს. ზია გოქ ალფის აზრით, იგი XI საუკუნეშია შექმნილი, გმირის პროტოტიპი მაჰმუდ დანელია (112, 177). ზეჟი ველედი კი ფიქრობს, რომ ეპოსი უკავშირდება თურქულ-ირანული ტომების პირველ შეტაკებებს და სასანიდების ეპოქაშია შექმნილი (112, 177).

ცნობილ თურქ ლიტერატურათმცოდნეს პროფ. მ. ფ. ქოფრულუს ეპოსის საფუძვლები ისლამამდელ ეპოქაში გადააქვს: „ეპოსი შექმნილია ხორასნისა და შუა აზიის ტერიტორიებზე მომთაბარე თურქებში ჯერ კიდევ ისლამამდე, ასახავს ირან-ოღუზთა ომებს. როცა ოღუზები ხორასნიდან წამოვიდნენ და ირანისა და აზერბაიჯანის გავლით ანატოლიაში მოვიდნენ, თან მოიტანეს ეპოსი, რომელმაც შემდეგ, საუკუნეთა მანძილზე, ცვლილება განიცადა. განსაკუთრებით ბევრი ვადმოცემა შეემატა მას XVI ს-ის შემდგომ“ (108, 155). მაგრამ როცა აღმოჩნდა XVI საუკუნის თურქი პოეტის ქოროღლის ლექსების შემცველი ხელნაწერი (100, 110), მ. ფ. ქოფრულუმ სცადა დესთანის გმირისა და ამ ლექსების ავტორის ერთმანეთთან დაკავშირება, თუმცა არ შეუცვლია აზრი, რომ ეპოსი ისლამამდელიაო: — „მიუხედავად სიუჟეტის სიძველისა, ეგებ ის პოეტური ნაწილები, რომელიც დღეს ამკობს დესთანს, შეთხზულია XVI საუკუნის პოეტის ქოროღლის მიერ“ (III, 15—25).

ე. ღუმეზილი, განიხილავს რა ქოროღლის ეპოსს მსოფლიო და კავკასიური ფოლკლორისათვის ცნობილი „ბრმის შვილის ლეგენდების“ ფონზე, პარალელს უძებნის მას ირანის მეფის შაპურის მიერ სომხეთის მეფის ტიგრან II-ის დაბრმავებასთან დაკავშირებულ ლეგენდასთან და ასკვნის: „ქოროღლის ეპოსის ფაბულა დავალებული უნდა იყოს „ბრმის შვილის“ კავკასიური ლეგენდებისაგან“ (106, 50—74).

ქოროღლის ეპოსი მონოგრაფიულად პირველმა შეისწავლა თურქმა ფოლკლორისტმა ფ. ნ. ბორათავმა, რომელმაც თავის წიგნში „ქოროღლის დესთანი“ წარმოადგინა ეპოსის თურქული ვერსიის მრავალი ვარიანტი, აგრეთვე უზბეკური და სომხური ვერსიები (104). შრომაში წინა პლანზე წამოწეულია ეპოსის გენეზისის, გმირის ვინაობის საკითხი და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეპოსი XVI საუკუნეშია შექმნილი, ნეარაუდევია მისი გმირის კავშირი ცნობილ „ჯელაღების აჯანყებასთან“ (104, 96). ფ. ნ. ბორათავს შეუძლებლად მიაჩნია პოეტი ქოროღლისა და ეპოსის გმირის იდენტურობა. გმირის პროტოტიპს იგი ხედავს თურქმენი ტომების — ავშარების ბელადის ჰუსრევ სულთან ქოროღლის სახეში.

ფ. ნ. ბორათავის გვიანდელ შრომებში უკვე ეჭვგარეშეა დაყენებული ეპოსის ისტორიულობა, დაკავშირებულია იგი ჯელაღების აჯანყებასთან, გმირიც აჯანყების ერთ-ერთ მოთავედ არის მიჩნეული (105, 60—63).

ჯელალების აჯანყებას დაბეჯითებით უკავშირებენ ქოროლლის ეპოსს შემდეგდროინდელი შრომების ავტორნიც — ევრდნობიან რა სომეხი მემატიანის — არაქელ თავრიზელის (XVII ს.) თხზულებას, რომელშიც აღწერილია ჯელალების აჯანყება, აჯანყების მოთავეთა შორის დასახელებულია ვინმე ქოროლლი. „ეს ის ქოროლლია, — წერს თავრიზელი — რომელსაც გამოუთქვამს მრავალი სიმღერა, რომელსაც ახლა აშულები მღერიან“. აქვე ნახსენებია ეპოსის ერთ-ერთი პერსონაჟი — მუსტაფა ბეგ გზირ ოღლი — „ეს ქოროლლის ამხანაგია, რომელსაც იგი (ქოროლლი) თავის სიმღერებში მრავალჯერ მოიხსენიებს“ (51, 87), ამრიგად, არაქელ თავრიზელის ქოროლლი ჯელალების აჯანყების მოთავეთაგანია და პოპულარული სიმღერების შემთხვევლი.

დიდი თურქი მოგზაური ევლია ჩელები (1611—1681 წწ.) თავისი „სემაჰათნამეს“ („მოგზაურობის წიგნი“) პირველ ტომში ახსენებს საზანდრებსა და მეჩოგურეებს და მათში ყველაზე სახელგანთქმულად ვინმე ქოროლლის ასახელებს (101, 155). იმავე თხზულების V ტომში ევლია ჩელები ჯელალების სიკვდილით დასჯის ამბავს გადმოგვცემს და წერს, ერთ-ერთ მათგანს სიცოცხლე აპატიეს იმის გამო, რომ მშვენივრად უკრავდა და მღეროდაო. „არც ქოროლლუს, არც ქუროლლუს, არც ქაიქჩი მუსტაფას არ შეეძლოთ მასავით მწველი სიმღერების მღერაო“ (101<sup>2</sup>, 255).

ხოლო, როცა დაღესტნიდან მომავალ ევლია ჩელების გზაში ყაჩაღები დაუხვდებიან და გაძარცვას დაუპირებენ, ჩელები მათ ეუბნება: „ეი, დაზიებო<sup>4</sup>, თქვენნაირი საქციელი ამ მთებში ქოროლლისა ცი არ ჩაუდენიაო“ (101, 55).

მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, ევლია ჩელები იცნობს განთქმულ პოეტს ქოროლლის, რომლის სახელი მის დროს ანატოლიაში ლეგენდად ქცეულა. თუ გავითვალისწინებთ ფ. ნ. ბორათაის მტკიცებას, რომ პოეტი ქოროლლის ცხოვრება წინ უსწრებდა ევლია ჩელების მოღვაწეობას (104, 94), შეიძლება ვიფიქროთ, რომ პარიზის ხელნაწერის ლექსების ავტორი და ყაჩაღი, რომელიც ეპოსის გმირის პროტოტიპად იქცა, ერთი და იგივე პიროვნებაა. მით უმეტეს, რომ ეპოსის გმირის პოეტობას (აშულობას) ერთხმად უჭერს მხარს ყველა ნაციონალური ვერსია და ზეპირი ტრადიცია (69,3).

ასევე, გადმოცემებს ევრდნობა ელიას მუშელიანის ცნობაც: „ქოროლლი იყო თურქი-ოსმალთ, ამბობენ, ბაიაზეთიდან იყო...“

<sup>4</sup> სარწმუნოებისათვის მებრძოლი (საპატიო ტიტული გმირისა).



უცხოვრობდა ოსმალეთის მთებსა და ტყეებში, მრავალრიცხოვანი რაზმით ბატონობდა საქარაენო გზებზე. ეს იყო სპარსეთის შაჰის აბასის და სულთან მურადის დროს“ (52, 28).

შაჰი აბასი აბას I უნდა იყოს მისი მეფობის წლებს (1587—1629 წწ.) ემთხვევა ოსმალეთში მურად III-ისა (1574—1595 წწ.) და მურად IV-ის (1623—1640 წწ.) მეფობა. სწორედ მათი მეფობის წლებში გრძელდებოდა ის დიდი და მცირე აჯანყებები, რომელთა ცეცხლშიც იყო გახვეული ოსმალეთის იმპერია XVI საუკუნიდან მოკიდებული.

როგორც ცნობილია, ოსმალეთის იმპერიამ თავისი ძლიერების მწვერვალს XVI ს-ისათვის მიაღწია, მაგრამ ამავე საუკუნეში იწყო ჩასახვა იმ წინააღმდეგობებმა, რომელთაც შემდგომში დაღუპვისა-კენ დააქანეს ქვეყანა. ამ საუკუნეში იწყება ოსმალური სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფოს ძლიერების საფუძვლის — სამხედრო-ლენური სისტემის კრიზისი, ქვეყანა ეკონომიურად დაქვეითდა. შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის მიზნით სულთნის მთავრობა მკვეთრად აღიდებდა გადასახადებს. ეს განსაკუთრებული სიმძიმით აწევბოდა გლეხობას, აჩანაგებდა წვრილ ფეოდალებს (78, 326).

სულთნისა და მისი მოხელეების მიმართ უკმაყოფილება სხვა-დასხვა სახით ვლინდებოდა — იქნებოდა ეს შიიტური მოძრაობის გაძლიერება, გადასახადების გადახდაზე უარის თქმა, თუ შეიარაღებული აჯანყება.

გლეხთა ის მძლავრი მოძრაობა, რომელსაც უკავშირებენ ქოროლის დესტანს და, რომელიც „ჯელალების“ აჯანყების“ სახელით არის ცნობილი, დაიწყო 1595/6 წელს.

აჯანყებულთა ძირითადი მასა იყო ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხობა. აჯანყებულთა შორის იყვნენ წვრილი ფეოდალები და თითო-ოროლა მსხვილი ფეოდალიც კი (86, 55), სათავეში იდგა სივასის<sup>6</sup> ერთ-ერთი სანჯაყის<sup>7</sup> კაიმაკამი<sup>8</sup> აბდალ ჰალიმი, მეტსახელად „ყარა იაზიჯი“ (შავი მწერალი). მოგვიანებით ყარა იაზიჯის შეუერთდა მისი ძმა დელი ჰასანი (86, 69).

<sup>5</sup> „ჯელალი“ თავდაპირველად აღნიშნავდა შეიხ ჯელალის მიმდევარს, ე. ი. იმ აჯანყების მონაწილეს, რომელიც მოხდა 1519 წ. ოსმალეთში შეიხ ჯელალის მეთაურობით. შემდგომში ეს სიტყვა იქცა „აჯანყებულის“ სინონიმად.

<sup>6</sup> ჩრდ. აღმ. ანატოლიის ქალაქი.

<sup>7</sup> აღმინისტრაციული ერთეული ძვ. თურქეთში.

<sup>8</sup> აღმინისტრ. ერთეულის მმართველი.

ყარა იაზიჯი — დელი ჰასანის აჯანყება მოედო ანატოლიის, ქურთის-ტანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს (78, 326). აჯანყებულებმა ზედიზედ დაამარცხეს სულთნის ლაშქარი და საფრთხე შეუქმნეს მის მთავრობას. მაგრამ სულთანმა მოახერხა აჯანყების მოთავე წვრილი ფეოდალების გათიშვა, მოსყიდვა, რითაც დაასუსტა აჯანყებულთა ძალები. თუმც არ შეწყვეტილა აჯანყების ხანძარი. აჯანყებულები პატარ-პატარა რაზმებად მოედევნენ მთელ ოსმალეთის იმპერიას. აჯანყების მეთაურების სიკვდილის შემდეგ (ყარა-იაზიჯი გარდაიცვალა 1601 წ., დელი ჰასანი სიკვდილით დასაჯეს 1605 წ.) მემამოხეთა ერთი ნაწილი შეუერთდა მეორე დიდ აჯანყებას — კალენდერ ოღლუსას (დაიწყო 1592 წ.), მაგრამ ეს აჯანყებაც დამარცხდა (1607 წ.), თვით კალენდერ ოღლუმ ორი ათასი კაცი მოახერხა ირანში გადასვლა. შაჰ აბას I-მა აჯანყების მეთაურები თავის სამსახურში მიიღო და მამულები უბოძა — ფიქრობდა, ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოეყენებინა ისინი. ამან გამოიწვია განხეთქილება აჯანყებულთა შორის — სათავეში მდგომმა წვრილმა ფეოდალებმა, რომელთაც მიწები მიიღეს, შაჰის სამსახური არჩიეს, ხელმოცარული დაბალი ფენა კი კვლავ აჯანყდა 1609/10 წ. აჯანყებამ მიიღო წმინდა გლეხური ხასიათი, რამეთუ „განთავისუფლებული იყო წვრილი ფეოდალებისაგან“ (78, 327).

მცირე რაზმებად დაქსაქსული აჯანყებულები, რომელთაც შეუერთდნენ ადგილობრივი გლეხებიც, ებრძოდნენ შაჰის მოხელეებს სომხეთის, სამხრეთი და ჩრდილოეთ აზერბაიჯანის ტერიტორიებზე (78, 387). ეს ბრძოლები XVII საუკუნის 30-იან წლებამდე არ შენელებულა (78, 328).

სწორედ ამ ბრძოლებს უკავშირებს არაქელ თავრიზელი ქოროღლის სახელს. მისგან გამომდინარე, მკვლევართა უმრავლესობაც თვლის, რომ ეპოსი ამ მძლავრი სოციალური მოძრაობების გამოძახილია (78, 327), თუმცა, ი. პ. პეტრუშევსკი ეჭვისთვისაც სტოვებს ადგილს, როცა წერს: «Трудно сказать, однако, в каком отношении этот исторический Кер-оглу стоит к герою народных сказаний» (77, 128).

ეპოსის გენეზისის გარკვევისათვის საინტერესო მასალას გვათავაზობს ზემოდასახელებული ხელნაწერი, რომლის XIX და XX თავებში თითქმის ისტორიული ქრონიკის სიზუსტით არის დახატული XVI—XVII საუკუნეების ირანის სოციალური ცხოვრების სურათები. ხელნაწერის მიხედვით, მართალია, ქოროღლის პროტესტის საბაბი მამის დაბრმავებაა, მაგრამ მისი აჯანყების ნამდვილ მი-

შეზღუდვა

ზეზად ჩანს თურქმენი ტომების პრივილეგიების შეზღუდვა შაჰ აბას I-ის მიერ (96, 55).

ხელნაწერის მიხედვით ძველ და ძლიერ თურქმანთა ტომებს თექვსი, აუშუსა და ჯელალის შაჰის მოხელემ გადასახადი შეაწერა. თურქმენები, რომლებიც ყოველთვის თავისუფალნი იყვნენ გადასახადებისაგან, არ დაემორჩილნენ ახალ ბრძანებას, აჯანყდნენ და შაჰ აბასს საჩივრით ეახლნენ.

XVI საუკუნის ირანში, სადაც სახელმწიფოს დასაყრდენი იყო მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ყიზილბაშურ ტომთა სამხედრო არისტოკრატია და შაჰის ჯარის ძირითადი მასა ყიზილბაშური ტომებისაგან შედგებოდა, ისინი მართლაც სარგებლობდნენ გარკვეული უპირატესობით — თითქმის თავისუფალი იყვნენ გადასახადებისაგან (რათა საიმედონი ყოფილიყვნენ შაჰისათვის), მაგრამ შაჰ აბას I-მა, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, შეზღუდა ყიზილბაშთა უფლებები და პრივილეგიები, ყიზილბაშური ტომების არისტოკრატის ნაცვლად, რომელსაც უკვე აღარ ენდობოდა, კარზე დააწინაურა ირანული ელემენტი. შაჰის სამხედრო რეფორმებმაც შეარყია მომთაბარე ტომთა სამხედრო არისტოკრატის ძლიერება (78, 69—70). „ყიზილბაშური ტომები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ შაჰის რეფორმებს. ამას შაჰის მხრიდან ძლიერი რეპრესიები მოჰყვა და ზოგი ყიზილბაშური ტომი დედამხიანად გაკლიტეს“ (78, 108).

შაჰის წინააღმდეგ თურქმენთა ტომების ბრძოლების ხსოვნა, შემორჩენილი დასახელებულ ხელნაწერში, გვაფიქრებინებს, რომ ქოროღლის ეპოსის გენეზისი შეიძლება უკავშირდებოდეს მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე თურქულენოვანი ტომების სოციალურ და პოლიტიკურ მოძრაობებს, რომელთაც ადგილი ჰქონდა შაჰ აბას პირველის მეფობაში, რომელთა ძირითადი ასპარეზიც აზერბაიჯანისა და სომხეთის ტერიტორიები იყო. თუმცა, ხალხის შემოქმედება გულგრილი ვერ დარჩებოდა ისეთი დიდი მოვლენის მიმართ, როგორც იყო ჯელალების აჯანყება, რომლის გამომძახილი გაჩნდებოდა ეპოსში მისი განვითარებისა და საბოლოო ჩამოყალიბების პროცესში.

რაც შეეხება გმირის კავშირს ჯელალების აჯანყებასთან, ამოცნობულად არ მიგვაჩნია, რომ შაჰის რეფორმებით შევიწროებული თურქმენი ტომების ბელადი (ასეთად ჩანს იგი დასახელებულ ხელნაწერში) მას შემდეგ შეუერთდა ჯელალებს, რაც ამ აჯანყებამ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადმოინაცვლა. ამ ვარაუდს, ჩვენი აზ-

რით, ისიც ამბობს, რომ აჯანყების დროს ქოროლი და გზიროლი უკვე სახელმთხოვექილნი ჩანან. წინააღმდეგ შემთხვევაში ანუ ქელ თავრიზელი არ მიგვანიშნებდა „ეს ის ქოროლია, რომელსაც მრავალი სიმღერა შეუთხზავსო“, ან „ეს ის გზიროლია, რომელსაც ქოროლი თავის სიმღერებში მოიხსენიებსო“.

მაგრამ ქოროლის ეპოსი ვერ იქნება ვერცერთი ისტორიული გმირის ბიოგრაფია და ვერცერთი მოვლენის კონკრეტული ასახვა. როგორც ცნობილია, ხალხის შემოქმედებით პროცესში მკრთალდება ნაწარმოების რეალური საფუძველი, ერთი გმირისა და ერთი ამბის გარშემო თავს იყრის სხვადასხვა გმირების და სხვადასხვა მოვლენების ნიშნები და „გარკვეულ ფაქტთან თუ მოვლენასთან დაკავშირებული კონკრეტული ამბავი დროთა ვითარებაში კოლექტიურ ხასიათსა და ზოგად სახეს ღებულობს“ (23, 81) და თუ ამოსავალ ამბად შაჰისა და თურქმენების დაპირისპირებას მივიჩნევთ, სულთნის წინააღმდეგ ბრძოლის შემცველი სიუჟეტების გაჩენა ეპოსში აზერბაიჯანის სინამდვილით არის ნაკარნახევი — XVI—XVII საუკუნეების აზერბაიჯანისათვის ორივე — შაჰიცა და სულთანიც ერთნაირი მტერი იყო. ხოლო თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ხშირად შიიზმის რელიგიური საფარველით გამოდიოდა, გასაგები გახდება ეპოსის ადრეფიქსირებული ვარიანტების (დასახ. ხელნაწერი, ა. ხოქოს ტექსტი) ანტი-სუნიტური ტენდენცია, რაც დღევანდელი ვარიანტებისათვის უცხოა, ეპოსის განვითარებისათვის უკვე განვლილი ეტაპია.

დღეისათვის ქოროლის ეპოსის ე. წ. პირველი ჯგუფის ვერსიები „ყაჩალური ციკლის“ ნაწარმოებებია, რომლის გმირი, „კეთილ-შობილი ყაჩაღი“, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ ამხედრებულა. ასეთ ნაწარმოებებს მრავლად იცნობს ყველა ხალხის ფოლკლორი. ისინი, როგორც სამართლიანად აღნიშნავს პ. გ. ბოგატირევი, ხალხურ შემოქმედებაში ჩნდება გლეხთა აჯანყების დამარცხების შემდეგ, როცა ცალკეული პირებისა თუ პატარ-პატარა ჯგუფების გამოსვლით გამოხატული პროტესტი კიდევ კარგა ხანს გრძელდება. ყაჩალური მოძრაობის გაძლიერებას ხელს უწყობს მთავრობის მხრიდან რეპრესიების გამწვავებაც (65,3), რაც უფრო მეტად კვებავს ხალხის შემოქმედებით ფანტაზიას და „კეთილ-შობილი ყაჩაღის“ კოლექტიურ სახეში განხორციელდება ხალხის იდეალი, ეს სახე იქცევა ცხოვრების უკუღმართობის წინააღმდეგ ბრძოლის პოეტურ სიმბოლოდ.

ზემოთ ნახსენები კალენდერ ოღლუ კიდევაც ამბობდა: „თუ დავმარცხდით, იმასაც დავეჯერდებით, რომ ჩვენს საქმეებზე მრავალ ენაზე დესთანებს შეთხზავენო“ (74, 133).

რაც შეეხება ასეთ ნაწარმოებში იმ უძველესი მითოლოგიური რეალიების არსებობას, მ. ფ. ქოფრულუს, ბ. ა. კარიევს და სხვებს ქოროღლის ეპოსში ისლამამდელ საფუძველს რომ აძებნიან (67; 108), ჩვენი აზრით, იგი ეპოსის საფუძველი კი არ არის, არამედ მასზე გვიანდელი დანაფენია, თუმცა აღებულია ხალხის უძველესი მითოლოგიური და ფოლკლორული ტრადიციებიდან. ეს მოვლენა ცნობილია ფოლკლორისტიკაში, ამიტომ სიტყვას აღარ ვავაგრძელებთ და აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ქოროღლის ეპოსის იმ ვერსიებს, რომლებიც წყაროა ყველა დანარჩენი ვერსიებისათვის, სწორედ ნაკლებად ახასიათებს ზღაპრულ-ფანტასტიკური თუ მითოლოგიური რეალიები, ისინი ჯერ კიდევ ინარჩუნებენ „ნახევრადისტორიული ლეგენდის“ ნიშნებს.

## ქოროღლის ეპოსის ქართული ვერსია

ქოროღლის ეპოსის საბარათველოში შემოსვლისა და  
დამაკვიდრების პირობები

ქოროღლის ეპოსი, როგორც აღვნიშნეთ, შეიქმნა XVI—XVII საუკუნეების მიჯნაზე აზერბაიჯანში, მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე თურქულენოვან ტომებში და, ჩანს, მალევე გაცილებია აზერბაიჯანის საზღვრებს — XVII საუკუნის ოსმალეთის დიდი მეისტორიის ევლია ჩელებისათვის ცნობილია სახელმძღვანელო ყაჩაღის — ქოროღლის ამბავი (101, 55). ამავე საუკუნის ოსმალთა პოეტები ფიროღლუ და ჯევეჰერი მოიხსენიებენ ეპოსის გმირებს (111, 50).

როგორც ზემოთაც დავინახეთ, XVII საუკუნის სომეხმა მეისტორიემ არაქელ თავრიზელმა უკვე იცის, რომ „ქოროღლის სიმღერებს აშუღები მღერიან“. იმავე საუკუნის მეორე სომეხი მემატრიანის ზაქარია კანაკერცის „ქრონიკებში“ ვკითხულობთ, რომ ერთ სომეხს, სახელად დავითს, ჰყავდა ძალიან კარგი და ჰკვიანი ცხენი. ცხენს ადამიანის ენა ესმოდა და ამიტომ პატრონმა „გირ ათ“ დაარქვა (65, 127). ეს ცნობა გვაფიქრებინებს, რომ ამ დროის სომეხები არა მხოლოდ ქოროღლის საგმირო სიმღერებს იცნობდნენ, არამედ მისი ცხენის — ყირათის გონიერებისა და გრძნეულების ამბავსაც.

ჩვენ არ მოგვეპოვება მსგავსი წერილობითი წყარო, რომელიც მიგვანიშნებდა, თუ რა დროიდან იცნობდნენ ქოროღლის სახელს საქართველოში. ვერც იმის მტკიცებას გამოვუდგებით, რომ ჩვენშიც სომხეთისა და ანატოლიის თანადროულად შემოვიდოდა ეს სახელი, რამეთუ ცნობილია, გარკვეული ისტორიული პირობების გამო, XVI—XVII საუკუნეებში აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების ცხოვრება უფრო დაახლოვდა (77,4), რაც მათ ზეპირსიტყვიერებასაც დააჩნდა (53), რომ აღარაფერი ვთქვათ თურქეთზე, სადაც ქოროღლის ეპოსის გავრცელებას ენობრივი ბარიერიც არ ელობებოდა. სწორედ ამავე საუკუნეების მანძილზე განსაკუთრებით გაძლიერდა ირანისა და ოსმალეთის შემოტევა საქართველოზეც.

XVI საუკუნეში ქართლის სამეფო მტკიცე წინააღმდეგობას უწევს ყიზილბაშური ირანის მოძალადებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შაჰ აბას I-ის დროიდან იწყება ქართლ-კახეთის გაყიზილბაშების შაჰისეული გეგმის განხორციელება, რის დასაწყისი ეტაპიც იყო ლორესა და დებედაში ყიზილბაშური სახანოების, კახეთში კი — ენისელის სასულთნოს შექმნა (7, 290). მაგრამ მიუხედავად შაჰ აბასის არა ერთგვისი ლაშქრობისა და ამ ლაშქრობების შედეგად ქართლ-კახეთის მოოხრებისა, შაჰის მიზანს განხორციელება არ ეწეოდა — ქვეყანა გაყიზილბაშებას გადაურჩა, თუმცა ეკონომიურად და პოლიტიკურად დაუძლურდა. ქართლ-კახეთის იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მტრის მუდმივი თავდასხმის გამო გაუკაცრიელდა და გაპარტახდა, უცხო ტომებმა იწყეს ჩამოსახლება. ასე გაჩნდა კახეთის მიწა-წყალზე ჭარ-ბელაქნის უბატონო თემები (7,290) და ქვემო ქართლში — თურქულენოვანი მომთაბარე ტომების კომპაქტური მასები.

მართალია, ადრეც შემოჭრილან ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე „აქ ჩამოსხდომის მიზნით თურქ-სელჩუკები (XI—XII სს.), მონღოლ-თურქები (XIII — XIV სს.), ოსმალები, ყიზილბაშები (XV — XVI სს.), მაგრამ XVI საუკუნემდე საბოლოო დამკვიდრება ვერ მოუხერხებიათ. „XVI—XVII საუკუნეებში კი სამხრეთ საქართველოში მტკიცედ ჩამოსხდნენ ოსმალო მომთაბარეები (იურუქები), აღმოსავლეთ კახეთსა და ქვემო ქართლში — ყიზილბაშური ტომები“ (9,308).

განსაკუთრებით ინტენსიურად იწყეს ჩამოსხდომა ქვემო ქართლსა და კახეთში მომთაბარეებმა XVII საუკუნის პირველ მეოთხედში. XVIII საუკუნისათვის კი ახალ-ახალ ადგილებს იკავებენ ქციის ხეობაში, ალგეთში, ლილოების სამხრეთისა და ყარაიის მიწა-წყალზე (18, 249).

XVII საუკუნიდან იწყება საინგილოს ისლამიზაციის პროცესიც, რასაც ფეხდაფეხ მოჰყვება მისი თურქიზაციაც (14,1).

სწორედ XVI საუკუნიდან საქართველოს მიმართ ოსმალეთის დაპყრობითმა პოლიტიკამ ყველაზე უფრო მკაფიოდ იჩინა თავი. მართალია, ოსმალეთი ქართლში ვერ გაბატონდა, მაგრამ მისი აგრესიის მთელი სიმძიმე სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს პროვინციებმა — სამცხე-საათაბაგომ და აჭარა-ლაზეთმა გადაიტანა. ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის მიუხედავად, ოსმალებმა მოახერხეს ამ პროვინციების დაპყრობა, თუმცა, სამცხის საბოლოოდ დაპყ-

რობას ორასზე მეტი წელი მოანდომეს და მხოლოდ XVII საუკუნის მეორე მეოთხედში დაასრულეს იგი (8,287).

ამავე პერიოდისათვის ოსმალეთის ადმინისტრაციულ ერთეულებად იქცა ლაზეთი და აჭარაც (8,289).

ქართული პროვინციების ოსმალეთის ხელში გადასვლას მოჰყვა ამ პროვინციებში ისლამიზაციისა და თურქიზაციის პროცესების დაწყება, „რაც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში სხვადასხვანაირად ვითარდებოდა და სრულდებოდა“ (41,18). მართალია, ოსმალეებმა დაპყრობილ პროვინციებში ყველგან ვერ მოსპეს ქართული ენა, მაგრამ საგრძნობლად მაინც შეარყიეს მისი პოზიციები.

ყიზილბაშთა და ოსმალთა ძალმომრეობა ჩვენში XVII საუკუნეში როდი დასრულებულა. XVIII ს. კვლავ ერთმანეთს ცვლის მათი ბატონობა და ქვეყანა საბოლოოდ იცლება სისხლისაგან (8,332—338). ქვეყნის პოლიტიკურმა და ეკონომიურმა დაუძლურებამ მის სულიერ ყოფასაც დაასვა დალი — იგი ჯეროვან წინააღმდეგობას ვერ უწევს მოძალადეთა კულტურულ აგრესიას. ქართულ ყოფაში იჭრება აღმოსავლური ყოფის ელემენტები — განსაკუთრებით გამაჰმადიანებული ქართველი მეფეების კარის მეშვეობით: „როსტომ მოიყვანა ყოველნი ტყუენი საქართველოსანი სპარსეთიღამ გამაჰმადიანებულნი და ამათით შეერიათ ქართველთა განცხრომა „სმაჰმა ყიზილბაშური“ (23,439). „და მოიქცნენ სრულად წესსა ზედა ყიზილბაშისასა“ (23, 424).

მიუხედავად იმისა, რომ XVI საუკუნიდან მოკიდებული საქართველოს კულტურული ცხოვრება წინამავალ, დაცემის პერიოდთან შედარებით, აღმავლობას განიცდის და ქართველი კაცი გამუდმებულ ბრძოლებს შორის სულ მცირედ შესვენებასაც კი იყენებს თავისი სულიერი ცხოვრების მოსაწესრიგებლად, მიუხედავად იმისა, რომ „ამ ეპოქის მწიგნობრები ქართულ მწერლობას აცილებენ იმ ფერფლს, რომლითაც ის დაფარა დაცემის ხანის წყვილიაღმა და ამნაირად ხელს უწყობენ კლასიკური ლიტერატურის მიოვლემილ ნაკვერცხალთა ალაპლაპებას“ (16, 59), მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლიტერატურის გენერალური ხაზი მდიდარი ეროვნული ტრადიციების გაღრმავებასა და განვითარებას ემსახურება და ირან-ოსმალეთის გავლენას ლიტერატურის სფეროშიც უცხადებს ბრძოლას (არჩილის სკოლა), ეს გავლენა მაინც საკმაოდ იგრძნობა. შემთხვევითი როდია, რომ „სწორედ XVI—XIX საუკუნეებში მთელი მოზღვავებაა სპარსული ხალხური დასთანებისა. ითარგმნება „ბახთიარ ნამე“, „ბარამგულანდამიანი“, „ყარამიანი“, „მირიანი“, „ყისაი



კამზა“ და მრავალი სხვა, რომელთაგან ზოგი ჯერ აღნუსხულიც არ არის“ (10,8).

დამპყრობთაგან დანთებული ბრძოლის ქარ-ცეცხლი უფრო მეტად აწრთობდა ქართველი ხალხის შემოქმედებით ფანტაზიას, უფრო მატებდა შემართებას, ვინაიდან „ხალხური შემოქმედება მხოლოდ იქ არის მდიდარი, სადაც ხალხის მასას ძლიერი და კეთილ-შობილი გრძნობები აღელვებს, სადაც ხალხის ძალით დიდი მოვლენები ხდება“ (93,295).

სამშობლოს დაცვის მაღალი მოვალეობის გრძნობით არის გამსჭვალული ამ პერიოდში შექმნილი მთელი ციკლები, სპარსელი და ოსმალთა დამპყრობლების წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლის ამსახველი (22 V, 31).

ადგილობრივი ხალხური შემოქმედება ვერ ჩაახშო ქართულ პროვინციებში დაწყებულმა თურქიზაციის პროცესმაც. აღ. ხახანაშვილი მესხური ფოლკლორის შესახებ წერდა: „მუსლიმთა ძალადობა მოსახლეობის მიმართ, მოსახლეობის ერთგულება ქრისტიანობისადმი, ქართველ მეფეთა ბრძოლა „ხონდქარის“ წინააღმდეგ უხვ საზრდოს აძლევდა მათ პოეტურ შემოქმედებას“ (90,55) და მესხების იმ ნაწილში, რომელიც ჯერ ისევ ინარჩუნებდა ქართულ ენას, განაგრძობდა არსებობას ქართული ზეპირსიტყვიერება.

აღ. ხახანაშვილის ნათქვამს აჭარის ფოლკლორის მიმართაც იმეორებენ მისი მკვლევარნი (6, 10), მით უმეტეს, რომ აჭარამ მთლიანად შეინარჩუნა ქართული ენა. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ქართულ ზეპირსიტყვიერებაში, იქნება ეს აჭარული, მესხური, ინგილოური თუ ქართლ-კახური, ბუნებრივია, აღწევს აღმოსავლური ზეპირსიტყვიერების ელემენტები.

ქართულ ყოფაში აღმოსავლური ელემენტების დანერგვაში მცირე როლი როდი ითამაშა თბილისმაც, რომელიც XVII საუკუნის 40-იანი წლებიდან განსაკუთრებულ აღმავლობას განიცდის, კვლავ თავს უყრის სავაჭრო გზებსა და ირან-ოსმალეთიდან მოსულ ვაჭარხელოსანთ (8, 370), „სხვადასხვა მოდგმისა და სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ხალხს“ (13, 133).

XVIII საუკუნის შუა წლებისათვის თბილისის „მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰამედნიანი, ხოლო ციხეს გარეთ უფროის სომეხნი და მცირედ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა“ (24,338).

XVI—XVIII საუკუნეების თბილისის ამქრებში გაერთიანებული იყვნენ „სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოებისა“ (8, 371).

საქართველოში ჩამომსხდარ თურქმანულ და ყიზილბაშურ ტომებს თუ თბილისში დამკვიდრებულ სპარსელ, ოსმალ, სომეხ ვაჭარ-ხელოსანთ, ბუნებრივია, თან მოჰქონდათ თავიანთი ადათ-წესები, თავიანთი ფოლკლორული ტრადიციები. თუ სპარსული ლიტერატურული და ფოლკლორული ტრადიციები, ძირითადად, ნათარგმნი ძეგლების მეშვეობით ვრცელდებოდა, თურქულ-ოსმალურ ფოლკლორულ ტრადიციებს ზეპირი გზით ავრცელებდნენ ის აშუღები, რომლებიც საქართველოში ჩამოსახლებული აღმოსავლური ელემენტის ყოფის აუცილებელი ნაწილი იყვნენ და რომელთა რეპერტუარშიც, როგორც არაქელთავრიზელის შემოთ არაერთხელ დასახელებული ცნობიდან ვიგებთ, XVII საუკუნეში ქოროღლის სიმღერებს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდში ქოროღლის სახელი და ამ სახელთან დაკავშირებული სიმღერები საქართველოშიც შემოაღწევდა. თუ თავდაპირველად სიმღერები არაქართული აუდიტორიისათვის შესრულდებოდა, დროთა განმავლობაში აშუღებს ქართველი მსმენელიც გაუჩნდებოდათ. ეს იქნებოდნენ თბილისელი ქართველები, რომელთაც აზერბაიჯანული, სომხური და თურქული ენები იცოდნენ, ეს იქნებოდნენ საქართველოს იმ პროვინციების მკვიდრნი, რომელთა თურქიზაცია, მართალია, ნელი ტემპით და არათანაბრად, მაგრამ მაინც გრძელდებოდა და სადაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, იცნობენ აშუღებს; მაგრამ, როგორც ჩანს, საქართველოში მოღვაწე აშუღები თვითონაც ეუფლებიან ქართულ ენას და XVIII საუკუნიდან მოყოლებული იშვიათი როდია ჩვენში აშუღი, სომხურ, ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე ერთნაირად რომ ასრულებს თავის სიმღერებს (30, 15; 13, 18).

ამრიგად, XVII—XVIII საუკუნისათვის ქოროღლის სიმღერების ჩვენში შემოსვლისათვის შემდეგი პირობები ჩანს: ყიზილბაშურ ირანთან და თურქეთთან საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ურთიერთობების გაძლიერება, საქართველოს ტერიტორიაზე თურქულენოვანი ტომების ჩამოსხდომა (ყიზილბაშები, თურქმანები), ქართულ პროვინციებში ისლამიზაციისა და თურქიზაციის პროცესების დაწყება, თბილისში აღმოსავლური ელემენტის მოჭარბება.

ყიზილბაშური ტომების მოძალებას ქოროღლის სახელიც რომ მოჰყოლია, თუნდაც იქიდან ჩანს, რომ „ქვემო ქართლის შუქურა

ციხეს“, რომელსაც ძველად აგარათა ციხე რქმევია და რომელშიც თამარ მეფე გარდაცვლილა, ხოლო XV საუკუნეში „კვეთის ციხე“ ეწოდებოდა, „ქოროლლი“ დარქმევია (7,302—326), ამ სახელით გვხვდება იგი იმ ცნობებში, რომლებიც XIX საუკუნის თბილისური პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა ქოროლლის ეპოსთან თუ მისი გმირის ვინაობასთან დაკავშირებით.

მაგრამ ერთია უცხო ამბის მოსმენა და მეორე მისი მიღება, ვინაიდან, ცნობილია, არც ერთ სიუჟეტს არ მიიღებს ხალხი, თუ იგი არ შეესაბამება მის სულიერ მოთხოვნას და თუ მასზე არ არსებობს ეპოქის დაკვეთა. ამის შესახებ პოლ ლაფარგი წერდა: «Сюжет порой может быть занесен извне, но принимается только в том случае, когда соответствует духу и обычаям тех, кто его усыновляет» (71, 55).

უცხო სიუჟეტის „ნაციონალურ ნაწარმოებად ქცევას ყოველთვის სოციალური სარჩული და საზოგადოებრივ-ისტორიული ნიადაგი აქვს“ (20, 13).

არსებობდა თუ არა ასეთი ნიადაგი ჩვენში ქოროლლის ეპოსის შემოსვლა-დამკვიდრებისათვის?

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, უნდა გავიხსენოთ, რომ ქოროლლის ეპოსის აზერბაიჯანული ვერსია არის „კეთილშობილი ყაჩაღის“, სახალხო შურისმაძიებლის გმირობითა და რომანტიზმით აღსავსე ცხოვრება. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ ასეთი გმირის გაჩენა ყველა ხალხის ზეპირსიტყვიერებაში უკავშირდება ამ ხალხის ცხოვრების ისეთ მომენტებს, როცა განსაკუთრებით ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი თუ სოციალური მოძრაობები. ამ მოძრაობების შედეგად შეიქმნა «Песни о вольных людях» რუსულ ფოლკლორში, «Збойницькие песни» სლოვაკურში, «Хайдуцкие песни» სამხრეთ სლავებისა და სხვა.

ასე იყო საქართველოშიც, სადაც გვიან შუასაუკუნეებში ეროვნულ ტრაგედიას კლასობრივი ურთიერთობების გამძაფრებაც ახლავს. მართალია, ქართული ფეოდალური წყობილებების თავისებურებისა და იმის გამო, რომ გამუდმებული საგარეო ბრძოლები ხელს უშლიდა ქართველი გლეხობის გაერთიანებას ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, საქართველოსთვის უცხო იყო ფართო მასშტაბების გლეხთა მოძრაობები, მაგრამ XVI—XVII საუკუნეების საქართველოში საზოგადოებრივი ურთიერთობის ყველა სფეროში მკლავნდება უკიდურესად გამწვავებული წინააღმდეგობა ფეოდალურ კლასსა და ყმა მიწათმოქმედთა შორის. წინააღმდეგობა „თავს

ინენს არა მხოლოდ ე. წ. ჩუმ კლასობრივ ბრძოლაში, არამედ გლეხთა აშკარა გამოსვლებშიც ფეოდალთა წინააღმდეგ“ (2,244) <sup>განმარტობის</sup> გაქცეული გლეხების ერთი ნაწილი აბრაგობას იწყებდა.

XVI—XVII საუკუნეებში მწვავე კლასობრივი ბრძოლა იყო საქართველოს ქალაქებშიც (8,314—315).

ხალხის წიაღიდან გამოსულ, გაბატონებულ ძალასთან დაპირისპირებულ ყაჩაღში ხალხი თავისი პროტესტის განსახიერებას ხედავს და მას თავისი შემოქმედების ორბიტაში აქცევს, მის ცხოვრებასა და ბრძოლას ლეგენდებითა და სიმღერებით მოსაეს. ასე ჩნდება ქართულ ზეპირსიტყვიერებაში „კეთილშობილი ყაჩაღი“, რომელიც იბრძვის, ერთის მხრივ, ფეოდალური ექსპლუატაციისა და, მეორეს მხრივ, უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ (83,55). „XVIII საუკუნეში მამაკაცთა გვერდით „კეთილშობილი ყაჩაღები“ იყვნენ ქალებიც“ (83,55).

ყოველივე შემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ქოროლის ეპოსი — ირანის შაჰის, ოსმალეთის სულთნის და, საერთოდ, ამა ქვეყნის ძლიერთა წინააღმდეგ მებრძოლი გმირის ცხოვრება — ახლობელი იქნებოდა ქართველი კაცისათვის, რომლის შემოქმედებაში ოსმალთა ფაშებისა და ოსმალეთის ხონთქრის, ირანის შაჰის წინააღმდეგ ბრძოლის თემას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა XVII—XVIII საუკუნეებში.

XIX საუკუნე საქართველოსათვის მეფის რუსეთის კოლონიური ჩაგვრის დამკვიდრებით იწყება, რაც მძიმე ტვირთად აწვება გარეშე მტრებთან ბრძოლით თუ ადგილობრივ მებატონეთა ძალადობით ისედაც ქანცგაწყვეტილ ქართველ გლეხობას. ამიტომ არის ეს საუკუნე სავსე ცარიზმის თვითმპყრობელური პოლიტიკისა და ქართველი მებატონეების წინააღმდეგ მიმართული გლეხთა დიდი და მცირე აჯანყებებით (8,410—413). ამ საუკუნის 30-იანი წლებიდან მოკიდებული სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით გამწვავდა გლეხთა ექსპლუატაცია. ყმა გლეხობას, რომელსაც ძალა არ შესწევდა დაეკმაყოფილებინა მებატონეთა უფრო და უფრო მზარდი მოთხოვნილება სურსათ-სანოვაგესა და ფულზე, არაადამიანურად უსწორდებოდნენ, რასაც პასუხად მოსდევდა ყმათა პროტესტი — ბატონის მოკვლა და ყაჩაღად გავარდნა (8,458).

XIX საუკუნის გლეხთა სტიქიურ მოძრაობათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იყო ე. წ. „ფირალობა“, გავრცელებული 70-იან წლებში დას. საქართველოში (92, 13, 40).

XIX საუკუნის გლეხთა დიდმა თუ მცირე მოძრაობებმა თავისი კვალი დატოვა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში: შეიქმნა ნაწარმოებთა მთელი რიგი მთიულეთის, კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოს გლეხთა აჯანყებებზე. იქმნება, აგრეთვე, ლექსები უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლ ცალკეულ გმირებზე, ე. წ. „ყაჩაღური ციკლისა“ და „ფირალთა ეპოსის“ ნიმუშები (ლექსები მიხა ჭუჭულაშვილზე, სადარა არაბულზე, აფრასიონ მერკვილაძეზე, დათიკო შევარდნაძეზე და ცნობილი „არსენას ლექსი“).

XIX საუკუნის საქართველოში პოპულარული ჩანან აზერბაიჯანელი ყაჩაღებიც, განსაკუთრებით — ყაჩაღი ქერემი, რომლის შესახებაც, როგორც მ. გორკი წერს, «Простонародье Тифлиса, Кутаиса и уездных городов — Сигнаха, Гори, Душета рассказывают массу анекдотов и историй, рисующих этого романтического разбойника очень лестно» (57, 192).

ჩვენ არ ვიცნობთ ყაჩაღ ქერემზე შექმნილ ქართული ზეპირ-სიტყვიერების ნიმუშებს, მაგრამ აზერბაიჯანულში გვაქვს ლექსები არსენა ოძელაშვილზე (54,55), რაც ერთხელ კიდევ ნათელს ხდის, რომ ამიერკავკასიის მშრომელ გლეხობას არა მხოლოდ ინტერესები ჰქონდა საერთო, არამედ ამ ინტერესების დამცველი საერთო გმირებიც ჰყავდა.

ესეც ქმნიდა ქოროლლის ეპოსის პოპულარობის გაზრდისა და ქართული ვერსიის საბოლოო ჩამოყალიბების ერთ-ერთ პირობას XIX საუკუნეში.

XIX საუკუნის ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ხდება ძველი თემებისა და სიუჟეტების ხელახალი გადამუშავება, „ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად მათი აქტივიზაცია“ (21,55). ქოროლლას ეპოსის ქართულ ვერსიაზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ეს პროცესი მასაც შეხებია და, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ვარიანტთა ერთი რიგით წინა პლანზე წამოწეულა სოციალური საკითხი — ბატონყმობისა თუ მდიდრების წინააღმდეგ ბრძოლა. ვარიანტთა მეორე რიგში, მართალია, მკრთალად, მაგრამ მაინც შენარჩუნებული გვაქვს, ჩვენი აზრით, უფრო ძველი ფენა — თავზეხელაღებული რაინდის ბრძოლა შაჰისა და სულთნის წინააღმდეგ.

ქოროლლის ეპოსის ჩვენში პოპულარიზაციაში განსაკუთრებული როლი ითამაშა გაზ. „Кавказ“-მა. მასში სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა აზერბაიჯანული ვერსიის ფრაგმენტების თარგმანები თუ ცნობები გმირის ვინაობაზე. ამ მასალათაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ერთი პოემა, რომელიც პ. ოპოჩინინის ხელმოწერით არის

დაბეჭდილი 1906 წლის ოცდამეოთხე ნომერში. პოემას ეწოდება „ქოროლი“ და მიწერილი აქვს — „ლეგენდა“. ჩვენ ვერ მივაკვლიეთ პოემის ხალხურ წყაროს, მასში გადმოცემული ამბავი დღესდღეობით ფიქსირებულ ვარიანტებში არ გვხვდება, მაგრამ გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ მას ქართული ლეგენდა ედოს საფუძვლად.

პოემის დასაწყისში აღწერილია მაღალი მთა, რომელზეც ცხოვრობს ყაჩაღი ქოროლი თავისი რაზმით. როგორც კი ალგეთის ველზე სივრილე ჩამოწვება, ყაჩაღები მოედებიან ახლო-მახლო სოფლებსა და გზებს. ყველას ატყვევებენ, ძარცვავენ, უფსკრულში ყრიან.

ერთხელ მძიმე წელი დაუდგა საქართველოს — თათრები შემოესივნენ, ააწიოკეს და ამოკლიტეს მოსახლეობა. ირგვლივ ჯოჯოხეთი ტრიალებდა, ქოროლი და მისი ყაჩაღები კი აგრძელებდნენ ხალხის ძარცვა-ჟლეტას. ერთ დღეს ქოროლის ყაჩაღებმა შეიპყრეს უსინათლო მოხუცი — გრაკლელი მომღერალი. ქოროლიმ მომღერალს სთხოვა ქართული სიმღერები მიმღერეო და, აქვე ვიგებთ, რომ ქოროლი, მიუხედავად თავისი თათრული სახელისა, ქართველია. მართალია, მისი ქართველობა აღარ არის სახსენებელი, მაგრამ მშობლიური სიმღერებისადმი სიყვარული მაინც შემორჩენია.

მოხუცმა დაამღერა სიმღერა, რომელშიც მუქი ფერებით დახატა საქართველოს მძიმე ხვედრი და ქვეყნის უბედურების მიზეზი ასე ახსნა: ღმერთი იმის გამო შემოსწყრა საქართველოს, რომ მან ქოროლისნაირი ბოროტება შვაო.

მოხუცმა სიმღერა დაამთავრა. ქოროლიმ მადლობა გადაუხადა და უთხრა: დიდხანს იცოცხლე, იმღერე და შენს სიმღერებში კეთილად მოიხსენიე ბოროტი ყაჩაღიო. შემდეგ დალოცა თავისი სამშობლო, ღმერთს მისთვის სიკეთე შესთხოვა და უფსკრულში გადაიჩეხა. არ გასულა ერთი წელიც და ქართველებმა მტერი დაამარცხეს, ქვეყანა კვლავ სამოთხედ იქცა.

ვიმეორებთ, ქოროლის ეპოსის ქართული ვერსიის ჩვენთვის ხელმისაწვდომ ვარიანტებში ასეთი სიუჟეტი არ გვეგულება, მაგრამ შემდგომმა ძიებამ ეგებ მიგვაკვლევინოს წყარო, დაკავშირებული ქოროლის სახელთან.

XIX საუკუნის გასულს ეურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნებულია „ქოროლი“ (36,95—107), ამჯერად ქართულად არის მოთხრობილი ნიგარ ხანუმის მოტაცების ტრადიციული ეპიზოდი და მოხუცი ქოროლის წასვლა ისფაჰანს (ვარიანტი ცნობილია ა. ხოძკოს ტექსტით).

საინტერესოა ამბის შესავალი, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენ ქართველებს ბევრს გაუგონია სახელი ქოროღლისა, მაგრამ არიან ბევრნი, რომელთაც არ იციან, ვინ ყოფილა ქოროღლი და რა ვაქაცობა გამოუჩენია მას განვლილს საუკუნის ნახევარში. ის იყო განთქმული როგორც ვაქაცობით, ისე მოღვექსეობით“. მოტანილი ნაწყვეტი საყურადღებოა, როგორც ზეპირი ტრადიციის გამეორება ეპოსის გმირის პოეტობისა და მისი მოღვაწეობის დროის შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ნათელია, რომ საქართველოს პრესაში გამოქვეყნებული მასალები ხელს შეუწყობდა ეპოსის პოპულარობის გაზრდას მოსახლეობის მაღალ ფენებშიც.

#### ქოროღლის ეპოსი და XIX საუკუნის ქართული მწიგნობრობა

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა „კეთილშობილი ყაჩაღი“ ფოლკლორის საზღვრებს სცილდება და მწერლობაში გადადის, როცა ქართველი მწერლები არსენას სახეს მიმართავენ თავიანთი სოციალური იდეების გადმოსაცემად, ქოროღლის სახელიც აქა-იქ გაივლებს ხოლმე ჩვენს მწერლობაში.

XIX საუკუნის 50-იანი წლების ქართულ დრამატურგიაში მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევენ ზურაბ ანტონოვის დრამას „ქოროღლი“. ზ. ანტონოვს თავისი დრამის სიუჟეტი აღებული აქვს ი. ევლახოვის მოთხრობიდან „შამლიბელის ველი“, რომელიც გამოვიდა თბილისში 1849 წ. რუსულ ენაზე (59). ი. ევლახოვის მოთხრობის სიუჟეტის წყარო ის სიმღერებია, რომლებიც, მისივე სიტყვით, შეადგენს აშუღთა რეპერტუარის ძირითად ნაწილს.

ზ. ანტონოვის დრამაში ქოროღლის სახე უფრო მაღალ მორალურ და მოქალაქეობრივ ნიშნებს იძენს. ქოროღლი „მუსლიმურ სამყაროში მოხვედრილი არსენაა“ (5,367), „იგი ქარავენებს ძარცვავს, მაგრამ იმით ბევრს მადლს ჩადის. ისეთ კაცებსა სტაცებს, რომელთაც ათი იმდელი კიდევ სხვა რჩებათ. ის მონატაცი მიაქვს და უწილავს, საცა დაცემული ოჯახი არის და შეწუხებულნი ქვრივი და ობლები არიან“ (3,65).

„ქოროღლი თხზულებაში წარმოდგენილია, როგორც ძლიერი ტრფობის, ვაქაცობისა და სამართლიანობის განსახიერება“ (1,35). „ზურაბ ანტონოვის ქოროღლი ღარიბი ხალხის დამცველი პირველი გმირია, რომელიც გამოჩნდა ქართული თეატრის სცენაზე“ (5,368).

ქოროღლის სახელი ილიასაც არ დარჩენია უყურადღებოდ და „კაკო ყაჩაღის“ ერთ-ერთ ავტოგრაფულ ვარიანტში ზაქროს ათქმევინებს:

...ათრთოლდებოდა პატარა გული  
და არსენობა მენატრებოდა  
ჭოროლობასაც მაშინ ვფიქრობდი,  
იმის ცხენისა სიყვითე მშურდა“ (37,482).



1882 წელს რაფიელ ერისთავს დაუწერია ლექსი „ჭოროლი“, რომლისთვისაც მიუწერია: „ხალხური ლეგენდა“. ჩანს, პოეტს გაუღეკსავს ხალხში პოპულარული ფინალი ჭოროლის ეპოსისა — თოფის გაჩენა და გმირის წუხილი იმის გამო, რომ თოფმა ძლიერი და სუსტი გაასწორა და ვაეკაცობასაც ფასი დაუკარგა (15,89).

XIX საუკუნის გასულისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის პოპულარულ პოეტს დავით გივიშვილს გაუღეკსავს ეპოსის რამდენიმე ეპიზოდი (II).

დ. გივიშვილის „ჭოროლის“ შესახებ აზერბაიჯანელი მეცნიერი დ. ალიევა წერს: «Один из поэтов Грузии XIX в. Давид Гивншвили написал на грузинском языке поэму «Кер-оглы» (54, 206). სინამდვილეში კი გივიშვილს აშუღებისაგან „თათრულიდან სიტყვიერათ გადმოცემული“ ამბავი უთარგმნია და გაუღეკსავს. ი. გრიშაშვილის ცნობით, ეს პოემა ოთხ წიგნად გამოსულა. იგი „ჭოროლის“ დ. გივიშვილის ყველაზე პოპულარულ წიგნებს შორის ასახელებს (13,217).

დ. გივიშვილს თავისი თარგმანის პროზაული ლექსი თექვსმეტპარცვლიანი შაირით გაუწყვია, პოეტური კი ორიგინალის ფორმით — ყოშმითა და გარიელათი დაუტოვებია.

დ. გივიშვილი არაფერს ამბობს თავისი ინფორმატორების შესახებ, გარდა იმისა, რომ ისინი არიან აშუღები იაკოფ სტეფანოვი, ზულალა და ჯამალა, მაგრამ მათ მიერ მოთხრობილი სიუჟეტი ახლოს დგას როგორც აზერბაიჯანულ, ისე თურქულ ვერსიებთან, გარდა პირველი კარის პირველი თავისა, რომელიც, ჩვენი აზრით, აზერბაიჯანულიდან უნდა მომდინარეობდეს. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ გმირის მამას ისპაჰანში მცხოვრები შაჰ აბასი აბრმავებს, რაც უფრო დამახასიათებელია აზერბაიჯანული ვერსიისათვის.

#### ჭოროლის ეპოსის ძირითადი პერსონაჟები და მისი მნიშვნელობა

ქართულში პროზაული ვარიანტები ჰქარბობს. ჩვენს ხელთ არსებული მასალებიდან ლექსებს შეიცავს ნ. მარის მიერ ჩაწერილი იმერხეული ვარიანტი; მესხური ვარიანტები, ჩაწერილი კ. გვარამაძისა და თ. ქურდოვანიძის მიერ; დოც. ვ. ჯანგიძის მიერ აჭარაში ჩაწერილი ერთი ვარიანტი და აჭარაში ჩვენ მიერ ჩაწერილი ოთხი ვარიანტი.



ხშირ შემთხვევაში მოქმელი, რომელმაც თურქული იციან-ქვე იძლევა ლექსის ბწყარედულ თარგმანს. აღსანიშნავია, რომ აღმო-სავლეთ საქართველოში ფიქსირებულ მასალებში არ გვხვდება ლექსნარევი ვარიანტები.

ლექსები ძირითადად გმირთა დიალოგებია, ან მათ ლირიკულ განწყობილებას გადმოსცემს, ან ქოროლის ცხენის ქებას.

თურქულ ლექსებს მელოდია არ ახლავს. ქართველი მოქმელი მათ არ ამღერებს. ოღონდ, ჩვენ გავმხდარვართ მოწმე, რომ სალექსო სტრიქონებს მოქმელი განსაკუთრებული პათოსით წარმოსთქვამდა — ძალიან ხმაბალა, თითქო ამით სურდა, გამოერჩია იგი პროზაული ნაწილისაგან.

ქართულ ვერსიაში პროზაული ვარიანტები რომ ქარბობს, ამის მიზეზი გასაგებია — არაქართველი აშუღისაგან მოსმენილ არაქართულ ტექსტს ქართველი მოქმელი თარგმნის. პროზაული ნაწილის თარგმნა ადვილია, პოეტურისა — ძნელი. ამიტომ მას უთარგმნელად ტოვებს, ხოლო ის მოქმელი, რომელსაც უკვე ქართულად მოუსმენია ამბავი და თურქული ენა არ იცის, ლექსს საერთოდ ვეღარ იმახსოვრებს და ასე, თაობიდან თაობაში გადასვლით, რაც უფრო ქართულდება ეპოსი, მით უფრო იკარგება მისი ლექსები.

საქართველოში ქოროლის ეპოსი აღმოსავლელმა აშუღებმა შემოიტანეს და ისინივე იყვნენ მისი ძირითადი პოპულარიზატორები ბოლო დრომდე. „მე მინახავს შეითანბაზრის ყავახანაში თურქი აშუღი, — წერს ი. გრიშაშვილი, — რომელიც საზით ხელში დამსწრეებს მთელი საათის განმავლობაში შეუწყვეტლივ უამბობდა აღმოსავლეთის რომელიმე გმირის თავგადასავალს („ქოროლი“, „აშუღ ყარიბი“ „შაჰ-ისმაილი“ და სხვ.)“ (13.198).

XIX საუკუნის აღმოსავლეთ საქართველოში აშუღთა უმეტესობა აზერბაიჯანელები და სომხები ჩანან: «Большая часть ашугов армяне — переселенцы из Турции», — ვკითხულობთ ი. ევლახოვის სტატიაში საზანდრების შესახებ (58). ადგილობრივი აშუღები ჩანან მესხეთსა და შავშეთში, აჭარაში კი — თურქეთიდან და შავშეთიდან გადმოდიოდნენ თურმე. ამ ცნობას დაბეჯითებით იმეორებენ აჭარელი მოქმელები.

ქართველი მოქმელ-შემსრულებლების რეპერტუარში ქოროლის ეპოსის არსებობის შესახებ აზერბაიჯანელი მეცნიერი დ. ალიევა თავის დროზე არც თუ სწორად წერდა, რომ: «Странствующие грузинские певцы воспевали подвиги Кер-оглы и сами слагали о нем пес-

ნი» (54, 55). შემდეგ აკონკრეტებდა ამ მოხეტიალე ქართველი მომღერლების ვინაობას: «Одной из популярнейших песен ашугов и мествире была песня о подвигах легендарного героя Кер-оглы» (54, 55).

სინამდვილეში კი მესტვირეთა რეპერტუარში ქოროლლის სიმღერები არ ყოფილა.

მართალია, ცნობილია რამდენიმე რაჭველი მესტვირე, რომელთაც რუსული, სომხური, „თათრული“ ენები იცოდნენ, ზოგი ამ ენებზე კიდევაც მღეროდა, როცა ბაქოში ჩადიოდა, მაგრამ ქოროლლის სიმღერებს ამ მესტვირეთა რეპერტუარშიც ვერ ვხვდებით (იხ. 35).

რომ მესტვირეთა რეპერტუარში ქოროლლის ეპოსი არ იყო, ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ ქოროლლის ეპოსს საქართველოს ყველა კუთხეში არ იცნობენ. მესტვირეები კი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხე-კუნძულს აღწევდნენ და თან მიჰქონდათ თავიანთი შემოქმედება. ქოროლლის ეპოსს თვით რაჭაშიც არ იცნობენ, სადაც ასე გავრცელებული იყო მესტვირული პოეზია. უფრო მეტიც: ქოროლლის სიმღერები არ შედის აჭარელი „მესტვირეების“ — მეჭიპონეების რეპერტუარში.

ცნობილმა აჭარელმა მეჭიპონემ სელიმ გელაძემ გვითხრა (1964 წელს სოფ. ღურტაში): „მაგას (ქოროლლის) აშულები იმღერიდნენ. ჩვენ კი ვიცოდით, ამა (მაგრამ) ჭიპონზე არ ვიმღეროდით“.

ასე, რომ ქოროლლის ეპოსი ქართველ ხალხში არაქართველი (ან გამაჰმადიანებული ქართველი) აშულების მეშვეობით შესულა, მაგრამ მისი ქართული ვერსია დღესდღეობით ისე სრულდება, როგორც, საერთოდ, ქართული ფოლკლორის პროზაული ნიმუშები.

ქოროლლის ეპოსის საქართველოში გავრცელების არე და ზოგადად ქართული ვერსიის ვარიანტების შესახებ

ქოროლლის ეპოსს საქართველოს ყველა კუთხეში არ იცნობენ. პროფ. მ. ჩიქოვანისა და ს. სერებრიაკოვის გარკვევით, იგი ცნობილია „საქართველოს განაპირა რაიონების ორენოვანი მოსახლეობისათვის, აგრეთვე ცენტრალურ რაიონებში მცხოვრები მთქმელებისათვის“ (95, 240).

ქოროლლის ეპოსის ქართული ვარიანტები ფიქსირებულია აჭარაში, მესხეთში, ქართლში, კახეთსა და საინგილოში, ე. ი. საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც ადგილი ჰქონდა თურქულენოვან ტო-

მებთან ქართველთა კონტაქტებს, სადაც თავის დროზე დასახლდა, ან თბილისიდან გადავიდა „მოსახლეობის აღმოსავლური კულტურის სულით გაყვნილი ნაწილი“ (30,51), სადაც აღწევდნენ თურქი, აზერბაიჯანელი და სომეხი აშუღები.

ვიდრე შევუდგებოდეთ ვარიანტების მიმოხილვას, უნდა დავძინოთ, რომ დღეისათვის ძალიან ჭირს მათი შედარებით სრული ტექსტების ჩაწერა. თუ 1909 წლით დათარიღებული მესხური ვარიანტის საკმაოდ ვრცელ ჩანაწერს კონსტანტინე გვარამაძე უკეთებს შენიშვნას: „ქოროლლი უფრო ვრცლად არის, ათი ამოდენა ტანი-სო“, 1926 წელს იმავე მესხეთში (ადიგენი, სოფ. ფულატე) მთქმელი მოლა მუჰამედ იუსუფ ოღლი ს. ჯიქიას ეუბნება: „ქოროლლი შვიდი ყოლისგან (თავისგან) შედგებაო“, 1964 წელს კი აჭარელი მთქმელები (ხოზრევანიძე ილია იუსუფის ძე. ხულო, სოფელ დიოკნისი; ბოლქვაძე ზეირალი ხასანის ძე — ხულო, სოფ. დიდაჭარა) უკვე გვეუბნებიან: „ქოროლლის ამბავი არაა მაინცდამაინც ბევრი ამბავი“. ესე იგი, ქართული ვერსია გაიძარცვა და მასში დღეისათვის აღარ იძებნება ის „ყოლები“, რომლებიც თუნდაც ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ ყოფილა. თუმცა, ამას არ უმოქმედია გმირის პოპულარობაზე. ქართლში, სადაც ყველაზე მეტად გავავიჭირდა ვრცელი ტექსტის ჩაწერა, ყველამ იცის, რომ „ქოროლლი ძალიან ძლიერი კაცი ყოფილა, რო გაფრინდებოდა თავისი რაშით, ნაფეხურებიდა რჩებოდა“. ზოგ სოფელში კიდევ უჩვენებენ ამ „ნაფეხურებს“ სადმე კლდეში ან ტყეში.

ქართული ვერსიის ყველაზე ადრინდელ ჩანაწერად პირობითად შეიძლება მივიჩნიოთ 1898 წელს „СМОМПК“-ში გამოქვეყნებული „Кероглы“. პირობითადო, იმიტომ ვამბობთ, რომ, მართალია, იგი ქართულ სამყაროშია ფიქსირებული, მაგრამ ქართული ტექსტის თარგმანი კი არ არის, არამედ რამდენიმე სტრიქონით გადმოცემული მოკლე შინაარსი ცხენის გაზრდის ამბისა, თუმცა ეს შინაარსიც შეიცავს თითო-ოროლა საინტერესო დეტალს. მაგ. ვიგვბთ, რომ ქოროლლი ბავშვობიდან ყოფილა დაჯილდოებული არაჩვეულებრივი ძალ-ღონით. ამ დეტალს მცირე მნიშვნელობა როდი აქვს გმირის ეპიკური ბიოგრაფიისათვის.

მართალია, ჟურნ. „ცისკარში“ გამოქვეყნებული „ქოროლლი“ ბევრად უფრო ადრინდელია (1872 წ.), მაგრამ მას არავითარი ცნობა არ ახლავს. იმიტომ არ შეგვიძლია გადაჭრით მივაკუთნოთ იგი ქართულ ვერსიას. მით უმეტეს, ტექსტი და შიგ ჩართული ლექსების თარგმანი ეჭვს ბადებს, რომ საქმე გვაქვს უფრო დახელოვნე-

ბული მთარგმნელის ნამოღვაწართან, ვიდრე ხალხური ტექსტის  
პუბლიკაციასთან (36,95—107).

ყველაზე ადრინდელი დათარიღებული ჩანაწერი გვაქვს ცნობილი მესხი საზოგადო მოღვაწის კონსტანტინე გვარამაძის მიერ სოფ. ხიზაბავრაში 1909 წელს ჩაწერილი „ქოროლლის ზღაპარი“, რომელიც საკმაოდ ვრცელია და შეიცავს დემურჩოლლის მიერ ჯაფარ ფაშას ასულის მოტაცების ამბავს (48).

კ. გვარამაძის მეორე ჩანაწერი, რომელიც უფრო ვრცელია და სამ ამბავს აერთიანებს, უთარიღოა (45).

ძველი ჩანაწერებიდან კომპოზიციური სისრულითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა ნ. მარის იმერხეული ვარიანტი. აღსანიშნავია, რომ მთქმელი, ეტყობა, დახელოვნებული, ქართული დიალოგების გაღეჭვისასაც ცდილობს. ვარიანტი შეიცავს ქოროლლის ცხენის მოპარვის ამბავს (72, 61—70).

ჩვენ ხელთ არსებული მესხური ვარიანტები გამოირჩევა სისრულით. ყოველი მათგანი რამდენიმე ამბავს აერთიანებს.

აქარული ვარიანტები, რომელთა უმეტესობა ჩვენ მიერაა ჩაწერილი, შედარებით მოკლეა, თითო ამბავს შეიცავს. მხოლოდ ერთი ვარიანტი გვაქვს ვრცელი (ჩაწერილი სოფ. ოქტომბერში).

მესხური, აქარული და იმერხეული ვარიანტების წყარო თურქული ვერსია უნდა იყოს, ვინაიდან, სწორედ თურქებთან ჰქონდა კონტაქტები ამ კუთხეების მოსახლეობას და ამ ვერსიებში შესული საღეჭო სტრიქონებიც იმ თურქულზეა, აღმოსავლეთ ანატოლიის დიალექტებს რომ განეკუთვნება. ამას გარდა, აღნიშნული ვარიანტები, ისევე როგორც თურქული, არ იცნობს შაჰ აბასს, მათშიც გმირის უპირველესი მტერი ბოლი ბეგია. მაგრამ აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ შინაარსის მიხედვით ვარიანტის წყაროს დადგენა არ არის საბოლოო და უეჭველი, რადგან ანატოლიური და აზერბაიჯანული ვერსიები, როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, შინაარსობრივად ძალიან ახლოს დგას ერთმანეთთან.

ჩვენს ხელთ არსებული თექვსმეტი აქარული ვარიანტიდან, სამი ეხება მამის დაბრმავებისა და ცხენების გაზრდის ამბავს, სამი — ცხენის მოპარვის ამბავს, ორი — ქოროლლის დატყვევებას. თითო ვარიანტით გვაქვს წარმოდგენილი ქოროლლისა და დემურჩოლლის შეხვედრა. „ქოროლლი და მეცხვარე“, ქოროლლის მიერ „დიდრის გოგოს მოტაცების ამბავი“ და სხვ.

კახური ვარიანტები დ. გვიშვილის „ქოროლის“ უკავშირდება. გარდა შინაარსის მსგავსებისა, ამას ისიც ადასტურებს, რომ ეს ვარიანტები დ. გვიშვილისეული ლექსების ფრაგმენტებს შეიცავს („ქოროლისა სამყოფელი, ვიცით იყო სამი ბელი“... და სხვ.).

ქართლური ვარიანტები შედარებით მოკლეა და ფრაგმენტული. განსაკუთრებულად დგას ინგილოური ვარიანტები. ისინი შინაარსით კახურს უახლოვდება, მაგრამ მასზე უფროა დატვირთული ზღაპრულ-ფანტასტიკური ელფერით.

#### ქოროლის ეპოსის ძველი ვერსიის შინაარსის შესახებ

როგორც შესავალშიც აღვნიშნეთ, ქოროლის ეპოსის კავკასიური და თურქული ვერსიები შედგება ერთმანეთთან სიუჟეტურად სუსტად დაკავშირებული მცირე ზომის ნოველებისაგან. მათში გმირის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდია გადმოცემული. გარდა იმ ნოველებისა, რომლებიც ქმნიან ძირითად სიუჟეტურ ბირთვს, თითოეული ნაციონალური ვერსია მეტ-ნაკლებად შეიცავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ სიუჟეტებსა და მოტივებს.

ასეა ქართულ ვერსიაშიც, რომლის ჩვენთვის ცნობილი ვარიანტები შეიძლება სამად დაეაჯგუფოთ.

პირველ ჯგუფში გამოიყოფა ის ვარიანტები, რომლებიც ძირითად სიუჟეტურ ბირთვს უმნიშვნელო ცვლილებებით იმეორებენ. ესენია: ცხენების დაბადების, მამის დაბრმავების, ცხენების გაზრდისა და მამა-შვილის „სათათრეთში“ გადახვეწის ამბები. ქოროლი და მამამისი „სათათრეთში“ საცხოვრებლად ჩამლიბელს შეარჩევენ, დასახლდებიან იქ და იწყება გმირის ხიფათებით სავსე ეპიკური ბიოგრაფია. შორს გავარდება მისი გმირობის ამბავი, მასთან დამეგობრებას ცდილობენ მასავით თავზეხელაღებული რაინდები. ქართული ვერსია გვაცნობს დემურჩოლის, ისა ბალასა და გიზირშიას ლეგენდებს ჩამლიბელში მოსვლის ამბებს.

ფაშებს, ქოროლის გადამიტდეთ, მოსვენება ეკარგებათ და გადაწყვეტენ ქოროლი თუ ვერა, მისი ცხენი მაინც ჩაიგდონ ხელში, რადგან იციან, ცხენი თუ არ ეყოლა, ქოროლი ისეთი საშიში ველარ იქნება. ცხენის მოპარვის ამბავი ქართულ ვერსიაშიც ისეთივეა, როგორც თურქულსა და აზერბაიჯანულში. ქოროლის მიერ თავისი ცხენის უკან დაბრუნების ამბავიც ემთხვევა აზერბაიჯანულსა და თურქულს.

ცხენი რომ ველარ მოივდო ხელში, ფაშამ<sup>და</sup> ხონთქარმა<sup>და</sup> შეგემ გადაწყვიტა თვით ქოროღლის დატყვევება. ჩამლიბელში დიდლაშქრით მოდის სარდალი ბოლი ბეგი<sup>და</sup> იაკობ ბეგი და ქოროღლის ატყვევებს. ფაშას<sup>და</sup> ხონთქარის<sup>და</sup> მეფის ასული გაუმიჯნურდება ქოროღლის და მისი დახმარებით თანამებრძოლები გმირს ტყვეობიდან იხსნიან.

უმნიშვნელო ცვლილებებით იმეორებენ აზერბაიჯანული და თურქული ვერსიების შესაბამის სიუჟეტებს ქართული ვერსიის ქოროღლისაგან მეცხვარისათვის ცხვრის თხოვნის, ქოროღლის აშუღის მიერ თელე ხანუმის სამიჯნურო ბარათის მოტანის, დემურჩოღლის ქალის მოსატაცებლად წასვლის, დემურჩოღლის დატყვევებისა და ქოროღლის ლაშქრის მიერ მისი დახსნის, დონა ხანუმის მოტაცების და ქოროღლის გაუჩინარების ამბები.

ვარიანტები, რომლებშიც ტრადიციული სიუჟეტები განსხვავებული ეპიზოდების ჩართვით არის გავრცობილი, ან განსხვავებულად არის მოტივირებული ესა თუ ის ტრადიციული ამბავი, შეიძლება მეორე ჯგუფში გავაერთიანოთ.

ამიერკავკასიური და თურქული ვერსიებით ქოროღლის უპირველესი თანამებრძოლი და შვილობილი — აივაზი ყასბის შვილია. მას ქოროღლი ქალაქიდან გამოიტყუებს, იტაცებს, მიჰყავს ჩამლიბელში და შვილივით ზრდის. ქართული ვერსიით კი, აივაზი ბოლი ბეგის ქარავნის უფროსია. „ბოლი ბეგი ყოფილა ხელმწიფე. მიყავს ქარავანი. ერთი ლამაზი ბიჭი შეხვდება, გოგოზე უფრო ლამაზი, ამ ქარავნის უფროსია. იეგნი (თურქ. მკვირცხლი) ბიჭი ჩანს, ძიძვე ბიჭი. უჭრის ქოროღლი გზას, გადაყოფს მკლავს, მოიტაცებს აივაზს, გააფრენს, წეიყვანს წავა“.

ეპოსის ყველა ვერსიის მიხედვით, ქოროღლის ჰყავს შვილი, რომელიც მამის უნახავად იზრდება. მათ შეხვედრას მოსდევს მსოფლიო ფოლკლორში მეტად გავრცელებული ეპიკური მოტივი მამა-შვილის ბრძოლისა, რაც ჩვეულებრივად, მამის გამარჯვებით მთავრდება.

ქართული ვერსია ქოროღლის შვილის გაჩენისა და გაზრდის ამბავს ძირითად ხაზებში იმეორებს, ოღონდ, მასში მამა-შვილის ბრძოლა შვილის გამარჯვებით მთავრდება. „ამ ჩხუბში ეს ბაღანა მოუგებს ამას. წააქცევს და ამოიღებს ხმალს და დაკლას უნდა. ეს ქოროღლი იცნობს თავის ხმალს და ეტყვის, ნუ მომკლავო. ეს ხმალი სა ნახეო. ეტყვის ყველაფერს. გადაეხვევიან ერთმანეთს და ამის შემდეგ შვილად არის“ .

ყველა ვერსიის მიხედვით, ყირაათზე ამხედრებული ქორთული დაედევნება ტორათის მომპარავს. ტორათს კი იბრუნებს, მაგრამ ყირაათს კარგავს.

ქართული ვერსიით კი, გმირი თავილობს ტორათის მომპარავთან შებმას და ამბობს: „წაუყვანია ერთი ცხენი. რა იქნება ერთი ცხენით? ზათიც (ბარემ) მიჩუქებია მისთვის, სადაც რომ უნდა იქ წაიყვანოს“.

მაგრამ ამბის განვითარება თხოულობდა დადევნებას და ქოროლიც დაედევნა, ოღონდ სხვა მოტივით: „ამ კაცმა ჩვენ გამოგვარეზილა (შეგვარცხინა). თუ იტყოდეს მის სოფელში, მაჩუქვა ქოროლიმ ე ცხენი; თუ თქვა, რომ — „ღალატობით ვქენი შე ე საქმე“, — ჩვენ მაშინ დავრჩით შერცხვენილი“.

ამიერკავკასიური და თურქული ვერსიებით, ქოროლის ცოლი ნიგარ ხანუმი ოსმალეთის სულთნის ასულია. მისი ძმა — ბურჯუ სულთანი ბურჯუ ბეგი ქოროლის მტრად გადაეკიდება დის მოტაცების გამო.

ქართულ ვერსიაში კი ნიგარ ხანუმი ბოლი ბეგის დაა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ ვერსიაში ქოროლის თითქმის ყველა მტერი ბოლუ ბეგის სახეში იყრის თავს; თვით ცხენის მომპარავი ჰამზა ქელოლანის ქართული ვერსიის ზოგი ვარიანტით ბოლუ ბეგით არის ჩანაცვლებული.

ცალკე გამოიყოფა ქართული ვერსიის ის ვარიანტები, რომლებიც შეიცავს ზოგ ისეთ სიუჟეტს და მოტივს, სხვა ვერსიებში რომ არ გვხვდება.

მათ შორის განსაკუთრებით საყურადღებოა ჩვენ მიერ აქარაში ჩაწერილი ერთი ვარიანტი, რომელშიც მოთხრობილია ქოროლის ბრმა მამის სტუმრობა თავის კუტ ძმასთან, ძმისაგან მისი დასაჩუქრება ცხენებითა და ცხვრებით. ცხენს ბრმა თვითონ ამოირჩევს. აღსანიშნავია, რომ აქაც გამხდარსა და უშნო კვიცს არჩევს.

ამ ვარიანტით ქოროლი ყაჩაღი კი არ არის, არამედ ხელმწიფეა. ქართულ ვერსიაში ნიგარ ხანუმის მოტაცების ამბავი აღარ გვხვდება. სამაგიეროდ, ერთი ვარიანტით გმირი ცოლს გამოსასყიდით (ერთი ქისა ოქრო) თხოულობს. ქალის ძმა ბოლი ბეგს შეეკედლება, რათა მისი დახმარებით იძიოს შური.

ქოროლი ცოლისძმას ატყვევებს, ცოლი მკითხავი დედაბრის რჩევით ხმელ ლავაშებს იღებს საწოლში, აქაო და, ძვლები მემტვრევა, ჩემი ძმა რად დაგიტყვევებიაო. ქოროლი ათავისუფლებს ცოლისძმას. მაგრამ ის უღალატებს და ბოლი ბეგს ჩაუგდება ხელში. ბოლი ბეგი ბრძანებს: „უღელი მეიტანეთ, ზენჯირი მეიტანეთ და

მაწევარ ჯამუშს (კამეჩს) შეუბამენ ქოროლის. არ აკმევენ, არ ასმევენ, სამ დღეს, სამ ღამეს უკმელ-უსმელი ამ ჯამუშშია შებმული“.

ქოროლის მამას გრძნეული მათხოვარი თვალების წამალს ასწავლის. ქოროლი სძლევს დევებს, ართმევს წამალს და მამას თვალებს აუხელს.

ქართული ვერსია ამოყვრებს და ანათესავებს მოსისხლე მტრებს— ქოროლის და ბოლუ ბეგს. „ბოლუბეგი შეყრის თავის ბეგებს და გამოაცხადებს „მე და ქოროლი მოყვრები ვავხდითო და გამოკოცნიან ერთმანეთს“.

ქართული ვერსიის ერთი ნოველა გადმოგვცემს, თუ როგორ შეხვდნენ ერთმანეთს გოდერძის უღელტეხილზე ქოროლი და ჰემშირი, როგორ დაუბირა ქოროლიმ ჰემშირს გაძარცვა, მაგრამ ჰემშირმა სძლია და კიდევ მოკლავდა, დემურჩოლი რომ არ მიშველებოდა.

მოტანილი დაყოფა, მართალია, სქემატურად, მაგრამ მაინც წარმოგვიდგენს ქართული ვერსიის სიუჟეტური შედგენილობის სურათს, საიდანაც ჩანს, რომ ქართულ ვერსიაშიც ზოგად შტრიხებში მეორდება ყველა ვერსიისათვის საერთო სიუჟეტური ბირთვი. მაგრამ შეიძლება ითქვას, იგი მხოლოდ ფორმალურად არის საერთო, რამეთუ ქართველი კაცის მიერ მაინც ორიგინალურად არის გააზრებული. ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის მიერ შექმნილი სრულიად ახალი სიუჟეტისა თუ მოტივის საყრდენად. ამის გამოა, რომ სამივე ჯგუფის ვარიანტებს მეტნაკლებად ახასიათებს ნაციონალური კოლორიტი, რასაც ქმნის აგრეთვე მასში ასახული სოციალური გარემო, ყოფითი ელემენტები, გეოგრაფიული გარემო და სხვა.

ქოროლის ეპოსის ქართული ვერსიით ასახული სოციალური გარემო

ქოროლის ეპოსის ნაციონალური ვერსიები ასახავს განვითარებული ფეოდალური საზოგადოების სოციალური დიფერენციაციის სურათს. ასეა ქართულ ვერსიაშიც, რომელიც წარმოგვიდგენს ამ საზოგადოების თითქმის ყველა ფენას, დაწყებულს უმაღლესი მბრძანებლით.

ქართულ ვერსიაში უმაღლესი მბრძანებელი, ტრადიციის მიხედვით, შაჰი||ფადიშაჰი||სულთანი||ხონთქარია, მაგრამ ხშირად ვგვხვდება იგი ქართული სახელითაც — მეფე||ხელმწიფე||ბატონი.



შაპის||სულთანის||მეფის დესპოტიზმი უსაზღვროა: უღანაშაუ-  
ლო კაცს თვალებს სთხრის, ხაროში აგდებს, აიძულებს <sup>მეცხრე</sup>მეცხრეს  
მშობლიური მიწა-წყალი და უცხო ქვეყანაში გადაიხვეწოს.

ზოგ ვარიანტში უმაღლესი მბრძანებელი — სულთანი, ფადი-  
შაპი თუ ხელმწიფე, ფაშით ან ბეგით არის ჩანაცვლებული, მაგრამ  
მათი ძალა-უფლებაც ისეთივე შეუზღუდავია, როგორც სულთნისა.

ფადიშაპმა||შაპმა||მეფემ მასთან ერთგულად ნამსახურებ მეჯი-  
ნიბეთუხუცესს თვალები დასთხარა მხოლოდ იმის გამო, რომ მისი  
ამორჩეული კვიცები არ მოეწონა, შემდეგ ამასაც არ დასჯერდა, ცხე-  
ნის უკან წართმევა დაუპირა და კიდევაც დახოცავდა მამა-შვილს,  
დროზე რომ არ მოესწროთ „სათათრეთში“ გადახვეწა.

სულთანთან||შაპთან||მეფესთან ერთად ფეოდალური მმართვე-  
ლობის აპარატს ქმნიან მისი ვეზირები, ფაშები, ხანები, ქეთხუდები,  
მათი ძალადობის უცილობელი ატრიბუტი — ჯალათიც არ არის  
დავიწყებული.

ჯაფარ ფაშამ დაატყვევა დემურჩოლლი (ქოროლლის თანამებრ-  
ძოლი) და ბრძანა „ცოცხლათ გუდათ გამოეღოთ. ჯარმა ფიცხლავ  
ასრულა ბრძანება და შეუდგნენ ცოცხლივ გუდათ ხდას. დემურ-  
ჩოლლის ტანჯვას და ვაებას საზღვარი არა ჰქონდა, ის გამწარებუ-  
ლი, ხეზე მიკრული, ნახევრად გატყავებული ხმამაღლა მოსთქვამდა“  
(H-2624232).

ბოლი ბეგმა ქოროლლი კამეჩთან ერთად შეება უღელში და სამ  
დღესა და ღამეს „ხე ახოხებია“, არც აქამა არც ასვა. შემდეგ კი  
ღონეგამოღებული თავდაღმა ჩაუშვა ორმოში“ (49).

თუ შაპი||სულთანი||ფაშა გულბოროტი, ფიცხია და წინდაუხე-  
დავი, მისი ვეზირი ჰკვიანია და შორსმჭვრეტელი. ქართული ვერსი-  
ის ვეზირიც, ისევე როგორც სხვა ახლოაღმოსავლურ ვერსიებში,  
ფადიშაპის||მეფის ნაჩქარევ ბრძანებებს მდგომარეობის შესაფერ  
გონივრულ რჩევას უპირისპირებს. ქოროლლის დატყვევებულ თანა-  
მებრძოლს ბეგი||ფაშა||ფადიშაპი ჩამოხრჩობას დაუპირებს. ვეზი-  
რი ფიქრობს, „ეხლა რომ ეს ასე ჩამოვახრჩოთ, მას პატრონი ეყო-  
ლება და ის პატრონი ჩვენ თლა გაგვანადგურებსო“, და სამი დღის  
ვადას გამოითხოვს დასასჯელისათვის (42).

ქართული ვერსიითაც, დესპოტური ხელისუფლების ძალა მრავ-  
ალრიცხოვანი ჯარია, მისი ერთ-ერთი დამახასიათებელი ელემენ-  
ტი — ჯალათი.

მართალია, ქართულ ვერსიაში არა გვაქვს ჯალათთა ისეთი მრავ-  
ალრიცხოვანი არმია, როგორც სხვა ვერსიებში, მაგრამ აქაც ჯალა-

თები სკრიან თავებს და თხრიან თვალებს ტირანის მსხვერპლთ.  
ქართული ვერსიის ერთი ვარიანტი იცნობს თვალების ამომთხ-  
რელი სპეციალური ჯალათის — „მემილის“ თანამდებობას: „მეფემ  
ჯალათს დაუძახა ხმლით ხელში და უბრძანა, დაუყოვნებლივ მოს-  
ჭერი თავით.

— რათ უნდა მოსჭრა თავი? — სტუმარმა უთხრა.

მეფემ არაფერი არ უპასუხა და იმდენი პატივი სცა სტუმარს,  
რომ თავი არ მოსჭრა, არამედ დაუძახა მემილეს (თვალის ამომთხ-  
რელები — მთქმელის შენიშვნა) და ორივე თვალი ამოაცალეს“ (46).

ბეგის სასახლის ზემო დარბაზებში ღრეობაა: „საზი, სიმღერა,  
საქმელი ყველა ჯინსის (ჯურის) საქმილიდან, რახიდან (არაყი), შერა-  
ბიდან (ღვინო), ქოჩეგი (მოცეკვავე ბიჭი), სამა (ცეკვა), იქი ყიამეთი  
დადგა. ჯუმბუში (მხიარულება) აქვან“, ქვემოთ, თვალაში კი მშვიერი  
მეჭინბეები სხედან და ზემოთ ასვლას ვერ ბედავენ: „არ შეიძლება  
შენ იქ ახვიდე ბეგთან“. მეფეს ფადიშაჰს „მეჭინბეთუფროსი“  
პყავს (72).

დაბალ სოციალურ ფენას ქმნიან მსახურები, მზარეულები, მო-  
ჯამაგირეები.

ფადიშაჰის მეფის სასახლეს აკრავს ბაღი, ფადიშაჰის ასული  
განცალკევებულ პალატებში ცხოვრობს, მას ბაღიც განცალკევებუ-  
ლი აქვს.

სასახლეში ხაროები აქვთ, სადაც ყრიან დამნაშავესა და უდა-  
ნაშაულოს.

ფადიშაჰის მეფის სასახლესთან ერთად ფეოდალური ქალაქის  
სურათს, ქართული ვერსიის მიხედვით, ქმნის მაღალი გალავანი, მაგ-  
რად დაცული ფოლადის კარით. ქალაქში მჭედლისა და საზის ხე-  
ლოსნების დუქნებია; ქალაქის მოედანზე გამოსული მაცნე გაყვირის  
და ხალხს მბრძანებლის სახელით მიმართავს; ქალაქში დადიან ფარ-  
თლით მოვაჭრენი და თავიანთი საქონლის ქებას და ფასს ყვირიან.  
ქალაქის სურათს ამთავრებს ჩაიხანა და ყავახანა, სადაც აშულების  
შეჯიბრი, ე. წ. მარაქა იმართება (45).

მარაქა ადგილობრივი და უცხო ქვეყნიდან ან სხვა ქალაქიდან  
მოსული აშულების პაექრობაა. იგი, აღმოსავლეთის სხვა ქალაქების  
მსგავსად, თბილისშიც იმართებოდა. „ერთი აშული უკრავდა თავის  
საკრავზედ და სიმღერით აყენებდა კითხვას, ხოლო მეორე აშული კი  
სიმღერითვე აძლევდა შესაფერის პასუხს. ყველა ეს კითხვა-მიგება  
სწარმოებდა ლექსად, რომელსაც მუნასიბად (ექსპრომტად) ამბობ-  
დნენ აშულები, ხოლო თუ რომელიმე აშული ვერ ახერხებდა ლექ-

სითვე პასუხის მიგებას, ის დამარცხებულად ითვლებოდა. დამარცხებული გამარჯვებულს თავის საკრავს გადასცემდა და ქალაქს ტოვებდა“ (12,55).

როგორ არის ეს წესი ასახული ქართულ ვერსიაში?

დემურჩოლი ჯაფარ ფაშას ასულის მოსატაცებლად მიდის. „იმ ღამეს ერთ ყავახანაში ჩამოხტა“. მეორე დილას თელე ხანუმის სანახავად წავიდა. საღამოს კი ყავახანაში დაბრუნებულმა „დაუხუტა სახს. დადგა მრავალი ხალხი სასეიროთა და ბევრი აშული მის მოწინააღმდეგეთ. ქოროლიზე სიმღერებს ამღერებდნენ, მის სივამკაცზე და გმირობაზე. მეორე აშულებიც პასუხს სცემდნენ, მაგრამ დემურჩოლმა აჯობა ყველას და გამარჯვებულმა ბოლოს გააქანა საზი და ცემა-ტყეპით გაყარა აშულები“ (45).

ქართული ვერსიის მიხედვითაც, აშული დიდი პატივით სარგებლობს საზოგადოების ყველა ფენაში. მას მეფისა და ფაშას კარზე იწვევენ. ქორწილში სუფრის თავში სვამენ. საკუთარი, „კარის“ აშულები ჰყავთ. ქოროლისაც კი, რომელიც თვით იყო „მომღერალი და საზის დამკვრელი“, საკუთარი აშული ჰყავდა — ჯუნუნ აშული. აშულის საპატიო მდგომარეობის გამოა, რომ გმირი ხშირად აშულის ტანსაცმლით მიდის ძნელი დავალებების შესასრულებლად. აშულს ყველგან სიხარულით ხვდებიან. ამავე მიზნით ის დერვიშის სამოსსაც იყენებს.

დერვიში მუსლიმთა სასულიერო პირია, რომელიც მოხეტიალე ცხოვრებას ეწევა და ძირითადად მოწყალეების მიღებით ირჩენს თავს. დერვიშობა წარმოადგენს აღმოსავლური მისტიციზმის — სუფიზმის თავისებურ, გარეგნულ გამოხატულებას. იგი აღმოცენდა ისლამში ადრე შეასაუკუნეებში, როგორც პროტესტი პოლიტიკური და სოციალური პირობების წინააღმდეგ.

დერვიშის სახე სინამდვილიდან ზეპირსიტყვიერებაში შევიდა და ძალიან დიდი პოპულარობა მოიხვეჭა. საზღაპრო ეპოსში იგი გრძნეული დამხმარე პერსონაჟია, — უმეტესად კეთილი მფარველი და ბრძენი მრჩეველი.

ჩვენს ეპოსში დერვიშს ეს ფუნქციები არ აკისრია, იგი მუსლიმური საზოგადოების ტიპური ყოფითი ფიგურაა, რომელიც ყველგან სჭირდებათ, როგორც შემლოცველი და როგორც ღვთის კაცი. ამიტომ ეფარება მის სამოსელს თავისი ცხენის საძებრად წასული ქოროლი.

მესხურ-აქარული ვარიანტებით, დერვიშს აღმოსავლეთ საქარ-

თველოში მათხოვარი ცვლის — გმირი მათხოვრად მოველინება ქალაქს, დადის და ეძებს თავის ცხენის კვალს.

აღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ტიპიურ სურათს, რომლის მსგავსი ხშირად გვხვდება აღმოსავლეთის ხალხთა ეპიკურ ქმნილებებში და ნაკარნახევია რეალური ყოფით, ქართული ვერსია ერთ დეტალს უმატებს — ეს არის თბილისელი კინტო. „ჯუნუნ აშული როცა თიფლიში ჩავიდა, მას თურმე იცნობდნენ კინტოები... წეიყვანეს ყავეში (ყავახანაში). როცა ყავე დალიეს, სასმელი მოიტანეს... ჯუნუნ აშული დაათრეს და ფული წაართვეს“ (49).

კინტო თბილისის ნაშიერია. როგორც ი. გრიშაშვილი იტყოდა, „ჩვენმა თბილისმა, მხოლოდ თბილისმა წარმოშვა ეს ბედასლი, თავნება, „პაქარნი“, ლევანდი და დაუდევარი ტიპი... გაზრდილი ქუჩებსა და სამორინეში“ (12, 137).

ქართული ვერსია ყალიბდებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, სადაც განსხვავებული იყო ფეოდალური ურთიერთობის ფორმები, განსხვავებული იყო რელიგია. ამან გარკვეული კვალი დაატყო მის ვარიანტებსაც. თუ აქარული და მესხური ვარიანტების გმირი ფაშასა და ბეგს ებრძვის, ინგილოურისა — ქეთხუდების მტერია.

როგორც ცნობილია, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ პროვინციებში, რომლებიც XVII საუკუნის დასაწყისისათვის ოსმალეთის ხელში აღმოჩნდა, ადგილობრივ ფეოდალთა ბატონობა ოსმალთა თუ გაოსმალებული ქართველი ფაშებისა და ბეგების ძალმომრეობამ შეცვალა. ამ პროვინციების მკვიდრთათვის პოლიტიკური და სოციალური მტრები ხონთქარი||ფადიშაჰი, ფაშა, ბეგი არიან.

ამის გამოა, რომ აქარულმა, მესხურმა და იმერხელმა ვარიანტებმა არ შეცვალა გმირის ანტაგონისტები და აქაც, ისევე როგორც წყარო ვერსიებში, ხონთქარი, ფაშები, ბეგები დარჩნენ.

იგივე მოხდა ქართლურსა და კახურ ვარიანტებში, სადაც გმირის მთავარი ანტაგონისტი შაჰ აბასია (ისევე, როგორც აზერბაიჯანული ვერსიის ა. ხოძკოსეულ ვარიანტსა და T-140 ხელნაწერით წარმოდგენილ ტექსტში). შაჰ აბას პირველისა და შაჰ აბას მეორის აგრესია მწარე მოგონებად დარჩენია ქართველ ხალხს და ეს სახელი მისთვის ზოგადად მტრის სინონიმად ქცეულა (20,31).

ქართული ვერსიის ზოგ ვარიანტში გმირი ებრძვის „ბატონყმობას“ და „ბატონყმობის საფუძველს“ (49), მართალია, ერთი ამ ვარიანტთაგანი ჩაწერილია აქარაში, სადაც ბატონყმური ურთიერთობა არ ყოფილა და არც ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლის ასახ-

ვა გვაქვს ზეპირსიტყვიერებაში, მაგრამ იგი მაინც ქართული სინამდვილის ანარეკლია და აქარულ ვარიანტში ქართული სამყაროდან არის შესული, რამეთუ ბატონყმობა უცხო მოვლენაა თურქეთისა და აზერბაიჯანისათვის.

ინგილოურ ვარიანტებში გმირის მთავარ ანტაგონისტად ფაღიშაპის გვერდით ქეთხუდები რომ ჩნდებიან, ესეც ადგილობრივი სინამდვილის ანარეკლია.

ქეთხუდა სპარსული სამოხელეო ტერმინია. იგი ირანული პროვინციული მართვა-გამგებლობის სისტემის ერთ რგოლს — სოფლის მამასახლისს აღნიშნავდა.

„სოფლის საქმეებს (ირანში) განაგებდა ქეთხუდა — სოფლის მამასახლისი. მას ირჩევდნენ სათემო კრებაზე შეძლებულ გლეხთა ფენიდან. ქეთხუდას ჰყავდა ხელქვეითი მოხელეები“ (31,57).

ქეთხუდა პროვინციული გამგებლობის სხვა მოხელეებთან ერთად ქმნიდა აპარატს, რომელიც მოწოდებული იყო დაეცვა ფეოდალების კლასობრივი ინტერესები. ამრიგად, იგი მწარმოებლურ ძალას — სოფლის გლეხობას უპირისპირდებოდა.

ირანული სამოხელეო აპარატის ეს წარმომადგენელი საინგლოში (აღმოსავლეთ კახეთში) განსხვავებულ ნიშნებს იძენს:

XVIII საუკუნიდან მოკიდებული „ქარის ფეოდალთა გარკვეული ჯგუფის ინტერესებს მათ (sic!) მიერ არჩეული სოფლის ქეთხუდა გამოხატავდა“. მამასახლისის (იგივე „ქევხა“ ანუ „ქეთხუდა“) თანამდებობა არჩევითი იყო, მაგრამ ამ თანამდებობაზე არჩევის პრივილეგია მხოლოდ გარკვეულ გვარებს ჰქონდა მინიჭებული, როგორც სამემკვიდრეო უფლება და იგი, როგორც თემის სხვა არჩევითი თანამდებობები, ქცეული იყო „არისტოკრატიის ფეოდალიზებული ზედაფენის მემკვიდრეობით წარმომადგენლობად“ (13,85).

ქეთხუდების ხელში ხდებოდა მიწისმფლობელობის კონცენტრაცია, რაც XIX საუკუნეშიც გრძელდებოდა და იწვევდა მწვავე ბრძოლას „თავისუფალი თემების“ შიგნით (13,87). თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ის პრივილეგირებული გვარები, საიდანაც ქეთხუდები გამოდიოდნენ, ჩვეულებრივ, ლეკები ან ვალეკებული ქართველები იყვნენ, ვასაგები ვახდება, რომ ინგილო გლეხისათვის ქეთხუდა თავის თავში აერთიანებდა ეროვნული და სოციალური ჩაგვრის აპარატს.

ქართულ ვერსიაში რეალური სოციალური ურთიერთობის ანარეკლია ისიც, ბოლი ბეგის საძოვრებზე მოსული მეჯოგეები ბოლი ბეგს საძოვრის ქირას რომ უხდიან: „მოდოდნენ მეჯოგეები, ბოლი

ბეგის ქალებს იქირავებდნენ და აბალახებდნენ, ბოლი ბეგს ერთ ცხენს აძლევდნენ ქირაში“.

საბალახე გადასახადი ცნობილი იყო საქართველოსათვის ისე, როგორც აღმოსავლეთის ბევრი ქვეყნისათვის. იგი სახელმწიფო გადასახადთა კატეგორიას განეკუთვნებოდა XVI—XVII საუკუნეების საქართველოში. ასევე სახელმწიფო გადასახადია იგი XIX საუკუნეშიც, მაგრამ მას იღებდნენ აგრეთვე ქართველი ფეოდალები, რომელნიც დიდ საძოვრებს ფლობდნენ (11, 128).

ამრიგად, ქართული ვერსიით ასახული სოციალური გარემო და ყოფა ქართული სინამდვილით არის გაპირობებული, თვით ისეთი დეტალებიც კი, რომლებიც საერთოა ებოსის ახლოაღმოსავლური ვერსიებისათვის, ქართულ გარემოში მოქცეული ქართულ ელფერს იძენს.

#### ქოროლლის ებოსის ქართული ვერსიის გეოგრაფიული გარემო

ქოროლლის ებოსის ქართული ვერსიის გეოგრაფიული გარემოც ძირითადად ქართულია. მართალია, გმირის ადგილ-სამყოფელი ქართული ვერსიითაც ჩამლიბელი||სამლიბელია, მაგრამ თვით ჩამლიბელი, ვარიანტთა უმეტესობით, საქართველოშია. მესხური ვარიანტით, ქოროლლი „საქართველოს ერთ-ერთს მივარდნილს და მიუვალს ტყიან კლდე-მალაროებში ცხოვრობდა“ (47). ზოგი აჭარული ვარიანტით „ქოროლლი ახალქალაქის ტარაფიდან (მხრიდან) იყო. განძანში მთაზე ქოროლლის ციხეა, იმის ცხენის ავაზანიც (წყლის გეჯა) არის“ (49)<sup>9</sup>. ერთი აჭარული ვარიანტით, „ჩამლიბელი წალკის რაიონშია“ (49). კახური ვარიანტებით, ქოროლლი სარდახლო||სადახლოში ცხოვრობდა. ეს სახელწოდება, ჩვენის აზრით, „ჩარდახლის“ ქართულად გააზრების შედეგად არის მიღებული. ცნობილია, რომ პირველი ჯგუფის ვერსიები ჩამლიბელს მოიხსენიებს ეპითეტით „ჩარდახლი ჩამლი ბელი“ (ჩარდახიანი ჩამლიბელი), ან მხოლოდ „ჩარდახლი“ (ჩარდახიანი).

ქართული ვარიანტებით და გ. შაიშმელაშვილის ვარიანტით, „ქოროლლი ცხოვრობდა თბილისის მახლობლად ტყეებსა და თრიალეთის მთებზე“. ამის საფუძველს ქართულ მთქმელებს აძლევს ე. წ. „ქოროლლის ციხე“, რომელსაც, როგორც უკვე აღვნიშ-

<sup>9</sup> იგულისხმება „აბულის ციხე“, რომელსაც ციხის მიდამოებში მცხოვრები თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები ქოროლლის ციხეს უწოდებენ.

ნეთ, ეს სახელი ალგეთის ხეობაში ჩამომსხდარმა თურქულენოვანმა ტომებმა უწოდეს.

ინგილოური ვარიანტი, ქოროღლის მამა „ცხენებს ალაზნის პირას აძოვებდა“, თვით კი, კახური ვარიანტით — „იორზე დილით ჩაი დალივის, სადილ კიდევ თამფარევანზე<sup>10</sup> ჭამდა“, „ცხენი ივრიდან ალაზანზე ვადმაყავდა წყალზე და შირაქისას ამბობდა: ნეტავი სივაკე ჰქონოდა პატარა, ცხენი მუხლებში გაშლილიყო“ (43).

ქოროღლის თანამებრძოლები „თიფლისში“ მიდიან „დიდრის გოგოს“ მოსაყვანად (49).

ჯუნუნ აშული ქოროღლის შინ წასვლის ნებას სთხოვს და „თიფლიში“ მიდის (43).

ქელოღლანის მიერ მოპარული ყირათი ქოროღლის (დერვიშად გადაცმულს) ბათუმში მიჰყავს (34).

მაგრამ ქართულ გარემოს მთლად ვერ გამოუდევნია წყაროვერსიების ტოპონიმია. აქა-იქ იხსენიება სტამბოლი, თეირანი და სხვა ქალაქები.

შაჰის რისხვას ქოროღლი და მამამისი „თეირანი ქალაქიდან“ სტამბოლს გაურბიან, ხოლო ქოროღლის დაუძინებელი მტერი ჯაფარ ფაშა მდ. დუნაის ნაპირზე ქ. სილისტრაში ცხოვრობს (72).

კ. გვარამაძის მიერ ჩაწერილ მესხურ ვარიანტში იხსენიება საბერძნეთი. ეს არის წყარო ვერსიების „რუმი“, „რუმის ვილაიეთების“ თარგმანი, რაც ამ შემთხვევაში ოსმალეთის იმპერიას აღნიშნავს.

#### ქოროღლის ეპოსის ძველი ვარიანტი ეპოსში მოტივები

ყოველი ხალხის ეპიკურ მემკვიდრეობაში ერთ-ერთი მთავარი სიუჟეტური ფუნქცია აკისრია გმირის მიერ საცოლის მოპოვებას, ე. წ. „საგმირო ქორწინებას“, რომელიც ყველა ხალხის ეპოსში ტიპოლოგიურად მსგავს მოტივებში ასახული ერთ-ერთი უძველესი სიუჟეტია. იგი საზღაბრო ეპოსიდან საგმირო და რომანტიკულ ეპოსებში შესულა.

თურქულენოვანი ხალხების საგმირო და რომანტიკული ეპოსების ფონზე „საგმირო ქორწინება“ და მასთან დაკავშირებული მთელი რიგი მოტივებისა შეისწავლეს ვ. მ. ჟირმუნსკიმ, ხ. თ. ზარიფოვმა, ე. მ. მელეტინსკიმ. ამიტომ მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ და აღვნიშნავთ მხოლოდ იმ მოტივებს, რომლებიც ქოროღლის ეპოსის ქართულ ვერსიაში გვხვდება.

<sup>10</sup> თამფარევანი — თაფარავანი.

გამიჯნურება:

1. ქალ-ვაჟი ერთმანეთს უმიჯნურდება უნახავად. ინციტუატი-  
ვა მიჯნურობისა ქალს უპყრია. „ჯაფარ ფაშას ასულს დიდი  
სიყვარული აქვს ქოროღლისა“, ის აშულ ჯუნუნის ხელით  
სამიჯნურო ბარათს უგზავნის ქოროღლის და სთხოვს, მო-  
მიტაცეო“. „თუ წამიყვან ცოლათ, კარგი, თუ არა და, შენ  
ყოფილხარ ქალიო“ (45).
2. ქალი მამამისის მიერ ხაროში ჩაგდებულ გმირს უმიჯნურ-  
დება და ტყვეობიდან გაქცევაში ეხმარება. „მეფის გო-  
გოს უნდა გაყოლა ქოროღლიზე და მივიდა ყარაულთან.  
მისცა რამდენიმე ოქრო და უთხრა, მალაპარაკე ქოროღ-  
ლიზეო. ამ გოგომ მივიდა ...უთხრა: ყოველდღე მოგიტან  
თეთრ პურსაო, ქათამსაო, ღვინოსაო. ყველაფრამდი მოგა-  
მარაგებ და სამ-ოთხ დღეში მოვა ჩემი მოსამსახურე აქაო  
და გევიქცეთო“ (49).
3. ქალები თავგანწირულ სიყვარულს იჩენენ — უკანმოუხე-  
დავად ტოვებენ მდიდრულ სასახლეებს და ჩამლიბელში  
მიჰყვებიან გმირებს.
4. ქალის მამა მრავალრიცხოვანი ლაშქრით დაედევნება გაქ-  
ცულთ და ატყვევებს მათ, მაგრამ დროზე მოდის ჩამლი-  
ბელიდან მაშველი.

ჩვენ მიერ აქარაში ჩაწერილ ერთ ვარიანტში გმირის ქორწინე-  
ბის ამბავი საკმაოდ მარტივად წყდება: „ერთ მთიებზე (მთაზე) ნა-  
ხავს, რომ ერთ მოხუც კაცს გოგო მიყავს. ეს გოგო თვალს დეიქერს  
ქოროღლიზე — ლამაზი კაცია. მოხუცს ეუბნება, დამითმე ცოლადო  
და ერ ქესა ფულს ამეიღებს. გინდა თუ არა, არ ვიციო, შეიჯდუმლებს  
ცხენზე“ (49).

როგორც აღვნიშნეთ, ჩამოთვლილი მოტივები ტიპიურია ყველა  
ხალხის ეპოსისათვის. ქართულ ვერსიაშიც მათი შენარჩუნება იმან  
განაპირობა, რომ ისინი ნაცნობი იყო ქართველი კაცისათვის საკუ-  
თარი ეპიკური მემკვიდრეობიდან (შდრ. ამირანისა და ყამარის გამიჯ-  
ნურება, ამირანის მიერ ყამარის მოტაცება და ბრძოლა ყამარის მა-  
მასთან).

ასევე უახლოვდება ქართულ ეპიკურ ტრადიციას გმირთა დაძ-  
მობილების მოტივი, რომლის ორი სახე გვაქვს:

1. ჭაბუკები თვითონ მიდიან ქოროღლისთან და სამსახურს სთა-  
ვაზობენ, ასე მოვიდნენ დემურჩოლი და ისა ბალა: „დემურჩოლ-



ლის გაგებული ჰქონდა ქოროლის სივაშაკე და ერთი სული ჰქონდა, ენახა სადმე და რა ნახა, მაშინვე დაავდო თავისი ხელობა და გაჰყვა ტყეში ყაჩაღთ“ (45).

დატყვევებულ დემურჩოლის ატყავებენ. ისა ბალა მიდის ჩამლიბელში, რათა შეატყობინოს ქოროლის დემურჩოლის ამბავი და რჩება მასთან (49).

2. გმირების დამეგობრებას წინ უძღვის ორთაბრძოლა, რომელშიც ქოროლი მარცხდება, მაგრამ გამარჯვებული მაინც სთავაზობს მას თავის სამსახურს. „გაითქვა სახელი ქოროლიმ ყაჩაღებით. ეს გაიგო მუსტაფა ქიზირშიმ (მუსტაფა გიზიროლი) და დაეჯახა ქოროლის და აჯობა. დამარცხდა ქოროლი და ქიზირშიმ უთხრა: „ერთი შენი სთქვი და ათასი ჩემიო“ და წავიდა ქოროლი სახლში. მუსტაფა უკან გაჰყვა. ცოლმა სახლში ჰკითხა: „რა დაგემართა, ქოროლი, აგრე ნაცემი და მოწყენილი რომ ხარო?“ „ის დამემართა, რომ მუსტაფა შემხვდა და სულ ტყავი გამაძრო“. ამ დროს შევიდა შინ ქიზირშია და უთხრა ქოროლის: „შენ ნამდვილი გმირი ყოფილხარ, ახლა შენ უფროსი და მე შენი უნცროსიო და გადაკოცნა“ (46).

გმირის ცხენი და იარაღი

თურქული მოდგმის მომთაბარე და ნახევრადმომთაბარე ტომების ცხოვრებაში ყოველთვის დიდი იყო ცხენის როლი. ამის გამოა, რომ თურქულ ენათა ლექსიკა მდიდარია ცხენის ნიშან-თვისებათა გამომხატველი სიტყვებით. ამავე მიზეზით თურქულენოვან ხალხთა ზეპირსიტყვიერებაში ცხენს გამორჩეული ადგილი უკავია.

უძველესი თურქული პოეზიის ნიმუშები — ორხონისა და ენის წარწერები (VII—VIII სს.) საკუთარი სახელებით მოიხსენიებს ცხენებს — მათი მხედრების საგმირო საქმეების უშუალო მონაწილეთ (იხ. 84).

თურქულენოვანი ხალხების ეპოსში ცხენს საკუთარი სახელი აქვს და ეს სახელი, ან ცხენის ფერის გამომხატველი სიტყვა, ხშირად გმირის საკუთარ სახელში შედის, როგორც აუცილებელი კომპონენტი.

თურქულენოვან ხალხთა ეპიკურ ტრადიციას აგრძელებს ქოროლის ეპოსიც, სადაც ორი ცხენია Kir at და Tor at. მათგან ყირათი გმირის გრძნეული თანაშემწეა.

სახელს Kir at სხვადასხვაგვარად შიფრავენ. ერთნი ფიქრობენ, რომ იგი ნიშნავს „რუხ ცხენს“ (kir რუხი, ამაყი), მეორენი „შავ ცხენს“ (61, 185; 67, 123).

მ. ჰ. თაჰმასიბი სიტყვას kir (აზერბაიჯანულად гыр) ცეცხლის ღვთაებას უკავშირებს (гор ცეცხლის ღვთაების უძველესი სახელწოდება, гыр—ნაპერწყალი) და ცხენის სახელს შიფრავს, როგორც „ცეცხლოვანი ცხენი“ (85, 44).

ყირათი და ტორათი ზღვის რაშის შთამომავალნი არიან, საგანგებოდ ჩაბნელებულ თავლაში იზრდებიან, რომ მზის სხივი არსაიდან დაეცეთ.

მზის სხივის გავლენისაგან ცხენის დაცვის მოტივი უკავშირდება მზის სხივის მაგიური მოქმედების უძველეს რწმენას, რომლის თანახმად, მზის სხივს განაყოფიერების უნარი შესწევს. ამიტომ იყო ყველა ხალხში გავრცელებული წესი — მზეს უმაღლედნენ ახალგაზრდას (განსაკუთრებით, ქალს) სქესობრივი მომწიფების პერიოდში (89, 127).

ის ფაქტი, რომ თურქულენოვან ხალხთა ეპოსში ცხენის გაზრდის მოტივი ტოლფასოვანია მსოფლიო ეპოსების „მზის უნახავად“ ქალის გაზრდის მოტივისა, მიუთითებს ცხენის საპატიო ადგილზე ამ ხალხების ეპიკურ ტრადიციაში.

ქოროღლის ეპოსის ყველა ნაციონალურ ვერსიაში გვხვდება ცხენის საქებარი სიმღერები — მისი გარეგნობისა და საბრძოლო ღირსებების მაღალმხატვრული აღწერა.

ქოროღლის გრძნეული ცხენი ყველა ნიშნით ემსგავსება მსოფლიო ზეპირსიტყვიერებაში ცნობილ მფრინავ ცხენებს, გმირის გრძნეულ თანაშემწეებს, მათ შორის ქართულ რაშს, რომელიც „ჩვენს ზღაპრებშიც... მზეთუნახავისა და მისი მაძიებელი გმირის აუცილებელი კუთვნილებაა. ჩვენი ზღაპრების რაში ყოველთვის გულთმისანიც არის, ყოვლის შემძლეც, ბრძენიც“ (17, 373).

ქართულ ზეპირსიტყვიერებაში ცხენის კულტის არსებობამ განაპირობა, რომ ქოროღლის ეპოსის ქართულ ვერსიაშიც გმირის ცხენმა ცენტრალური ადგილი დაიჭირა.

მართალია, ქართულ ვერსიაში დღეს აღარ გვხვდება ყირათის სილამაზის ის პოეტური აღწერა, რომელიც, ი. გრიშაშვილის თქმით, ყველამ ზეპირად იცოდა, მაგრამ ჩვენ ხელთ არსებული ვარიანტების უმეტესობა სწორედ ყირათის დაბადების, გაზრდისა და გახედნის ეპიზოდებს შეიცავს.

ქართულ ვერსიაშიც, ისევე როგორც სხვა ვერსიებში, ცხენის ბიოგრაფია უკავშირდება და განსაზღვრავს გმირის ბიოგრაფიას. იგი ცხენების გამოჩენით იწყება და გმირის მიერ გადატანილი ბრძოლების დიდი ნაწილი მტრისაგან მოპარული ცხენის უკან დასაბრუნებლად არის გამიზნული.

ქართულ ვერსიას შემოუნახავს ანარეკლი ერთი ეპიკური მოტივისა, რომელიც ძალიან პოპულარულია აღმოსავლურ საგმირო-რომანტიკულ დესტანებში, აგრეთვე, კლასიკურ პოეზიაში. ეს არის სურათით გამიჯნურების მოტივი. გმირი შემთხვევით ნახავს ქალის||ვაჟის პორტრეტს, შეუყვარდება პორტრეტზე გამოსახული მშვენიერი ქმნილება და იწყება ათასგვარი ფათერაკების ძლევა სატრფოს მოსაპოვებლად.

ქართულ ვერსიაში ქალის||ვაჟის პორტრეტი ცხენის სურათით არის ჩანაცვლებული: შაჰ აბასი ნახავს ცხენის სურათს, მოისურვებს სურათზე აღბეჭდილი ცხენის ბადალი იშოვნოს სადმე და აქედან იწყება მოქმედების განვითარება.

ცხენის სურათის ნახვის მოტივი ახლოაღმოსავლური ვერსიების გამოქვეყნებულ ვარიანტებში არ გვხვდება, მაგრამ იგი მხოლოდ ქართული ვერსიის საკუთრებად არ მიგვაჩნია. ქართულ და კახურ ვარიანტებში ეს მოტივი დ. გივიშვილის „ქოროღის“ მეშვეობით არის შესული, მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ დ. გივიშვილს ისიც აშუღებისაგან „სიტყვიერად გადმოცემულიდან“ აქვს ნათარგმნი. ამ მოტივის წყარო აღმოსავლური ხალხური თუ კლასიკური ლიტერატურული ტრადიციაა და ნაკლებ მოსალოდნელია მისი ქართულ ნიადაგზე გაჩენა.

ქართულ ვერსიაშიც ცხენი ზღვის რაშის შთამომავალია. აქაც, ისევე როგორც ყველა დანარჩენ ვერსიაში, უშნო გარეგნობის კვიციები გრძნეულ რაშად იქცევიან, აქაც ყირათი და ტორათი „ჯამუშის (თურქ. კამეჩი) ზაქებს გავან, მაგრამ გაიზრდებიან და საუცხოო რაშები დადგებიან“; „ყირათი ართვალი, უხეირო“ კვიცი იყო, მაგრამ გამოცდილი მეჯინიბე ატყობდა, რომ მისგან გრძნეული რაში გაიზრდებოდა.

ამრიგად, ქართული ვერსიაც იცნობს მსოფლიო ფოლკლორში გავრცელებულ მოტივს უშნო გარეგნობის კვიცის ||ბიჭის||ქალის გრძნეულ რაშად ||გმირად||მზეთუნახავად გადაქცევისა. ქართული ვერსიის ცხენებიც ბნელ თავლაში იზრდებიან და ამის გამო ფრთები ესხმებათ. განსაკუთრებით ფეხმარდია ყირათი. მას მუხლის გასაშლელად შირაქის მინდორი არ ჰყოფნის. იგი გრძნეულია — ადა-

მიანის ენა ესმის და ადამიანით იბრძვის — „ფაშას ჯარის ნახევარი ცხენმა გაწყვიტა, ნახევარი — ქოროლიმ“. მტერმა იცის, ქოროლის თუ ყრათი არ ეყოლა, ის რაღა ქოროლია“ და ცდილობს ცხენი მოპაროს, რათა შეასუსტოს გმირის ძლიერება. ცხენი ყოველთვის გრძნობს პატრონის გასაპირს: „ქოროლის რუმ გუუჭირდებოდა, ცხენი ახორს მოთხრიდა და დეიჭიხვინებდა“ (49).

ქართული ვერსიითაც ქოროლის ცხენის სახელი ყირათი||ყრათია, ზოგ ვარიანტში სახელს უჩნდება დეტერმინანტი 'დემირ' (რკინა) და გვაქვს „დემირ ყირი“. ქართველი მთქმელისათვის ყირათი თეთრი ცხენია. „თეთრი ცხენი ჰყამდა, იმ ცხენზე რო დაჯდებოდა, ფრინველივით ფრინამდა“, „ცხენებმა კვიცები მოიგეს — ერთი თეთრი, მეორე წითელი“. ეს ქართულ ვერსიას ქართულ ეპიკურ ტრადიციასთან აახლოებს. ქართულ ეპოსში გრძნეული ცხენი თეთრია. ამირანსაც თეთრი ცხენი სჭირდება ზღვაში გასასვლელად და ყამარის მოსატაცებლად (39,19).

ქართული ვერსიის ზოგი ვარიანტი ქოროლის ცხენს „ლურჯასაც“ უწოდებს: „თურმე ქაჩალს რო მოეყვანა ლურჯა სულთანთან, ცხენს არა ექამა რა, სულ მოწყენილი იყო, ბევრი აშუღები დაასიეს, მაგრამ ვერ გააჭეიფეს ლურჯა“ (45).

ესეც გამოძახილია ქართული ეპიკური ტრადიციისა, სადაც „ლურჯა“ გმირის ცხენის ზოგად სახელად ქცეულა: ქართულ ხალხურ ლექსში „ავთანდილ გადინადირა“ გმირს გრძნეული ცხენი — ლურჯა ჰყავს. ლურჯაა ფშაველი გმირის გიგას ცხენიც და, ბოლოს, არსენას ცხენიც ლურჯაა.

ქოროლის ეპოსის მეორე ცხენი ტორათი||თორათი||დურათი გვხვდება ქართულ ვერსიაშიც. ისიც „სამი დღის სავალს ერთ დღეს გაიფრენს, მასაც ფრთები აქვს“, ისიც ულაცია, მაგრამ მას თავლის ქუჭრუტანაში შესული მზის სხივი მოხვედრია და ამიტომ ღირსებებით ყირათს ჩამოუვარდება.

თურქულენოვანი ხალხების ეპოსიც იმეორებს მსოფლიოში საყოველთაოდ გავრცელებულ ტრადიციას — გმირის ხმაღს საკუთარ სახელს არქმევს. ამ მხრივ არც ქოროლის ეპოსია გამონაკლისი. ქოროლის ხმაღს აზერბაიჯანულ ვერსიაში „ეგვიპტური ხმალი“ ჰქვია და იგი ციდან ჩამოვარდნილი ელვის ნატეხიდან არის გამოქედლი.

ქოროლის ხმლის სახელს მ. ჰ. თაჰმასიბი უკავშირებს სინათლისა და უბიწოების წინააზიურ ღვთაებას მითრ||მეჰრს (85,44). შეიძლება ეს დაკავშირება არც თუ უტყუარად ჩანდეს, მაგრამ ერ-

თი ცხადია, — სახელწოდება „ეგვიპტური ხმალი“ გაურკვეველია და ჯერჯერობით ამოუხსნელი. არაფერს ეუბნებოდა იგი ქართულ მთქმელსაც და ამიტომ ქართულ ვერსიაში აღარ შემოგვრჩა.

ქართულ ვერსიაში გმირის ხმალს საკუთარი სახელი არა აქვს, მაგრამ ისიც არ არის ჩვეულებრივი რკინისა — მას ოთხი დღის განმავლობაში სჭედდა მჭედელი იმ რკინისაგან, ქოროლლის ცხენმა რომ ამოყარა მიწიდან უკანა ფლოქვებით. ხმალი ისეთი კარგი გამოვიდა, რომ მხოლოდ ჩინეთის ხელმწიფეს ეკადრება მისი ტარება.

ქართულმა ვერსიამ იცის, რომ ქოროლლის დროს „თურმე იყო ოხი (თურქ. ისარი) და ყილინჯი||ყილიჯი“ (თურქ. ხმალი), მაგრამ ბრძოლის სურათების აღწერის დროს ისრის გამოყენება არ გვხვდება.

#### ქოროლლის ეპოსის ქართული ვერსიის ეპიკური სახეები

##### ქოროლლი

ქოროლლის ეპოსის ქართული ვერსიის გმირი თვით არის მხატვრული განსახიერება იმ ძირითადი იდეისა, რომელიც დგას ეპოსის და, განსაკუთრებით, ქართული ვერსიის წინაშე. ეს იდეა ორი მიმართულებით ვითარდება: ერთია „სამშობლოს პატრონობა“ და მეორე — ღარიბ-ღატაკთა ქომაგობა.

ამის გამოა, რომ ერთი ეპიკური გმირის სახეში თავს იყრის „კეთილშობილი ყაჩაღისა“ და „პატრიარქალური ბრძანებლის“ ნიშნები.

ქართულ ვერსიაშიც გმირის სახელია რუშანი||რუშანა (ან ფონეტიკური ვარიანტი ჰიურუშანი). ქოროლლი — „ბრმის შვილი“ მას მამის დაბრმავების შემდეგ შეერქმევა. კახურ ვარიანტებში ზოგჯერ თარგმნილია მისი ზედმეტი სახელი და გვაქვს „ბრმის შვილი“, ერთი ინგილოური ვარიანტით კი მას აღმასა ჰქვია.

ქართული ვერსიის გმირის ეპიკური ბიოგრაფია მამის დაბრმავებიდან იწყება. ამ დროისათვის იგი 12—15 წლის ყმაწვილია, მაგრამ გამოირჩევა არაჩვეულებრივი ძალ-ღონით.

ქართული ვერსია არ გვაძლევს გმირის პორტრეტს, რითაც ის განსხვავდება სხვა ვერსიებისაგან, სადაც გმირის ეპიკური ჰიპერბოლიზაცია მის გარეგნობასა და ხმაში მქლავნდება.

ქართულ ვერსიას ბუნდოვანი ხსოვნა შემორჩენია მისი ხმისა: „იმფერი მაგარი ლაპარაკი იცოდა, შეგეშინდებოდა“.

ეპიკურ გმირს „ცოტა სმა-ჭამა ეყოფა“ და ქართული ვერსიის გმირიც „ერთი დღე და ღამე გავიდა, ქორწილშია ამა (მაგრიამ) ვერ გამზღარა პურით. ღამით რომ ბითიენი (ყველანი) დაითვრენ, გადავდა კუხნაში, აშბაზი (მზარეული) მოკეცა, ჩაჰყირა ქობში. რაც შაჰ-მელები იყო, შაჰამა, ზლივ (ძლივს) ცოტა მუცელი გაიკეთა“ (44).

ქართული ვერსიის გმირიც ჭკვიანია და მოხერხებული. მან იცის, რა დროს როგორ დაესხას თავს მტერს, რომ ნაკლები მსხვერპლის ვალეზით მიაღწიოს მიზანს. იგი ხშირად მიმართავს აშუღლის||მათხოვრის||დერვიშის ტანსაცმელს, რათა შეიპაროს მტრის ქალაქში, ან მტრის ბანაკში.

ქოროღლის ეპოსის ახლოაღმოსავლური ვერსიების „კეთილშობილი ყაჩაღის“ სახე ქართულმა ვერსიამაც შეინარჩუნა და კიდევ უფრო გააღრმავა და განავითარა. მასში წყარო ვერსიებთან შედარებით უფრო ხაზგასმულია, რომ ქოროღლი „ღარიბების მამაა“, „იოხსულების შემბრაღა“ (უქონლების შემბრაღე), „საწყალ კაცს არ ართმევდა ფულს“, „მდიდრების მტერია“, ზონთქრის ქარავანს ძარცვავს და ნაძარცვს გამველე-გამომველეს ურიგებს, დალაღებული ჰყავს ხალხი ზონთქრის ქონებით. იგი ხალხისთვის სიმართლას მძებნელია, მისი შიშით გლეხს ვერავინ დაჩაგრავს. მეწისქვილეს, რომელიც გლეხებს ატყუებს, ქოროღლის სახელით აშინებენ: „მინდის საწყაო დიდი გაქვს, ქოროღლი მოდის, უნდა მოგკლასო“.

თუ სხვადასხვა ხალხის „კეთილშობილი ყაჩაღების“ ურთიერთ-მსგავსება გაპირობებულია მათი საერთო სოციალური საფუძვლის არსებობით, ერთი და იმავე ხალხის „კეთილშობილი ყაჩაღების“ მსგავსებაში მათი ერთი საფუძვლის გარდა, ურთიერთგავლენაც თამაშობს როლს. უეჭველია, ქოროღლის ეპოსის ქართული ვერსიის „კეთილშობილი ყაჩაღი“ ქართული ზეპირსიტყვიერებისათვის ძალზე ახლობელი გმირების ნიშან-თვისებებსაც ჩაიზიარებდა. ამითაც აიხსნება ქართული ვერსიის ქოროღლის მსგავსება არსენა ოძელაშვილთან.

ქართული ვერსიის გმირიც არსენას მსგავსად იბრძვის „ბატონყმობის საფუძვლისა“ და „ბატონყმობის“ წინააღმდეგ. „ბატონყმობას მოგასპობიებს აი დემირ ყირი ცხენი შენ, ბოლი ბეგია ბატონყმობის საძირკველი“, — ეუბნება მამა შვილს და ცხოვრების გზას ულოცავს.

ქართული ვერსიის ზოგი ვარიანტით, ჩამლიბელი უტოპიური კოლონიაა, სადაც დგას ქოროღლის სასახლე და ციხე-სიმაგრე. ქოროღლი მსხვილი ფეოდალის ცხოვრებით ცხოვრობს. მის ხალხმრავალ

სასახლეს მსახურებისა და მეჭინიბეების მთელი არმია ემსახურება. ცხენებს სამასი მეჭინიბე უვლის, ისინი მეჭინიბეთუხუცესს — ამილახორ აღას ემორჩილებიან. საშინაო საქმეებს ქოსა ემი განაგებს. იგი მსახურთუხუცესს მოგვაგონებს — ქოსა ემი ნიშნავს მსახურებს სხვადასხვა თანამდებობებზე.

ქოროლლის 777||3000 კაცისაგან შემდგარი ლაშქარი ახლავს და მრავალრიცხოვანი ჰარამხანა აქვს. იგი თავის თანამებრძოლთ რაიმე დამსახურებისათვის ბეგობას უბოძებს ხოლმე.

დემურჩოლი ქოროლლის კარზე ცხოვრობს და უბრალო სამსახურს ეწევა — ფეხსაცმელების მწმენდავია. შემდეგ — მეჭინიბე. პირველივე გმირობის გამოჩენის შემდეგ ქოროლლი მას „ბეგობას მიაწვდის“ და დემურჩოლიც ქოროლლის კოლონიის სრულუფლებიანი წევრი ხდება. ქოროლლის თანამებრძოლები ყველანი ბეგები არიან.

მოტანილი მაგალითები გვაფიქრებინებს, რომ ქოროლლის ეპოსის ქართულ ვერსიაში გმირის სახეში „კეთილშობილი ყაჩაღის“ გარდა ეპიკური მბრძანებლის ნიშან-თვისებები ჩანს და ქართული ვერსიის გმირიც უახლოვდება „ეპიკური მბრძანებლის“ მსოფლიო ფოლკლორში გავრცელებულ სახეს.

მსგავსი ვითარება უცხოა ეპოსის ახლოდმოსავლური ვერსიებისათვის. იგი გვხვდება შუააზიურში — განსაკუთრებით — ტაჯიკურსა და უზბეკურში. აქ ქოროლლი სამეფო დინასტიის შთამომავალია, „ჩაბმული მასტონის“ — უტოპიური ქვეყნის სამართლიანი მმართველი, რომელიც იბრძვის უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ.

მართალია, ქართულ ვერსიაში არა გვაქვს პირდაპირი მითითება ქოროლიზე, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლების მოთავეზე (ასეთი გვაქვს უზბეკურში), მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ხალხური შემოქმედება ისტორიული სინამდვილის მხატვრულ განზოგადობას ახდენს და ხალხური ნაწარმოები ხშირად გასიმბოლოებულად წარმოგვიდგენს მასში ასახულ მოვლენას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქოროლლის — ბეგის — „ეპიკური მბრძანებლის“ ბრძოლა ფაშებისა და ქეთხუდების წინააღმდეგ ქართველი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეის მხატვრული განსახიერებაა.

რასაკვირველია, შუააზიური და ქართული ვერსიების აღნიშნული ურთიერთმსგავსება შემთხვევითია, ტიპოლოგიურია და გამოწვეულია იმით, რომ „ეპიკური მბრძანებლის“ სახის ჩამოყალიბებას

ორივეგან ერთი და იგივე საფუძველი აქვს — ეს არის უცხო დამპყრობთა განდევნა და სამშობლოს პატრონობა.

საქართველო  
განმათავისუფლებს

ნიშანდობლივია, რომ „ეპიკური მბრძანებელი“ გვხვდება ქართული ვერსიის სწორედ აქარულ, მესხურ, იმერხელ და ინგილოურ ვარიანტებში, ე. ი. საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც მოსალოდნელია, ქოროლლის ეპოსი უფრო ადრე შესულიყო და, სადაც ეპოსის შესვლა უცხო დამპყრობთა ბატონობის დაწყებას დაემთხვა. ამდენად იგი უფრო ადრინდელი ვითარების გამოხატულებაა.

გმირის სახეში ორი პარალელური შტრიხის არსებობა არ მიგვაჩნია მისი სახის გაორებად. პირიქით, ორივე ეს შტრიხი ავსებს და ქმნის ერთ მთლიან, მონუმენტურ ფიგურას ეპიკური გმირისას, რომელიც უსამართლობას გაქცევია, უსამართლობას ებრძვის და რომლისთვისაც ხალხისა და სამშობლოს პატრონობა განუყოფელია.

ხოლო თუ სახალხო გმირი ბეგია ან ხანების შთამომავალი (როგორც უზბეკურში გვაქვს), ამაში ფეოდალური ეპოქისათვის დამახასიათებელი მსოფლმხედველობის ანარეკლია, იგი დროის ნაყოფია, როცა ხალხის ცნობიერებაში იდეალური ცხოვრება „მეფურ ცხოვრებას“ უტოლდებოდა, როცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ხშირად ხელმძღვანელ როლს სწორედ ფეოდალური კლასის წარმომადგენლები ასრულებდნენ.

მაგრამ ამ შემთხვევაში მთავარი მაინც ის არის, რომ ქოროლლის ეპოსის ქართულ ვერსიაშიც, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალი ხალხის ზეპირსიტყვიერებაში, გმირი — „ეპიკური მბრძანებელი“ — ხალხის იდეის განხორციელებაა, იგი ხალხის მორალური და ფსიქოლოგიური ნიშნების მატარებელია.

თუ გავიზიარებთ მოსაზრებას, რომ „ეპიკური მბრძანებლის“ იდეა ეპოსის განვითარების შემდგომ საფეხურზე მიუთითებს, შეიძლება ვთქვათ, რომ ქართული ვერსია აზერბაიჯანულ და ანატოლიურ ვერსიებთან შედარებით წინ გადადგმული ნაბიჯია „ნახევრადისტორიული ლეგენდის“ განვითარების გზაზე, ამ განვითარებაზე ისიც მიუთითებს, რომ ქართული ვერსიის გმირი გრძნეული ძალებით იმოსება.

ეპიკური გმირი უცნებელია. მას მტრის იარაღი არ ეკარება. ქართულ ვერსიაში ეს მოტივი, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაბუნდოვნებული ფორმით გვაქვს — მისი უცნებლობის შესახებ ქართული ვერსია პირდაპირ არაფერს ამბობს, მხოლოდ მიანიშნებს: „საცხა ცხრა კლიტულში არ გაარონიონ, ქოროლლი მაინც ქოროლლია“. „ქოროლლის ვეფერს უზამენ“. ქოროლლი არაჩვეულებრივი მხედ-



ველობით არის დაჯილდოებული. მისი ეს ზებუნებრივი თვისება შემდეგნაირად არის ახსნილი: „ქოროლის თავის დღეში შიშველი ფეხი არ დაუდგამს მიწაზე და ამიტომ აქვს კარგი მხედველობა“.

ეს მოტივი სრულიად საწინააღმდეგო ახსნას უძებნის გმირის ზებუნებრიობას — მას ძალას დედამიწასთან შეხება კი არ ანიჭებს, როგორც ანთეოსს, არამედ შეუხებლობა. მაგრამ, მიუხედავად თითო-ორთა მოტივისა, ქართულ ვერსიაში გმირის ეპიკური ჰიპერბოლიზაცია შედარებით სუსტია. ამაზე შემდეგი მაგალითიც მიუთითებს: ცნობილია, რაც უფრო იზრდება გმირის ჰიპერბოლიზაცია, მით უფრო მცირდება მისი რაზმის მნიშვნელობა. ეპიკური გმირი თავის თავში აერთიანებს თავისი რაზმის რაოდენობას, ძალას. ასე როდია ქართულ ვერსიაში — მასში მარტოხელა გმირის ბრძოლა ყოველთვის მარცხით მთავრდება.

ქართული ვერსიის გმირიც ვერ ასცილებია ფოლკლორულ გმირთა საერთო ხვედრს: ვარიანტთა ერთი რიგით მას, უძლეველ რაინდს, ჰემშირი ლახავს, ხალხის ქომაგი და პატრონი საწყევლად გამხდარა: „მთელი ქვეყანა წყევლის“. ამ ანტაგონიზმისა და იდეოლოგიური პოლარიზაციის მიზეზები ცნობილია და შესწავლილი ფოლკლორისტიკაში. იგი ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: საწინააღმდეგო იდეოლოგიის შემცველი ვარიანტების შემოქმედნი არიან საზოგადოების ის ფენები, რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი გმირისა და მისი მოღვაწეობის მიმართ, ამას გარდა, იგი გაპირობებულია კლასობრივი საზოგადოების პირობებში თვით კლასებს შიგნით არსებული წინააღმდეგობებით გამოწვეული წინააღმდეგობრივი მსოფლმხედველობით.

#### ქოროლის თანამებრძოლები

ქოროლის ქართული ვერსიითაც მრავალრიცხოვანი რაზმი ჰყავს. ზოგი ვარიანტით, მისი თანამებრძოლების რაოდენობა სამიათას კაცს აჭარბებს. რაზმის ეთნიკური შედგენილობის სიჭრელე, რაც დამახასიათებელია სხვა ვერსიებისათვის, ქართულში აღარ ჩანს. ქართული ვერსია ქაბუკთა სადაურობას თითქმის არ ასახელებს.

ქოროლის უახლოეს თანამებრძოლთაგან ქართული ვერსია იცნობს დემურჩოლისს, აივაზს, ისა ბალას, ქოსა საფრას, დარიბალთას, მუსტაფა გზიროლისს.

ამათგან დემურჩოლისსა და აივაზის სახელებს ვხვდებით როგორც აღმოსავლეთ საქართველოში ჩაწერილ ვარიანტებში, ისე დასავლეთ საქართველოში. ქოსა საფრას, დარი ბალთას, გზიროლისს

გზირშაის (რომელიც გზიროღლუ მუსტაფა ბეგის სახელის დამახინჯებული ფორმაა) მხოლოდ ქართლსა და კახეთში ჩაწერილ ვარიანტებში ვხვდებით.

ცნობილია, რომ ქოროღლის ეპოსის ტაჯიკურ ვერსიაში „ჩაბმული მასტონის“ გამგებელი, ტრადიციის მიხედვით, ქოროღლია, მაგრამ ეპოსის ცენტრალური ფიგურა აივაზია. ანალოგიური ტენდენცია შეინიშნება ქართულ ვერსიაშიც. მართალია, აქ მთავარი გმირი მაინც ქოროღლია, მაგრამ, შეიძლება ითქვას, უკვე ჩანს, რომ ეპოსის ცენტრში დგება დემურჩოღლი. ქოროღლის ყველა გამარჯვების მონაწილე დემურჩოღლია. „იგი დიდი, მაგარი ფელივანია“, „დემურჩოღლი ფუთუმიზდან ყუვათლუა“ (ყველა ჩვენგანზე ძლიერია). დემურჩოღლი ქოროღლიზეც ღონიერია. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ახალგაზრდაა, შეუძლია ხელი მოუჭიროს და თითებიდან სისხლი ადინოს ქოროღლის, სულმოუთქმელად გამოსცალოს ღვინით სავსე დორა, ხელის გადასმით წაშალოს სიქა ოქროს ფულზე. დემურჩოღლიც კარგი აშულია — იგი აშულთა პაექრობაში გამარჯვებული გამოდის.

ქართულ ვერსიაში წინა პლანზე დემურჩოღლის (სიტყვასიტყვით: მჭედლის შვილი) წამოწევა, შეიძლება ითქვას, შორეული გამოძახილია ქართული სინამდვილისა, სადაც „მჭედლობა და სამჭედლო ქურა კულტმსახურების საგნად ქცეულა“, სადაც „მჭედლის ეპიკური პერსონიფიკაცია მომხდარა ეპოსში“ (33,308).

აზერბაიჯანული და თურქული ვერსიებით ქოროღლის ერთ-ერთი უპირველესი თანამებრძოლი და შვილობილი აივაზია. ამ ტრადიციის ხსოვნა გვაქვს ქართულ ვერსიაშიც: „ქოროღლის ნაშვილები ჰყავდა, ეივაზა ერქვა“, „ქოროღლის მოადგილეს ერქვა აივაზი“. „ის ლამაზი ბიჭია, გოგოზე უფრო ლამაზი“. მაგრამ ქართულ ვერსიაში აივაზი, დემურჩოღლისთან შედარებით, მაინც ეპიზოდურ პერსონაჟად რჩება. ჩვენს ხელთ არსებული ვარიანტებიდან მხოლოდ ერთი ეხება აივაზის საბრძოლო თავგადასავალს.

ქოროღლის სხვა თანამებრძოლი ისა ბალა „აივაზზე ლამაზია“, მას ქოროღლიმ „გუზელ ისა ბალა“ (ლამაზი ისა ბალა) შეარქვა. ისიც ძალიან ღონიერია, თორმეტი ფალავნის მიერ ორმოს თავზე დადებულ ქვას ერთი ხელის აკვრით აგდებს.

რაც შეეხება სხვა თანამებრძოლებს, მათი სახელები აქა-იქ გაივლევებს ხოლმე ისე, რომ არავითარ კვალს არ ტოვებს ამბის განვითარებაში. მაგალითად, ერთი კახური ვარიანტით ვიგებთ, რომ ღარიბალთას მხარზე მუხა აქვს გადებული, მაგრამ არც მუხის

ფუნქცია ჩანს და არც დარიბალთასი. კვლავ კახურ ვარდანტში აივანისა და ქოროღლის ჩხუბის ტრადიციულ ეპიზოდში (მთვრალი ქოროღლი სილას გაარტყამს აივანს. აივანში განაწყენდება და გზიროღლისთან წავა) აივანში გზიროღლით არის ჩანაცვლებული.

### ქ ა ლ ბ ი

ქოროღლის ეპოსის ყველა ნაციონალური ვერსია ხანების, ფაშებისა და ბეგების ასულების მდიდარ გალერეას გვთავაზობს, მაღალმხატვრული სიმღერებით ამკობს მათ სილამაზეს, მათ მოტაცებასთან დაკავშირებული ფათერაკების ძლევა ქმნის ბევრი ნოველის შინაარსს.

ქართული ვერსიითაც, გმირები ფაშებს და ბეგებს ლამაზ ასულებს სტაცებენ, მაგრამ ქართულ ვერსიას არ შემორჩენია ამ ასულების საჭებარი სიმღერები. ქართული ვერსია სიტყვაძუნწია მათი გარეგნობის დახატვისას: თელე ხანუმი „თავისი მშვენიერებით მთელ ოსმალეთში განთქმული იყო“, „ლამაზი გოგო იყო“, ეს არის და ეს.

ქოროღლის მრავალრიცხოვანი ცოლებიდან ქართული ვერსია მხოლოდ ნიგარ ხანუმს, ფარად ხანუმს და დონა ხანუმს მოიხსენიებს საკუთარი სახელებით. მათ გარდა იცნობს თელე ხანუმს და ფერუზათ ხანუმს.

ყველა ნაციონალური ვერსიით გმირთა ცოლები სულთნებისა და ფაშებისა და ბეგების ასულები არიან. „მეფის ასულის მოპოვების“ ამ უძველეს მოტივს ჩვენს ეპოსში დაკარგული აქვს ის რეალური საფუძველი და მიზეზი, რომელიც თავის დროზე გააჩნდა და ამჟამად შემორჩენილია, თუ შეიძლება ასე ითქვას, როგორც ძლიერთან დაპირისპირების გამოხატვის ერთ-ერთი მხატვრული საშუალება.

ქართული ვერსია ერთ საინტერესო სიახლესაც გვთავაზობს: ეს არის ქოროღლის ცოლის შერთვის ერთი ძალიან მარტივი ეპიზოდის შემოტანა.

ქოროღლი გზაზე ხედება მოხუც კაცს, რომელსაც თან ქალიშვილი ახლავს. ქოროღლი მოხუცს ერთ ქისა ოქროს აძლევს (იგულისხმება, ურვათად) და ქალიშვილი ცოლად მიჰყავს.

შეიძლება ითქვას, ეს ერთადერთი შემთხვევაა ქოროღლის ეპოსის ნაციონალურ ვერსიებში, როცა გმირის ჰარამხანაში დაბალი წრის წარმომადგენელი შედის. ამ მოტივით ქართული ვერსია ხორცს ასხამს ხალხის იდეალს — სახელოვანი გმირისა და დიდებული ბეგის ცოლი უბრალო გლეხის ქალი ხდება. ამ მოტივის გენეზისი ცნობილია — იგი მხატვრული გამოხატვაა ხალხის სანუკვარი ოცნებისა — გაუტოლდეს ძლიერთა ამა ქვეყნისა და ოცნებაში მაინც

გადალახოს ზღუდე, რომელსაც სოციალური უთანასწორობა ქმნის. ამიტომ არის, რომ ხალხის ფანტაზია ხალხის წრიდან გამოსულ ლაშქარს ქალს ფაშებისა და ხანების ასულთა გვერდით აყენებს და ისეთი სახელგანთქმული კაცის ცოლობის ღირსად თვლის, როგორც ქოროლია.

აღნიშნული მოტივი ქართულ ვერსიაში ქართველ მთქმელებს ადგილობრივი ეპიკური არსენალიდან შეაქვთ ეპოსში (შდრ. ქართ. „ეთერიანი“, 27, 38—59).

ქართული ვერსიის ქალებიც იმეორებენ დანარჩენი ვერსიების ქალების გმირულ თავგანწირვას — საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ და ტყვეობიდან იხსნიან თავიანთ მიჯნურებს, ტოვებენ სასახლეებს და მიჰყვებიან მათ ჩამლიბელში.

თურქულენოვან ხალხთა ეპოსში ძალიან გავრცელებულია მებრძოლი ქალის სახე. ვ. მ. ყირმუნსკისა და ხ. ტ. ზარიფოვის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში შესწავლილია ეს სახე და დადგენილია, რომ იგი გენეტიკურად უკავშირდება „დევგმირი ქალის“ ასეთსავე პოპულარულ სახეს. მაგრამ თუ „დევგმირი ქალი“ მატრიარქალური ურთიერთობების გადმონაშთია, „მებრძოლ ქალში“ ქალური მშვენიერებისა და საბრძოლო ღირსებების რომანტიკული შეხამება გვაქვს (61, 34).

ასეთი „მებრძოლი ქალი“ ჩვეულებრივია ქოროლის ეპოსის უმეტესი ნაციონალური ვერსიებისათვის:

ქოროლის შეილის ჰასანისა და მისი სატრფოს მამის — ყარა ვეზირის ბრძოლაში ჰასანის შემდეგ თვით სატრფო ერევა და სწორედ ის ამარცხებს მამის ლაშქარს (ანატოლიური ვერსია).

ქართულ ვერსიაში ქალების ბრძოლის მოტივი არ დამკვიდრებულა (იგი აქარაში ჩაწერილ ერთ ფრაგმენტში გვხვდება მხოლოდ), ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვენს ეპოსში „მებრძოლი ქალის“ ტრადიცია არ იყო. პირიქით, იგი ბრძოლას ქალისათვის შეუფერებელ საქმედ მიიჩნევს.

„ამირანის თქმულებებში“ ქალის ბრძოლის მიმართ დამოკიდებულება ასეა ჩამოყალიბებული:

„ყამარმა უთხრა ამირანს:

— შენი აბჯარი მე მომეცი, მე ჩავალ საომრადაო.

— რას ამბობ, — გაუჯავრდა ამირანი, — დედაკაცებს თქვენი საქმე ნუ გავიწყდებათ, რა შენი საქმეა ხმალი, ხმლიანი მე ვარ და მე ჩავალ“.

ამბრის დედა ძალ-ღონეს უწუნებს ამირანს და ეუბნება:

ა ის ქვეყანამც კრულია, სადაც შენ ამირანობდი,  
თავს იხურავდი ჩაჩქანსა, ბოლოზე ჭაჭვიანობდი;  
წესი თუ იყოს დედათი, ადვილად გინადირებდი,  
მიგკრავდი მათრახის წვერსა, ცას გიღელ-გიღელ გაგრევედი“ (39,21)



### დ ე დ ა ბ ე რ ი

ქოროღლის ეპოსის ნაციონალურ ვერსიებში ხშირად ვხვდებით მოხუც ქალს, რომელიც დიდი საფასურის მიღების შემდეგ გმირს ეხმარება მიზნის მიღწევაში. იგი საკმაოდ ეპიზოდურია და სქემატური. მხოლოდ თურქმენული ვერსიის „ქემფირია“ ხორცსავე. რეი გრძნეული ქალია — უპირისპირდება გმირს და სჯობნის კიდევ მას.

ქართული ვერსიის მხოლოდ აქარულ ვარიანტებში გვხვდება მოხუცი ქალი. ეს არის ნინე (ბებია), ჯაზი ნინე (ჯადოქარი ბებია), მკურთხავი დედაბერი (მკითხავი დედაბერი).

თუ მივმართავთ პროფ. ალ. ლლონტის მიერ გაკეთებულ კლასიფიკაციას ქართული საზღაპრო ეპოსის დედაბრისას, ვნახავთ, რომ ქართული ვერსია იცნობს დედაბრის I და VI ტიპებს: დედაბერი — მაცნე და ცბიერი დედაბერი (29,5).

დ ე დ ა ბ ე რ ი-მ ა ც ნ ე ეხმარება გმირებს ერთმანეთთან შეხვედრაში. მაგრამ ყოველთვის დიდი გასამრჯელოს ფასად:

დემურჩოლი მიდის დატყვევებული ქოროღლის დასახსნელად. „მეფეს გაცემული აქ ბრძანება, ვინცხა უცხო კაცი მუა, არავინ დააყენოსო, ყველა ჩემთან მევდესო“.

მივიდა სოფელში. ერთ დედაბერს უთხრა, დამაყენეო, დედაბერმა უთხრა, ვერ დაგაყენებ. ასეა ბრძანებაო.

ამ დედაბერს მიცა ოქრო და უთხრა, დამაყენეო.

აი ღარიბი დედაბერი იყო და ოქრო რუმ დეინახა!

დედაბერმა რუმ შეიყვანა, უთხრა:— აგერ, რამდენი ოქროც მოგეცი, ორ იმდენს მოგცემო, ქოროღლისთან მიმიყვანეო.

დედაბერმა უთხრა:

— მოვახერხებ რაცხასო.

შემდეგ ამ დედაბერმა მივდა მეფის გოგოსთან და უთხრა, ასეა, კაცია მოსული და ქოროღლი უნდა ანახო.

ისა ბალა ნახავს ერთ ჯაზი ნინეს, იმას თხოვს რუმ შენთან ვიცხოვრო სახში, მე სახლი არა მაქო.

ჯაზი ნინემ ჯერ ვარი უთხრა. მერე ისა ბალამ მიცა მას ფული და დეითანხმა. ისა ბალა აქ დეიწყებს ცხოვრებას. ჯაზი ნინეს მატე-

რის აყიდვიეფს. გაატანს გასაყიდათ. ამა თუ ყიდიან სამ შავრათ,  
შენ გაყიდე ორ შავრათო, ებნევა.

ნინე ყიდის ამას. მეფის სახთან გეჰარს. მეფის ქალიშვილი დეი-  
ნახავს ამას. დუუძახნეფს და კითხავს:

— რამითათ ყიდი ამასო, ვისიაო?

— ჩემთან ერთი ქოროღლის ბეგია და ის მაყიდიებს ამასო.

მეფის გოგოსაც ეს უნდოდა და უთხრა:

— საცხა ნა (უნდა) იყოს, მომიყვანეო.

ჯაზი ნინე ამ ბეგს ჩააცვამს ქალის ურუბას და მიიყვანს მეფის  
გოგოსთან“ (49).

ც ბ ი ე რ ი დ ე დ ა ბ ე რ ი ქოროღლის ცოლს ასწავლის, რო-  
გორ მოატყუოს ქმარი: „ერთი ჯაზი ნინეა ყოფილა. ამ ნინეს უთხ-  
რა ქალმა, რაცხა ნა მიშველოო.

ამ ნინემ უთხრა:

— შეა, დაჯე, ძუხა (თურქ. yuha—ხმიადი) გამოაცხვე, დავაგოთ  
ქილიშზე (ფარდაგზე) და ზეედან დავახუროთ ადილა.

მერე დააგეს ლოგინი. უთხრა ქოროღლის ქალს:

— შენ დაწექი ლოგინში, მე წავალ ქოროღლის დუუძახნეფ. შენ  
გადაბრუნდი და ძუხა ტრევას დეიწყობს. ქმარი გეტყვის, რა გინ-  
დაო. შენ უთხარი, სულ ძვლები მემტვრევაო, დირეგზე (ბოძზე) რომ  
კაცი გყავს მიკრული, ის გუუშვი და მე გავმთელდებიო“ (49).

ც ბ ი ე რ ი დ ე დ ა ბ ე რ ი მ კ ი თ ხ ა ვ ი დ ე დ ა ბ ე რ ი, რომელიც აქარულ ვა-  
რიანტებში გვაქვს, წყარო ვერსიებში არ გვხვდება. ამდენად, იგი  
აქარულში ადგილობრივ ნიადაგზე გაჩენილად შეიძლება მივიჩნიოთ.  
ამ შემთხვევაშიც წყარო ქართული ჯადოსნური ზღაპარია, სადაც  
სხვა ვარიაციით, მაგრამ მაინც მინიშნებულია ქალის მიერ ავადმყო-  
ფობის მოგონება, რათა ქმარი რაიმე საქმის გაკეთებაზე დაიყოლიოს.

კ უ დ ი ა ნ ი დ ე დ ა ბ ე რ ი — მ რ ჩ ე ვ ე ლ ი ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ფ უ ნ ქ ე ი თ ც ნ ო -  
ბ ი ლ ი ა ქ ა რ თ უ ლ ე ბ ო ს შ ი . ა მ ი რ ა ნ ის ე ბ ო ს ის ქ ა რ თ ლ უ რ ი და ო ს უ -  
რ ი ვ ა რ ი ა ნ ტ ე ბ ის კ უ დ ი ა ნ ი დ ე დ ა ბ რ ის წ ყ ა რ ო ც ქ ა რ თ უ ლ ი სა ზ ლ ა პ რ ო  
ე ბ ო ს ი ა .

ქ ა ჩ ა ლ ი ო ქ ე ლ ო ლ ა ნ ი

თურქულენოვანი ხალხების ზეპირსიტყვიერებაში კოლორიტუ-  
ლი ფიგურაა ქელოღლანი (ქაჩალი ბიჭი). იგი თანაბრად პოპულა-  
რულია ჯადოსნურ და რეალისტურ-საყოფიერო ზღაპრებში.

ზღაპრის ქელოღლანი ეპიკური გმირის საპირისპირო პერსონა-  
ჟია. იგი დაბალი სოციალური წარმოშობისაა, უშნო გარეგნობა აქვს  
და უქნარაა, მაგრამ ხშირად იჩენს მოხერხებულობასა და საზრიანო-

ბას. მას, როგორც „დემოკრატიულ პერსონაეს“, ხალხის სიმბოლოები მოსაეს.

საქართველოს  
საზოგადოებრივი  
მემორიალი

ქოროლლის ეპოსის თურქული ვერსიის ქელოლლანი და აზერბაიჯანულის ქაჩალი ჰამზა ქართულ ვერსიაშიც შემოსულან. ქელოლლანი ქურდი, ვერაგი და მატყუარაა. მას ერთი სურვილი აქვს — შეირთოს ფაშას||ბეგის||ქეთხუდას ასული და უზრუნველი ცხოვრება დაიმკვიდროს. ამ მიზნით ის მოტყუებით შეიპარება ქოროლლის სამყოფელში, იპარავს მის ცხენს და მიჰყავს თავის მბრძანებელთან, მაგრამ როგორც კი შეპირებულ ქალს მიიღებს, სიმამრსაც დალატობს და იმის შიშით, ქოროლლიმ არაფერი დამიშავოსო, მასაც ეხმარება ცხენის უკან დაბრუნებაში.

ქართული ვერსიის ქელოლლანი||ქაჩალი, ზღაპრის ქელოლლანისაგან განსხვავებით, უარყოფითი პერსონაჟია. იგი ბოროტებისა და ვერაგობის განსახიერებდა: „ქაჩლევს ბევრი თავზე ბოსტნები მოუხნავყე“, ქაჩალმა ნიგარის მამას „რამქთონა ცხორი შეუქამა, ამა (მაგრამ) არც კი ფიქროვდენ, რო ისი ქნევდა აიგე ქურდობას“.

#### ქოროლლის ეპოსის ქართული ვერსია და ქართული ხალხური ზღაპარი

ქართული ვერსია ძირითადად ინარჩუნებს რეალისტურ ელფერს, რაც დამახასიათებელია ეპოსის აზერბაიჯანული და თურქული ვერსიებისათვის. ქართულ ვერსიაშიც რეალური გმირები რეალურ გარემოში მოქმედებენ. გარემო რეალურია როგორც სოციალური, ისე გეოგრაფიული თვალსაზრისით. როგორც დავინახეთ, რეალურია და ადგილობრივი, ქართული სინამდვილით ნაკარნახევი, ყოფითი ელემენტები.

მაგრამ ვერც ქოროლლის ეპოსის ქართული ვერსია ასცდენია ეპოსში ზღაპრის ელემენტების შეჭრის საყოველთაო პროცესს. მასშიც ისევე ჩანს ჯადოსნური ზღაპრის გავლენა, როგორც რუსულ „ბილინებში“ (79), სლოვაკურ ლირიკულ სიმღერებში (55,27), ქოროლლის ეპოსის სხვა ნაციონალურ ვერსიებში. მართალია, ზღაპრული ელემენტები ხშირად ტიპოლოგიურია, მაგრამ ყველა ხალხი მას საკუთარი საზღაპრო ეპოსიდან იღებს, თავისი საკუთარი, საუკუნეების მანძილზე შემუშავებული ფოლკლორული ტრადიციების მიხედვით იყენებს.

ქოროლლის ეპოსის ქართული ვერსიისთვისაც ზღაპრული ელემენტების წყარო ქართული ზღაპარია. როდესაც ქართული

ზღაპრის გავლენაზე ვლადპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს კომპო-  
ზიციური და სიუჟეტური ელემენტები, რომელიც ქართულ ვერსია-  
ში გაჩენილია და არ შემოპყოლია წყარო ვერსიებს.

აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ქართული ვერსიის ვარიანტთა-  
უმეტესობაში მოქმედების ადგილისა და დროის განზოგადების ტენ-  
დენცია. ასეთ ვარიანტებში მოქმედება მიმდინარეობს არა რომე-  
ლიმე კონკრეტულ ქალაქში, არამედ „ერთ ქალაქში“ და არა შაჰ-  
აბასის, ხონთქრის ან ჯაფარ ფაშას კარზე, არამედ, „ერთი დიდებუ-  
ლი ხელმწიფის“ კარზე და ხდება „ერთ დროს“. ამბავი იწყება სტე-  
რეოტიპული ფორმულით: „ერთ დროს, ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა  
ერთი დიდებული ხელმწიფე“. ეს ვარიანტები ზღაპრისათვის ტიპი-  
ური დამაბოლოებელი ფორმულით სრულდება: „დაიწყეს ბედნი-  
ერი ცხოვრება“, ანდა კიდევ — „ჭირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მო-  
ვიტანე“.

მართალია, ზღაპრისათვის დამახასიათებელი დასაწყისი და და-  
მაბოლოებელი ფორმულები ქართულ ვერსიაშიც იშვიათად გვხვდე-  
ბა, მაგრამ მათი არსებობა მაინც მოასწავებს, რომ ქართულ ვერსია-  
ში, განსხვავებით ამიერკავკასიური და თურქული ვერსიებისაგან,  
შექრილა ზღაპრის კომპოზიციის ელემენტები.

ქართული ვერსია იმითაც უახლოვდება ზღაპარს, რომ არ გვაძ-  
ლევს გმირის პორტრეტს. თუ სხვა ვერსიებში ქოროლი ეპიკური  
გმირისათვის დამახასიათებელი გარეგნობისაა: აქვს დიდი თვალები,  
დიდი უღვაშები, საშიში შესახედავია და სხვა, ქართული ვერსი-  
ისათვის იგი მხოლოდ „ლამაზი კაცია“, ლამაზები არიან ისა ბალა და  
აივაზიც.

ჯადოსნური ზღაპრის მოტივებს შორის, რომლებიც ქართულ  
ვერსიაში გვხვდება, შემდეგს დავასახელებთ:

I. გმირის მიერ მამისათვის თვალის ასახელი წამლის შოვნა.

ქოროლის მამა ბრმაა. გმირი მიდის წამლის მოსატანად. იგი  
იტაცებს წამალს, გმირის ანტაგონისტი შვიდი დევია, რომელთაც  
თავიანთი სასახლის მეშვიდე ოთახში ჩაკეტილი აქვთ წამალი. გმირ-  
მა დახოცა დევები, წამოიღო ბოთლი, რომელშიც „თოლები წამალი“  
იყო, „მოვდა შინ. მამამ რო დაიბანა, კაი ქნა თოლები“ (ინგილოური  
ვარიანტი). შეადარე: ქართული ზღაპრის მოტივი თვალის ასახელი  
წამლისა. წამალი უმეტესად წყალია, რომელსაც გრძნეული არსება  
ფლობს (ზღაპარი „მეცხვარე, ბრმა დევი და ფეიქრის შეგირდი“  
(38,143).

ბრმა მამისათვის თვალის ასახელი წამლის შოვნის მოტივი სრუ-



ლიად განსხვავებულია წყარო ვერსიებისაგან. იქ წამალი მდინარის ქაფია, მაგრამ იმის მაგივრად, რომ გმირმა იგი მამას მიუტანოს, თუ-  
თონ სვამს და უდიდეს ძალ-ღონეს იძენს.

II. ქოროლის შვილი მამის უნახავად იზრდება. ერთ დღეს ბავშ-  
ვები წამოსძახებენ „ბუში ხარო“ და შვილი მიდის მამის საძებრად.  
ეს მოტივი ცნობილია ეპოსის ბევრ ვერსიაში, მაგრამ ქართულში  
მას განსხვავებული, ქართული ზღაპრისათვის დამახასიათებელი  
გაფორმება მიუღია: „ეს ბიჭი დღითიღღე იზრდება, ყველას პანტა-  
სავით ყრის. ერთმა ბალანამ უთხრა რომე „ფიჯი ხარ შენ“. ადგა მე-  
რე ამ ბიჭებმა, წამოვდა დედასთან, ძუძუ ამოაღებია. უკბინა ძუ-  
ძუზე და უთხრა:

— ვინ იყო ჩემი მამა?

უთხრა ესა და ეს იყოო და ა. შ. შეადარე ქართული ზღაპარი  
„ათი ძმა და ერთი და“.

III. ქართული ვერსიის ცბიერ დედაბერზე მსჯელობისას  
მოვიტანეთ მაგალითი, სადაც ქოროლის ცოლი, ნიგარ ხანუმი  
ქმარს დატყვევებული ძმის გათავისუფლებას სთხოვს და ატყუებს,  
ავად ვარ და, თუ თხოვნას არ შემისრულებ, მოგკვდებიო. „გერ-  
დედინაცვლის“ ციკლის ქართულ ზღაპრებში ჩვეულებრივია ავი  
დედინაცვლის მიერ ავადმყოფობის მოგონება, რათა ქმარი შვილე-  
ბის დაღუპვაზე დაიყოლიოს (შდრ.: ზღაპარი „წიქარა“).

ქართულ ვერსიაში გმირები ფლობენ ჯადოსნურ საგნებს: სარ-  
კეს, რომელშიც ქვეყნიერება ჩანს და ბეჭედს, რომელსაც თვალი  
ელრუბლება, თუკი ქოროლის კაცს სადმე გაუჭირდა.

მსგავსი ზღაპრული ელემენტების შემოსვლამ ქართულ ვერ-  
სიაში ქართველი მთქმელისათვის განსხვავებულად წარმოვიდგინა  
ქართული ვერსიის რაგვარობის საკითხი. მის აღსანიშნავად ძირი-  
თადად ქართული ტერმინები „ამბავი“ და „თქმულება“ გვხვდება.  
გვხვდება აგრეთვე მათი თურქული ეკვივალენტი „ექია“ (არაბ.-  
თურქ. hikâye) და „ნაილი“ (არაბ.-თურქ. nâkil).

როგორც პროფ. მ. ჩიქოვანმა გაარკვია, ტერმინი „ამბავი“ კლასიკური პერიოდის ქართულ ლიტერატურასა და ზეპირსიტყვიერე-  
ბაში გამოიყენებოდა საგმირო-სარაინდო თქმულების აღსანიშნავად,  
რაც შემდგომ პერიოდში შეცვალა ტერმინმა „თქმულება“ (34,410).

ქოროლის ეპოსს, რომელიც „ნახევრადისტორიული“ საგმი-  
რო-სარაინდო თქმულებაა, ზუსტად ესადაგება აღნიშნული ქართუ-  
ლი ტერმინი, მაგრამ მთქმელი რომ მას ხშირად ზღაპარსაც უწო-  
დებს, იმაზე მიუთითებს, რომ ზღაპრის ელემენტების მოჭარბება

შლის ზღვარს „ამბავსა“ და „ზღაპარს“ შორის და ქართულ ვერსიაშიც ისახება ის ნიშნები, რამაც სხვა, მაგ. შუააზიურ ვერსიებში „ნახევრადისტორიული ლეგენდიდან“ სადევეგმირო ზღაპარი მოგვცა (61, 183—244).

მართალია, ქართულ ვერსიას არ მიუღია ისეთი ფართო გავრცელება და არც ისეთი ვადამუშავება განუცდია, როგორც შუააზიურმა ვერსიებმა, მაგრამ მას ქართულ ნიადაგზე გაჩენილი ცვლილებებიც საკმარისად აცილებს აზერბაიჯანული და თურქული ვერსიების უმთავრეს ვარიანტებს.

მოქმედების ადგილისა და დროის განზოგადებით, ზღაპრულ-ფანტასტიკური ელემენტების მოქარბებით, ქართული ზღაპრისათვის დამახასიათებელი მოტივების მოშველიებით, გმირის სახეში „ეპიკური მბრძანებლის“ ნიშნების გაჩენით და სხვ. ქართული ვერსია იჩენს ტენდენციას ვასცილდეს „ნახევრადისტორიული ლეგენდის“ საზღვრებს და მიუახლოვდეს ზღაპრის მიჯნას. ამ ნიშნით ქართული ვერსია სცილდება ქურთულ, სომხურ და თურქულ ვერსიებსაც (ე. წ. პირველი ჯგუფის ვერსიებს), რომლებშიც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია აზერბაიჯანული ვერსიისათვის დამახასიათებელი რეალური ისტორიული ფონი.

## ГРУЗИНСКАЯ ВЕРСИЯ ЭПОСА «КЕР-ОГЛЫ»

Одним из самых популярных в богатейшем эпическом наследии тюркских народов является эпос «Кер-оглы», давно перешагнувший за пределы тюркоязычного фольклора и обогативший творчество соседних народов.

В настоящее время известны двенадцать национальных версий эпоса «Кер-оглы» у народов Закавказья, Малой Азии, Северного Ирана, Средней Азии, Казахстана, Сибири. Версии эти, при наличии общей сюжетной основы, являются самобытными национальными произведениями, отвечающими требованиям фольклорных традиций создавшего его народа.

Выявление и изучение каждой национальной версии имеет большое значение для их исследования в сравнительном аспекте.

С этой целью изучены записи грузинской версии эпоса «Кер-оглы», хранящиеся в фольклорных архивах Института истории грузинской литературы им. Ш. Руставели АН ГССР, Батумского научно-исследовательского института АН ГССР, Тбилисского государственного университета, в фондах Института рукописей им. К. Кекелидзе АН ГССР, а также варианты, записанные профессором К. А. Сихарулидзе в Кахети и доцентом Тбилисского университета Т. Д. Курдованидзе в Месхети.

Большая часть вариантов зафиксирована нами во время экспедиционных поездок в Аджару и Картли.

Из всех версий менее изучена грузинская. Это подтверждается критическим обзором тех трудов, в которых рассмотрена грузинская версия. Таков доклад проф. М. Я. Чиковани и С. Б. Серебрякова «Сказание о Кер-оглы и Ашуг Гарибе в грузинском фольклоре» на сессии, посвященной итогам археологических и этнографических исследований 1964 г. в СССР (Баку, 1965 г.). Но, разумеется, в докладе не могли быть рассмотрены все варианты грузинской версии эпоса «Кер-оглы» и вопросы связанные с ними.

Относительно полное изучение грузинской версии ставит своей целью труд азербайджанского ученого Ф. К. Фахрадова «Закавказская версия эпоса «Кер-оглы» (Авторефе-



рат докторской диссертации, Баку 1968 г.). Но <sup>неискренность</sup> изучаемого автором грузинского материала и <sup>некоторые</sup> неверные установки дает нам право отметить, что в указанном труде грузинская версия не изучена должным образом.

В. А. Карриев в своей книге «Эпические сказания о Кер-оглы у тюркоязычных народов» (М., 1968 г.) посвятил специальную главу грузинской версии. Но, исходя из общего состояния изучения вопроса, ученый пришел к заключению, что исследование этой версии является очередной задачей советских фольклористов.

Большинство исследователей генезис эпоса «Кер-оглы» связывает с т. н. «Джелалийской смутой» (восстание крестьян и мелких феодалов, начавшееся в Османской империи к концу XVI века и впоследствии распространившееся на территории Азербайджана и Армении). Некоторые исследователи прототипом героя эпоса считают одного из вождей восстания — Кер-оглы, о котором упоминает армянский историк XVII века Аракек Даврижеци. Некоторые же исследователи данный эпос считают отражением тех мощных социальных движений вообще, которые оставили глубокий след в истории Азербайджана XVI—XVII веков.

Национальные версии не сохранили память об этих движениях. Правда, азербайджанская версия «еще не выходит за рамки полусторической легенды», но азербайджанская фольклорная традиция создала героический эпос о «благородном разбойнике», защитнике интересов угнетенных масс.

В отличие от существующей традиции, меджлиси №№ 19 и 20 рукописи Т-140, хранящейся в мусульманском фонде Института рукописей им. К. С. Кекелидзе АН Груз. ССР, в какой-то мере сохраняют сведения о тех событиях, которые могли послужить основой для появления героического эпоса XVI—XVII веков. Правда, поводом протеста Кер-оглы и в этом случае явилось ослепление его отца шахом Аббасом II, но настоящей причиной следует полагать ущемление привилегий туркменских племен в Сефевидском Иране.

«Туркменское племя древнее и большое племя, — гласит рукопись, — оно состоит из нескольких частей. Среди них самые знаменитые: Теке, Юмуд и Джелали. Они происходят из Румских вилайетов. Из Румских вилайетов они переселились во времена шаха Исмаила Сефевидского и ныне проживают от границ Ирана и Мервшахджахана до Мавераннахра. Туркмены не платили падишаху бадж и харадж. Отец Кер-оглы был кетхудой джелалиев. Шах повсюду поставил новых хакимов. Мазандаранский хаким Аллах-Ярхан обязал туркменцев платить налоги». Далее повествует-

ся о том, как, по просьбе соплеменников, Мирза-бек явился к хакиму с жалобой, как его арестовали и как освободили его по требованию джелалиев. Мирза-бек и его сын предстали перед падишахом и заявили ему: «туркмены всегда честно служили шаху и никогда не платили налогов, а ныне хаким душит нас». Шаху понравился Мирза-бек и оставил его при дворе в должности старшего конюха.

В дальнейшем рассказывается о конфликте, связанном с плешивой лошадей и ослеплении шахом Мирзы-бека, повествуется борьба джелалиев с войском Аллах-Яр-хана, поражение хана и его убийство Рушаном (Кер-оглы). Племя Джелали, избегая гнева шаха, снялось с места и присоединилось к другим туркменским племенам.

Мирза-бек умер, так и не отомстив шаху. Рушан поклялся отомстить за незаслуженное наказание отца.

Так начинается жизнь народного мстителя, полная романтизма и героической доблести.

Упоминание Аббаса II в приведенном отрывке, по нашему мнению, можно считать анахронизмом, т. к. при нем всякие привилегии кочевых племен давно были забыты. Ограничение привилегий и народные движения, вызванные этим ограничением, имели место, как известно, при шахе Аббасе I, до реформ которого кочевые и полукочевые кызылбашские племена, как основная военная опора государства, были освобождены от податей. Но со времени правления шаха Аббаса I, во имя интересов централизованного государства, начинается ограничение привилегий кызылбашских племен. Среди других реформ этому способствовала и административная реформа шаха, направленная против могущества кызылбашских эмиров — замена военного управления эмиров гражданским управлением иранской бюрократии.

Кочевые племена оказывали яростное сопротивление шахским реформам, в стране, то и дело, вспыхивали восстания, за которыми последовало полное уничтожение некоторых племен войсками шаха.

Сведения рукописи показывают особую близость с сообщением историка Искандера Мунши об убийстве туркменами наместника шаха — Мухаммеда Яр-хана, что послужило поводом полного истребления туркменского племени шахом Аббасом I.

Подобные сведения, сохранившиеся в рукописи, дают возможность полагать, что генезис эпоса можно связывать с социальными и политическими движениями кочевых и полукочевых тюркских племен, которые имели место в Иране

XVI—XVII веков и основной ареной которых являлась территория Азербайджана.

Разумеется, народное творчество не могло обойти стороной такое огромное явление, как «джелалийская смута» и отклик на это восстание мог наслоиться в эпосе в процессе его формирования.

Что касается связи героя с джелалийским восстанием, опираясь на сведения армянских историков Аракела Даврижеци и Мартироса Халфа, а также — турецкого историка Эвлия Челеби, можно полагать, что Кер-оглы — вождь мятежных туркменских племен — присоединился к восстанию уже прославленным героем.

Разумеется, эпос «Кер-оглы» не может являться ни биографией какого-либо исторического героя и ни описанием какого-либо конкретного явления. Как известно, в творческом процессе народа блекнет реальная основа произведения и вокруг одного героя, одного происшествия концентрируются признаки разных героев и явлений.

В период возникновения тюркского эпоса «Кер-оглы» в XVI—XVII веках усилилось наступление Ирана и Турции на Грузию. В результате этого в некоторых провинциях Грузии начался процесс исламизации и туркизации (Месхети, Лазети, Аджара, Саингило) и оседание в Квемо Картли тюркоязычных кочевых племен.

В указанный период Тбилиси вновь становится узлом транзитных торговых путей, в городе оседают купцы и ремесленники из Ирана, Турции, Армении — люди разных племен, говорящие на разных языках, принесшие свои обычаи и фольклорные традиции.

Таким образом, в грузинский быт внедряются сугубо восточные элементы (особенно при царях мусульманах), а в литературу — восточные сюжеты. Показательно также усиленное проникновение персидских народных дастанов именно с XVI века (9, 5), несмотря на то, что генеральная линия грузинской литературы данной эпохи служит развитию и углублению национальных традиций (литературная школа царя Арчила).

Вышеизложенным обусловлено появление в Грузии восточных ашугов, в репертуаре которых уже с XVII века значительное место занимало сказание о Кер-оглы. Аудитория ашугов первоначально была не грузинской. Со временем, по-видимому, у них появились и грузинские слушатели, в основном, жители тех провинций, туркизация которых медленно, но все же продолжалась, а также — тбилисские грузины, владеющие азербайджанским, турецким и армянским

языками. Вместе с тем, ашуги, обосновавшиеся в Грузии, сами овладевали грузинским языком и, начиная с XVIII века, среди них появились и те, которые слагали свои песни на армянском, азербайджанском и грузинском языках.

Исходя из сказанного, можно полагать, что в Грузии с ранних пор стало известно имя Кер-оглы и сказания, связанные с ним. Но одно дело слушание чужого сюжета, а другое — принятие его, так как для народа неприемлем какой-либо сюжет не соответствующий его духовным требованиям.

«Разбойничий цикл» в мировом фольклоре обусловлен усилением национальной и классовой борьбы. Можно полагать, что в Грузии имелись предпосылки для распространения сказания о Кер-оглы, как произведения данного цикла. Классовая и освободительная борьба, которыми полна история Грузии позднего средневековья, создавали соответствующую почву для появления в грузинском народном творчестве образа героя, борющегося против социального и чужеземного гнета. С 30-ых годов XIX века, когда, в связи с развитием денежно-товарных отношений, усилилась эксплуатация крестьянства, участились случаи неповиновения крепостных феодалам, их убийство крепостными и уход в разбойники. В результате, в грузинском фольклоре создается множество песенных циклов о «благородных разбойниках».

Кроме того, герой, выступавший против шаха и султана, мог заслужить особые симпатии грузинского народа, в творчестве которого борьба против иранских и турецких завоевателей занимала не малое место.

Особую роль в деле популяризации эпоса «Кер-оглы» и, следовательно, дальнейшего формирования грузинской версии сыграла тбилисская пресса XIX века, часто публиковавшая переводы отрывков азербайджанской версии.

Во второй половине XIX века, когда грузинские писатели для передачи своих социальных и политических идей часто прибегали к образу «благородного разбойника», в нашей литературе появляется и имя Кер-оглы.

В 50-ые годы XIX века грузинский драматург Зураб Антонов, использовавший сюжет повести И. И. Евлахова «Шамлибельская долина», пишет драму «Кер-оглы». Произведение З. Антонова считается значительным явлением в грузинской драматургии. «Кер-оглы З. Антонова — первый защитник угнетенных масс на сцене грузинского театра».

Грузинский поэт XIX века Рафаэль Эристави в стихотворении «Кер-оглы» изображает скорбь народного героя по поводу появления огнестрельного оружия.

В конце XIX и в начале XX веков популярный тбилисский поэт Давид Гивишвили сделал стихотворный перевод эпоса со слов ашугов. Прозаическая часть им переведена грузинским шестнадцатисложным стихом (шаири), а для поэтической оставлены формы оригинала (кошма и гаризла).

Все это, безусловно, оказало значительное влияние на дальнейшее развитие грузинской версии эпоса «Кер-оглы».

Грузинская версия эпоса «Кер-оглы» — прозаическая. Реже встречаются стихотворные фрагменты вперемежку с прозой в репертуаре сказителей, владеющих турецким языком; тут же сказителем дается дословный перевод стиха. В вариантах, зафиксированных в Восточной Грузии, не встречаются даже фрагменты стихов.

Турецкие стихи в грузинской версии не сопровождаются мелодией. Вообще, грузинская версия рассказывается также, как всякое прозаическое произведение грузинского фольклора.

Песни о Кер-оглы отсутствуют в репертуаре грузинских народных певцов — мествире и мечипоне.

Грузинская версия эпоса «Кер-оглы» распространена лишь на той исторической территории Грузии, где местному населению навязывался ислам, где грузины имели контакты с тюркоязычными племенами, или же, куда из Тбилиси переселилась часть населения — носителя восточной культуры.

Источником аджарских, месхетских и имерхевских вариантов можно считать турецкую версию. Варианты, записанные в Картли и Кахети, тяготеют к азербайджанской версии, а два кахетинских варианта, из которых один хранится в фольклорном архиве Института грузинской литературы им. Ш. Руставели АН Груз. ССР, а другой в личном архиве проф. К. А. Сихарулидзе, связаны с азербайджанской версией посредством «Кер-оглы» Д. Гивишвили. Помимо сюжетной близости эти варианты содержат также фрагменты 16-сложных стихов Д. Гивишвили.

Ингилойские варианты по содержанию близки к кахетинским, но, в отличие от них, изобилуют сказочно-фантастическими элементами.

Наиболее полным в сюжетном отношении являются ранние записи вариантов грузинской версии, сделанные К. Гварамадзе в Месхети (1909 г.) и акад. Н. Я. Марром в сел. Имерхеви (1911 г.). А записанные нами за последнее время аджарские и картлийские варианты отличаются краткостью.

В грузинской версии выделяется целый ряд вариантов, которые повторяют основное сюжетное ядро эпоса незначи-



тельными изменениями. Помимо этого, часто встречаются и такие варианты, в которых традиционный сюжет распространен включением новых мотивов и эпизодов.

Сравнительно реже, но все же наблюдаются совершенно иные, возникшие на грузинской почве сюжеты. Среди вариантов, доступных нам, выделяются пять таких сюжетов: 1. Слепой отец вместе с Кер-оглы гостит у своего брата — калеки; брат дарит им несколько овец и двух коней, из которых один становится волшебным помощником героя. По этому варианту Кер-оглы не разбойник, а государь. 2. Нищий волшебник указывает отцу Кер-оглы лекарство от слепоты, Кер-оглы в поединках с дивами добывает лекарство и отец становится зрячим. 3. Кровные враги Кер-оглы и Боли-бек рождаются. 4. Кер-оглы на Годердзийском перевале встречается с «хемширом», последний побеждает Кер-оглы, и только вмешательство Демурч-оглы спасает его от неминуемой смерти. 5. Кер-оглы в горах встречается с «малазоном» (монашка, старуха — в диалектах), которая проклинает его.

Для всех вариантов более или менее характерен национальный колорит.

Грузинская версия, как и все национальные версии, содержит картину социальной дифференциации феодального общества, во главе которого стоит верховный повелитель — шах//султан//падишах. Лишь в некоторых вариантах зафиксированы и грузинские титулы: «мепе» (царь), «хелмципе» (повелитель, государь). Государственный аппарат составляют также визири, паши, ханы, беки, кетхуды; не забыт и карающая рука повелителя — палач. Низшее сословие, кроме основной массы крестьян, составляют конюхи, батраки, слуги. Представлено и среднее сословие — ремесленники и купцы.

Во всех вариантах заостряется внимание на безграничном деспотизме государей и феодальной знати.

Повелитель живет в неприступном дворце-крепости. Картину феодального города создают высокие крепостные стены с железными воротами; на городской площади глашатай обращается к народу от имени владыки; на всю улицу восхваляют свой товар мелкие торговцы; в городе находятся базар и мастерские ремесленников; в кофейнях устраиваются соревнования ашугов, т. н. «марака».

Грузинская версия формировалась в разных социально-политических условиях, что отразилось в его вариантах.

С начала XVII века политическими и социальными врагами населения юго-западных провинций Грузии явились турецкие феодалы, или же грузинская знать, принявшая ислам. Поэтому в аджарских, месхетских и имерхевских вариантах антагонистами героя остались султан, паши, беки турецкой версии. Не меняется антагонист героя азербайджанской версии (варианты А. Ходзько, рукопись Т—140) — шах Аббас — и в большинстве картлийско-кахетинских вариантах, так как это имя для сказителя-грузина ассоциируется вообще с тиранией и с врагом родины.

Особый интерес, по нашему мнению, вызывают ингилойские варианты, где антагонистом героя является не шах, а кетхуда.

Дело в том, что с XVIII века в Саингило кетхуды, избравшиеся феодальной верхушкой из среды лезгин или олезгиневшихся грузин и сконцентрировавшие в своих руках значительные земельные угодья, для местного крестьянина являлись символом национального и социального гнета.

Отражением грузинской действительности является борьба героя против крепостничества, так как феодальная система Турции и Азербайджана не знала эту форму феодальных отношений.

Грузинская версия эпоса сохранила из версий источников те моменты социальной жизни народа, те детали быта, которые не чужды грузинской действительности той эпохи, но многоженство героя не сохранило свою классическую форму даже в аджарских и месхетских вариантах.

Географическая среда грузинской версии в основном ограничивается местной территорией. Даже традиционное местонахождение героя — Чамлибель перенесено на грузинскую землю. Помимо того, по месхетскому варианту, Кероглы живет «в одной из скальных пещер Грузии». По некоторым аджарским и картлийским вариантам он проживает в Триалети. Ингилойские варианты повествуют, что отец героя «пас своих коней на берегу реки Алазани» (в Кахети). Соратники Кероглы наезжают в Тбилиси. Кельоглан увозит украденную лошадь героя в Батуми. Но грузинские варианты полностью не отказываются от топонимов версий-источников и герои, избегая гнева шаха, из «города Тегеран переселились в гор. Стамбул».

Из основных эпических мотивов в грузинской версии выделяются следующие:

### 1. Мотив любви

1. Герои влюбляются, не видя друг друга.
2. Женщина влюбляется в пленника своего отца и помогает ему побег.
3. Влюбленная красавица оставляет отчий дом и без оглядки следует за своим избранным.

Во всех случаях инициативой владеет женщина.

### II. Мотив побратимства

1. Богатыри, восхищенные героической доблестью Кер-оглы, сами приходят к нему, предлагая свою верность и дружбу.
2. Побратимству предшествует поединок героев — побежденный богатырь предлагает Кер-оглы свою дружбу.

Сохранение в грузинской версии указанных мотивов, типичных для эпических сказаний всех народов, обусловлено также местной эпической традицией.

### III. Культ коня и оружия героя

То обстоятельство, что культ коня в грузинском народном творчестве занимает не последнее место, обусловило сохранение в грузинской версии «Кер-оглы» центрального места наряду с героем, и его коню Кырату.

В грузинской версии, как и во многих национальных версиях, биография богатыря начинается с появлением Кырата и, большая часть героических приключений Кер-оглы связана с возвращением назад похищенного врагами Кырата.

Кырат и в грузинской версии происходит от морского сказочного коня. В грузинской версии плешивый жеребенок превращается в крылатого и неуязвимого коня, понимающего человеческую речь.

Под влиянием грузинской эпической традиции в некоторых вариантах конь Кер-оглы принимает грузинское имя — «Лурджа» (Сивка, имя коня героя в грузинской народной поэзии). В грузинской версии упоминаются и два других коня героя — Торат и Арабат.

Грузинская версия не сохранила собственного названия меча Кер-оглы, но он тоже не из простого железа — его ковали в течение четырех дней из железа, которое задними копытами выковырнул из земли Кырат.

Центральный герой эпоса и в грузинской версии является художественным воплощением идеи борьбы за родину и защиту обездоленных.

Настоящее имя героя — Рушан//Виришан — сохранилось и в грузинской версии. Лишь в одном ингилойском варианте встречается имя «Алмаса», в некоторых вариантах

переводится прозвище «Кер-оглы» — «Брмис-швили» («Сын слепого»).

Эпическая биография героя начинается с момента ослепления отца. К этому времени он — двенадцатилетний юноша — уже обладает сверхъестественной физической силой.

Вместе с героем растет и его богатырская сила. Эпический герой непобедим, неуязвим, очень умен и проницателен.

В грузинской версии, по сравнению с версиями-источниками, углубляется образ «благородного разбойника» — «отца бедных», «покровителя неимущих». Он «из-за бедных враждовал с богатыми, у них отнимал и бедным раздавал». Он — искатель правды для простого народа.

Если сходство образов «благородных разбойников» разных народов объясняется наличием общих социальных основ этого образа, то сходство разных образов у одного и того же народа объясняется их взаимовлиянием. Следует отметить влияние на образ Кер-оглы грузинской версии образа Арсена Одзелашвили, грузинского народного героя и «благородного разбойника» грузинского народного творчества. Он, как Арсен, борется против «основ крепостничества».

По некоторым вариантам грузинской версии «Чамлибель» является своеобразной утопической колонией, где стоит дворец и крепость Кер-оглы. Там «все живут счастливо, владея хорошими виноградниками». Кер-оглы сам ведет жизнь крупного феодала: его окружает множество слуг и придворных, он обладатель многочисленного войска и богатой казны, на пиршествах, устраиваемых им, не смеют присутствовать его же конюхи. Сам герой — «бек бек», который своим сподвижникам дарит бекские титулы.

Подробное изучение подобных вариантов дает возможность полагать, что в них Кер-оглы — «эпический властитель». Образ героя — эпического властителя, борющегося против султана и пашей — является художественным олицетворением идеи национально-освободительной борьбы грузинского народа. Показательно, что такой образ героя грузинской версии встречается в аджарских, месхетских и ингилойских вариантах, т. е. возник он в тех провинциях страны, где проникновение эпоса «Кер-оглы» совпало с началом господства иноземных завоевателей.

Наличие в образе героя параллельных штрихов «благородного разбойника» и «эпического властителя» не сдвигает образ Кер-оглы грузинской версии, наоборот, созда-

ется многогранная и в то же время монолитная фигура героя, борющегося против несправедливости.

В образе героя грузинской версии также отмечаются случаи идеологической поляризации. Причина этого объясняется противоречивым мировоззрением, вызванным противоречием внутри классового общества.

Из соратников Кер-оглы грузинская версия знает Демурчоглы, Айваза, Коса Сафру, Иса-балу, Дарибалту, Муштафу Гзироглы. Самым популярным среди них является Демурчоглы. Можно с уверенностью сказать, что он вместе с Кер-оглы является центральной фигурой эпоса. Это явление объясняется дальним откликом грузинской эпической традиции, в которой произошла эпическая персонификация кузнеца (Демурчоглы — сын кузнеца).

Среди жен героев эпоса грузинская версия называет Нигяр-ханум — дочь султана, Фарад-ханум, Дона-ханум — дочери пашей. Кроме них, в отличие от других, в грузинской версии герой женится и на дочери простого крестьянина.

Грузинская версия незнакома с образом «воинственной девы», что является также отзвуком грузинской эпической традиции, которая не признает воинской доблести женщин.

В грузинской версии встречается эпизодический образ старухи, которая за большие деньги способствует встрече героя с возлюбленной.

Кроме того, встречаются образы коварной старухи (которая учит жену Кер-оглы притворству) и старухи-гадалки.

Эти образы, по-видимому, проникли в грузинскую версию из грузинского же фольклора.

Элементы народной сказки проникли и в грузинскую версию эпоса Кер-оглы. Говоря о влиянии грузинской народной сказки, в первую очередь мы имеем ввиду те композиционные и сюжетные элементы, которые не свойственны для версий-источников.

Обращает на себя внимание тенденция грузинской версии обобщать время и место действия. Во многих ее вариантах действие происходит «когда-то», «в некотором государстве», при дворе «одного царя». Эти варианты завершаются стереотипными фразами грузинской народной сказки.

Грузинская версия приближается к сказке и тем, что не дает описания внешности героев.

Должны быть особо выделены мотивы волшебной сказки, встречающиеся только в грузинской версии. Путем сопоставления их с данными грузинского сказочного эпоса, не трудно установить, что эти мотивы черпаются грузинскими сказителями из собственной фольклорной традиции.

Усиленным проникновением сказочных элементов в поздние варианты грузинской версии обусловлена замена понятия «сказ»//«сказание» термином «сказка». («Сказака о Кероглы»).

Каждая национальная версия эпоса «Кероглы», опираясь на фольклорные традиции создавшего его народа, обогащается элементами национального народного творчества и занимает свое место в едином процессе развития от «полуисторической легенды» до героического эпоса и «богатырской сказки».

Если подойти к грузинской версии с этой точки зрения, станет возможным определить ее место среди остальных национальных версий.

Грузинская версия, правда, не получила такого всеобщего распространения и творческой переработки, как среднеазиатские версии, но изменения, возникшие в ней на грузинской основе, рознят ее от азербайджанской и турецкой версий.

Обобщением места и времени действия, внесением сказочных элементов, появлением в образе героя признаков «эпического властителя» и т. д., грузинская версия выходит за рамки «полуисторической легенды» и приближается к богатырской сказке.



ქოროდლის ეპოსის ნაციონალური ვერსიები, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, შედგება ერთმანეთთან სიუჟეტურად სუსტად დაკავშირებული ნოველებისაგან, რომლებშიც ასახულია გმირის ცხოვრების ესა თუ ის ეპიზოდი. ასეა ქართულ ვერსიაშიც, მაგრამ მასში ძალიან ძლიერია სიუჟეტების გაერთიანების ტენდენცია. მთქმელი ერთი სათაურის ქვეშ რამდენიმე ამბავს აერთიანებს და მათ, როგორც წესი, მამის დაბრმავების ამბით იწყებს.

ქართველი მთქმელისათვის ყველა სიუჟეტი „ქოროდლის ამბავი“, „ქოროდლის ლეგენდა“ ან „ქოროდლის ზღაპარია“. რომ გაგვეჩია ისინი ერთმანეთისაგან, პირობითად შევეურჩიეთ სათაურები შინაარსის მიხედვით, როგორც ამას სხვა ვერსიების მიმართ აკეთებენ. ასე შევეუცვალეთ სახელწოდება ნ. მარის მიერ გამოქვეყნებულ „ქოროდლის ექიას“ და მას ტრადიციის მიხედვით „ქელოდლანისაგან ყირათის მოპარვის ამბავი“ დავარქვით.

წინამდებარე ტექსტები საქართველოს სხვადასხვა კუთხეშია ჩაწერილი და ამის გამო სხვადასხვა დიალექტზეა წარმოდგენილი. თითოეული ტექსტი რამდენიმე ვარიანტიდან არის შერჩეული. ვცდილობდით ისეთი ვარიანტი შეგვეჩრია, რომელიც უფრო მთლიანი იქნებოდა კომპოზიციურად, უფრო გამოკვეთილად ასახავდა ეპოსის იდეასა და ძირითად მოტივებს. ტექსტების შერჩევისას აუცილებელ პირობად მივიჩნიეთ მათი წარმოდგენა გასწორების გარეშე, ამიტომ ძირითად ტექსტებში არ მოხვდა კ. გვარამაძის ჩაწერილი მესხური ვარიანტები, რომლებიც კომპოზიციურად შედარებით სრულია, მაგრამ, რომელთაც აშკარად ატყვია ჩამწერის მიერ ტექსტის გასწორების კვალი. ტექსტი გამართულია სალიტერატურო ქართულზე, შიგ ჩართულია ჩამწერის შენიშვნები და სხვ. ეს ტექსტები გავიტანეთ ვარიანტებში და გამოვიყენეთ ქართული ვერსიის ზოგადი კვლევის დროს.

### 1. ქოროდლის ამბავი

ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა ერთი დიდებული ხელმწიფე. ერთ დროს შევიდა სადალაქოში პირის გასაპარსად. პო და, იქ ნახა ერთი

რამ მშვენიერი ცხენის სურათი, კარგი ძალიან. ჩამოიღო ის სურათი პირი რომ გაიპარსა, და უთხრა იმ დალაქს, რომ ეს სურათი უნდა მამცე, ამნაირი ცხენი უნდა დავავალო ჩემს ვეზირებს, რომ მიშონოს, სადაც იქნება. რომ მივიდა სახში, დაიბარა თავის ვეზირები და აჩვენა სურათი: — რამდენიც გინდათ, ოქრო, ვერცხლი წაიღეთ, ფასი არ დაზოგოთ, შემოიარეთ მთელი ქვეყანა და ამ სურათის ცალი ცხენი უნდა მიშონოთ, რაც არ უნდა დაგიჯდეთ, ცხენი უნდა მოიყვანოთ.

წავიდნენ. ბევრი იარეს ძაან, შემოიარეს ზღვა, ხმელეთი და ვერსად ვერ ნახეს სურათის ცალი ცხენი. მერე ერთ ალაგას ერთ მეწისქვილესთან ჩამოხტნენ და ღამე გაათენეს. მეწისქვილემ აკითხათ: — რაზე, რითვინ გარჯილხართო, როგორ არი თქვენი საქმეო. ვეზირებმა უთხრეს: ასე არის ჩვენი საქმე, რომ მეფემ დავავალა, ამ სურათის ცალი ცხენი უნდა ვიშოვოთ და ვერ ვშოულობთ და აღარ ვიცით, როგორ დავბრუნდეთ უკანო. მერე უთხრა მეწისქვილემ: — თქვენ რა იცით, კაცო, თქვენ რო გაარჯილხართ, წადით, უთხარით ხელმწიფეს, დააკითხოს მეჭინიბეს, იქნებ იმან იპოვოს მაგია ცალი ცხენი.

იმათაც კეჟაში დაუჯდათ მეწისქვილის რჩევა და მოახსენეს ეგრე: — დავავალოთ მეჭინიბეს, ჩვენ რა ვიცით ცხენის ცნობა. ვერ შევხვდით ასეთ ცხენსო. გამოცდილი მეჭინიბე გააგზავნე და ის იშოვნის აუცილებლივო.

მერე დაიბარა მეფემ მეჭინიბე და უთხრა: — აბა, აი, ამ სურათის ცალი ცხენი სადაც იყოს, უნდა მიშონო. აი ოქრო, ვერცხლი, სურსათი. წაიღე, იარე და სადაც იყოს, მიპოვნე ასეთი ცხენი.

მეჭინიბემ დაუკრა თავი და მოახსენა: — ვეცდები, ბატონო ხემწიფე, სადაც იყოს, ვიშოვნო ასეთი ცხენიო, და წავიდა. აპკიდა თავის ცხენს ოქრო, ვერცხლი, ხურჯინები და გაუდგა გზას.

ბევრი ძებნის და სიარულის შემდეგ გაიარა ერთ ზღვის პირას და ნახა, რომ ერთი გლეხი კაცი იმ ზღვის პირზე მიწას ხნავს გუთნით. იქვე გვერდით, გუთნის ახლოს, ძოვს ერთი ჭაკი ცხენი. იმ ჭაკ ცხენს ერთი მოზრდილი კვიცი ყავს კარგი. თუმცა ჭერ შაუხედავია, ბანჯღვლიანი კვიცია, მაგრამ ეტყობა, რომ კარგი გამოვა. გასინჯა ამ მეჭინიბემ ის კვიცი და მოეწონა და იფიქრა, თუმცა ჭერ არ არის სურათის ცალი, მაგრამ გაიზრდება და სურათის ცალი დადგება ეს კვიცი. მივიდა და იმ გლეხს კაცს შეევაჭრა: — არ გაყიდი, ძმობილო, ამ კვიცს? გლეხმა უთხრა: — მასხარად მიგდებ, თუ მართლა მეუბნებიო? — მართლა გეუბნები, აი, 1000 თუმანი მოგცეო. — არა,



შენ მასხრად მიგდებო. 2000 შეაძლია. გლეხი უარზე იდგა. ბოლოს 4000 თუმანი დაუთვალა. ეს კაცი გაგოცდა, რაში მამცა ამოდენა ფულიო. ამ კვიცისთვინ თავი უნდა გამენებებინა და რაში მამცა ეს ფულიო.

შაბა მეჭინიბემ კვიცს თოკი და გარბის, არ შემეშალოს, არ დამეწიოს და არ წამართვას ეს კვიციო. გლეხმა კიდევ გუთანს თავი მიანება და გაიქცა, არ წამართვას ეს ფული ისევაო.

ეხლა, ეს კაცი ყოფილა, თურმე, იქვე პატარა სოფლიდან და იმ ზღვის პირზე ჰქონია სახნავე მიწები. თავი სიცოცხლეში სუ იქ უმუშავენია, იქ უხნამს და იქ უთესია. ერთხელ, იმ კაცს არც კი მცოდნია ისე, იქა ყოფილა ის ჰაკი ცხენი და ზღვიდან ამოსულა ულაცი აჯილლა და იმას დაუმაკებია მისი ცხენი და ის კვიცი ყოფილა ზღვიდან ამოსული ულაცის შვილი. ეხლა, რო წამაიზარდა ის კვიცი, სოფლები აუჯანყდნენ ამ კაცს, კვიცი დაკარგე, გადაგასახლებთ ამ სოფლიდანაო, ეგეთი კვიცი სიზმარშიაც არ გვინახამ. რო არ გამრავლდეს, კვიცი დაკარგე, ან მოკალიო. ამ კაცს სწორედ იმიტომაც აყავდა წაყვანილი, რომ იმ დღისით თავი უნდა გეენებებინა. ან მგელი შაშვამს, ან ტურაო. აი, სწორეთ იმ დროს შეხვდა ის მეჭინიბე, როცა უგზო-უკვლო ალაგას თავი უნდა დეენებებინა იმ კვიცისთვინ.

ეხლა მოიყვანა მეჭინიბემ ის კვიცი ხემწიფესთან და უხარია ესეთი კვიცი ვიბოვე და მოვიყვანეო. გასინჯა ხემწიფემ ის კვიცი, გასინჯა და დაუწყო ჩხუბი: — ეს კვიცი არ არის სურათის ცალი, მე ესეთი არ დამივალებია შენთვინ, შენ მაინც არა გქონია მხედველობა და სჯობს, სულაც დაგთხარო თვალეზიო. უბრძანა ჯალათებს, ემ საათში გაიყვანეთ და ორთავ თვალი დათხარეთ, ეგ კვიცი მაგას აჩუქეთ, წაიყვანოს და აქედან დამეკარგოსო.

წავიდა ეს თვალეზდათხარილი კაცი, მივიდა შინ. იმამ აყვანდა ერთი შვილი, იმ ბიჭს ერქვა ქოროღლი, ძალიან კარგი, ყოჩაღი ყმაწვილი იყო. მამამ უთხრა შვილს: — შვილო, ქოროღლი, აი, ჩვენმა ხემწიფემ მე ესეთი დღე დამაყენა, თვალეზი დამთხარა და უნდა შემინახო დღეის ამას იქით შენაო. როგორც გეტყვი, ისე მოუარე ამ ცხენს და ეს დაგვარჩენს ჩვენ. ჯერ პატარაა, მაგრამ გაიზრდება, შენც გაიზრდები და ვისაზრდლებთ მაგითი. წადი, წაიყვანე გომურში და მიეცი ბალახი, ყველაფერი აჭამე კარგა: ქერი და თივაო. ყველაფერი რწყვით ასწავლა: ამდენი ქერიო, ამდენი თივაო, თავ-თავი დროსაო. ისე გააკეთე, იმ გომურში არსაიდან შუქი არ შედიოდეს, სუ ჩაქოლე. დილა-საღამოს თბილი წყლით დაზილე.

გავიდა რამდენიმე ხანი და უთხრა მამამ შვილს: — შვილო, ერთი მიმიყვანე ცხენთან, უნდა გავსინჯო. გასინჯა მამამ ცხენს ხელით. თვალებით კი ვერა ხედავს. მოეწონა ცხენი. მხოლოდ ერთ ალაგას უპოვნა პატარა ჩადაბლებული. შვილს გაუჩავრდა, კარგად ვერ დაგეჟოლია გომური, სადაც ერთი შუქია, გააკეთეო.

ამ ბიჭმაც შეასრულა მამის ბრძანება. იმ ცხენს იქ ინახამენ, მაღლა არ ამაყავთ სულაც. ცხენიც გაიზარდა, ბიჭიც გაიზარდა. გავიდა ამ ყოფაში ორი-სამი წელიწადი. ერთ დროს მამამ უთხრა: — აი, შვილო, მევან ალაგას ფულია, ოსტატს შეუკვეთე კარგი უნაგირი, მოსართავი გააკეთე. დრო არის, რომ ეგ ცხენი გავხედნოთ.

ბიჭმა წაიღო ფული და გააკეთებინა ოსტატს უნაგირი. ოსტატმა გააკეთა კარგი, საუცხოო უნაგირი. მამამ უთხრა შვილს: — წადი, შვილო, ახლა ამიყვანე ი ცხენი. ამიყვანა ცხენი და რას ნახავს ადამიანის თვალი იმაზე კარგს! სულ ჭიხვინებს და ძალიან ლამაზი რამეა. იმ სურათს კიდევაც სჯობიან, ისე დამშვენებულია.

შეკაზმეს ცხენი და უთხრა მამამ შვილს: — შვილო, შეგიძლია ცხენზე დამაგრება? შვილმა უთხრა: — შემიძლია, თუნდა ზეცაში აფრინდეს, შემიძლია დამაგრება ზედაო.

შეკადა ბიჭი ცხენზე და გაატარ-გამოატარა ძალიან საუცხოოთ. მიყვანა შინ, მამხადეს უნაგირი და თავის ალაგას დააბინავეს. უთხრა მამამ შვილს, რომ ეგ ისევ იმ ყოფით შაინახე, როგორც ვინახამდიოთ. იმათ ჰქონოდათ მოხსული ერთ ალაგას ორი-სამი ჰექტარი მიწა. უთხრა შვილს: — წადი, იმ ნახნავში მიუგდე წყალი, იდინოს რამდენიმე დღეს. წყალმაც იდინა და გაქედნთა მთელი ნახნავი თავით ბოლომდი. ხელმეორეთ შაკაზმინა ცხენი და უთხრა შვილს: — წაიყვა ცხენი და იმ ნახნავში აქენე, რამდენჯერმე აარბენინ-ჩაარბენინე, ვნახოთ, რას იზამს, მუხლში მაგარი იქნება, თუ არა.

სამ-ოთხჯერ რომ აარბენ-ჩაარბენინა, მერე დააყენა და იმ ცხენმა ერთბაშად სისხლი ასაქმა პირიდან. ბიჭი დაღონდა, ეგონა თუ, მოკვდება ცხენიო, ძან გული დაიწყდა. მიყვანა შინ. მამამ უთხრა: — შვილო, ცხენი ივარგებს თუ არაო. უთხრა: — მამავ, ცხენი ძალიან კარგია, მუხლი მაგარი, ყველაფერი, მაგრამ ერთი უბედურება დაგვემართა, ცხენი მოგვიკვდება, რომ დავაყენე ნახნავში, სისხლი ასაქმაო.

— არა უშავ, შვილო, უფრო კარქია. თუ რამე ზადი აქონდა გაიწმინდება, ამით ნუ გეშინია, არ მოკვდება ცხენი.

ეხლა: კიდევ წაიყვანეს ცხენი, თავის ალაგას დააბინავეს. უთხრა შვილს: — წადი, შვილო, წაიყვანე ცხენი და ზომა ააღებინე და

შეაკერინე შენთვის კარგი ტანისამოსი. ტანისამოსი შეაკერინა და გაამზადებინა. მერე, ამ ბიჭმა ჩაიცვა ტანისამოსი და შეჯდა ცხენზე. იმ ცხენს დაარქვეს ყრათი. მერე, შეჯდა ეს ბიჭი და დაიწყო ქალაქში სიარული, სადაც ცხოვრობდა ის ხემწიფე.

ერთ დროს ბულვარში სეირნობდა ხემწიფე და მოჰკრა თვალი იმ ბიჭსა და ცხენს. იკითხა: ვისია ეს ბიჭი? უთხრეს, რომ აი, იმ მეჯინიბეს რომ თვალეები დაფთხრე, იმის შვილია და ცხენიც ის არის, რომ დაიწუნეო. ხემწიფე დაფიქრდა და თქვა: — მე ვყოფილვარ თვალეზდასათხრელი და არა მეჯინიბეო. მაშინვე გაუგზავნა კაცები, ცხენი მომეცით და თქვენ სანამ ცოცხლები იქნებით, შეგინახამთ მამასაცა და შვილსაცაო და რასაც მამთხოვთ, მოგცემთო. მეჯინიბემ შეუთვალა: თუ ამიხელ თვალეებს, როგორც მქონდა, ისეთს, მაშინ მოგცემ, ისე ვერაო. აბა, თვალეებს ხომ ვერ აუხელდა? უთხრა მეჯინიბემ ქოროლლის, თავის შვილს: წავიდეთ აქედან, გავიდეთ სხვა სახელმწიფოში, თორემ ეგ ისე არ დაგვტოვებს, ცხენს წავგვართმევსო. ადგნენ და იმ ღამეს ჩააბარგეს თავისი განძეული ხურჯინებში, აკიდეს ცხენსა და შასხდნენ ორთავენი — მამა და შვილი და გაუდგნენ ვზას.

ხემწიფემ, რაკი უარი მიიღო იმათგან, გაგზავნა კაცები: — წადით, ძალათი წაართვით ცხენი, რაკი ნებით ვერას გავხდითო.

კაცებმა ნახეს, სახლი დაკეტილია და შინ არავინ არი. მოუტანეს ხემწიფეს ამბავი, რომ წასულან და აღარც ცხენია და აღარც არავინ, სახლიც დაკეტილიაო. რახან გაიგო ხემწიფემ იმათი გაპარვა, უბრძანა ვეზირებს: ჩქარა ცხენები წაიყვანეთ, გამოუდევით და მამგვარეთ უკანაო. იმ მეჯინიბემაც იცოდა, რომ შეიტყობდა ხემწიფე იმათ გაპარვას, გამოუდგებოდა. მამამ უთხრა შვილს: — აბა, გახედე, ხომ არავინ მოგვდევსო. — მოგვდევენო, — უთხრა შვილმა. — რაფერის ცხენიაო? — თეთრი ცხენია და არემარე მოაქვსო. — ნუ გეშინიან, ეგ ცხენი ისეთ ადგილს გაატარე, საცა თავქვეითი იყოსო. ის ცხენი მუხლში ბოშია და ვერ მოაყვება ჩვენ ცხენსაო.

მერე, ის ცხენიც ველარ მიყვათ, დაიღალა და უკან გაბრუნდა. ახლა სხვა ცხენი წამაიყვანეს. კიდევ უთხრა, მიიხედეთო. — ახლა ლურჯ ცხენზე ზის ვიღაცაო. — ისეთ ალაგას ატარე, ქვა იყოს. იმ ცხენს ჩლიჭი რბილი აქვს და ვერ ივლისო.

ეხლა: რახან ის ცხენიც ველარ დეწივა, კიდევ სხვა ცხენი მიყვანეს. კიდევ უთხრა: — მიიხედე, ხომ არ მოგვდევს ვინმეო. — მოგვდევს შავი ცხენიო. — ნუ გეშინიან, იმას სუნთქვა არა აქვს, ვერ დაგვეწევაო. მართლაც, დაახწივეს თავი, როგორც იყო. ამასობაში გა-

ვიდნენ სათათრეთში. გავიდნენ და იქ ერთ ალაგას ჩამოხტნენ სოფლის გარეთ. იქ დაიდეს ბინა. თუ რამე აქონდათ, გაიკეთეს ქოხი. ბოლოს, ქოროლლი გაიცინობს ბიჭებს, თავის ამხანაგებს: დემურჩოლლის და სხვებს. იმათ ქვეყანას სამლიბელი ერქვა, ციხე ააშენეს იქა. ჭგუფი შეადგინეს და ყაჩაღობენ. იმათ ვერავინ იჭერს. ქოროლლი მამასაც იქ ინახავს, ცხენიც იქა აყავს. ისეთი ციხე ააშენა, რომ ვერაკაცი ვერ უდგებოდა. იქ რომ ავიდოდა, კაცი სამი დღის სავალს ხედავდა. ბოლოს ლექსიც გამოუთქვეს:

ქოროლლისა სამყოფელი ვიცი, იყო სამლიბელი,  
სამ დღის სავალს კაცს ნახავდა იქიდან მაყურებელი.

იქ დაქორწილდა ქოროლლი. თავის ამხანაგებთან და მამასთან ერთად გაატარა თავისი ცხოვრება.

## 2. ქოროლლი ნადილი

ქოროლლი მამა ილხიჩი იყო ერ ფათიშასთან. რომ დაბერდა, თავი შვილმა უთხრა:

— მამავ, გეყოფა ეხლა ფათიშასთან ილხიჩუება, დააგდი, მოიო. მამამ უთხრა: თუ რაზი იქნება ფათიშა, დოვოგდეე მუშავობას, თუ არა, მე ვერ ვათანებ ზალიათ დავდებასო.

— ფათიშაპ საღ ოლსუნ! მე დავბერდი, ველარ ვათანებ ილხიჩუებას, ეხლა მე იყაზა მომე, მე წავალ შინ.

ფათიშამ უთხრა: — რას დუვანობ? შენ მინ გავიშოვს. შენ მოსულთას უკან ცხენები აშენდნენ. მე ველარ ვიშონი შენებური ილხიჩისო.

ბევრ ხვეწნას უკან ფათიშამ იყაზა მიცა და უთხრა: თავი ჰაყშიც ერ ცხენი წაიყონოსო.

ამ კაცმაც იფიქრა, ერთხელ ალაზანი პირს რომ ვაზვიებდი, ალაზნით ერ გზელთმიანი ცხენი ამოვიდა და ერ ბეჩი მაღიანი იყო. უგიმამ მოიდევნა. ეის უგი წყალი ცხენით ნაქნარია. ეიმას წავყონ, ნახო, როგორი გამოდისო.

ფათიშა კი ამ კვიც იცილობდა და იცავდა, ისეც თურმე ამ კვიცზე ქონია თოლები. უთხრეს ვეზირებმა, რომ ილხიჩიმ კვიცი წაიყონაო. ფათიშა გაეავრდა.

— წაით, მოიყონეთ ის ბერ ძაღლი!

წავიდნენ, მოიყონეს ილხიჩი. ფათიშამ უთხრაყე:

— დუშურეთ, თოლები დათხარეთ, გოუშვით! ბერ კაც თოლები გადმაყრეინეს. ეხლა ხაბარი მოგცე იმ ბერ კაცი შვილით. ეს ბიჭი

დიახ ვაყვაც მოგონდა. მამამ უთხრა: — ემ კვიცი შეინახე <sup>ვარგა,</sup> სამი წლისი რო ათავდება, შეჯი, სადაც გინდა წაი, შენ ხათააარ ვაქ. ერჯა ამბოვენ თოფიო, იარალია გამოსული. უგემა ნუ დეტები, იმიზგან ყორხლუა, სხო ხანჯალი, ყილინჯი მავათგან ნუ გეშინიან, რომ ცხენზე იქნები.

ერ დლე ამათა ყარაჩი მოვდა, პურ ითხოვდა. შინ ბრიმანგან გარდა სხო არ იყო. ბრიმამ უთხრა: — მე ვერ ვხედავ, შენ შოი, აილე პური. ჰიგი ვაცშიაო.

ყარაჩიმ უთხრა: — მე ვიცი თოლები წამალი, ამა დიახ ჯათა არის, ჰაბა, მინ მოგიტანს, თორემ უგი მაშინავ იშილი მოგივა, ერთხელ რომ წაისო თოლეგზეო. ბრმას დიახ გოუხარდა, უთხრა: — მითხარი შენ, მომიტანენო. ყარაჩიმ უთხრა: — შვიდი თას იქით დევებია შვიდი. იმათ მეშვიდე ოთახში არი ბოთულკა. იმაში არი წამალი. ის წამალით თუ დაიბან თოლეგს, გექნება სიპტანდებული თოლები. ამა, რაქთონ ხალლი წასულა, დევიებს მოუჭრიათ თავები. ხალლი თავებით ჯებირები დოუდგამთ.

წავახედან შვილი შემოვა შინ. გაიგა ეს ხაბარი, როგორ იყო საქმე. ადგა შეკმაზნა თავი ცხენი, აილა მამამ ყილინჯიც. წავდა. დევიებმა დაინახეს, უთხრეს: — რა გინდა, ქორფავ, რაზემ მოსულხარ, წამ, გაიზარდე, მას უკან მომ. ეხლა რას გოწუხეგო. ბიქი გაჯავრდა: — თქვენი ოთახში ნაქნარი თოლები წამალი, მომეციო. იე და, შვიდიმას მოგჭრიყე თავსო. დევი გაჯავრდა: — რას ამბოვს ე ნაბიქუარიო!

გაიქცა ზედ. ეს ბიქმა ვერ დაასწრო ცხენს. ცხენმა კბილებით მოგლიჯა თავი.

გაიგეს იმ დევიებმა. მოიდნენ. დაიწყო დიდი დაჰვა. ერ დლე და ლამე დაჰვა იქნა. ბიქმა და ცხენმა დახოცეს ეს დევიები. შევიდნენ ოთახში. ბიქმა იბონა ბოთულკა, რომელშიც თოლები წამალი იყო. აილა ეს წამალი, მოვდა შინ. მამამ რომ დაიბანა, კაი იქნა.

მას უკან მამამ მოინდომა ყარაჩი კიდემ ერთხელ დენახა, ამა, აღარ იყო ის ყარაჩი, რომ ის უნდოდა, მისთვის კაი გზა ეჩვენებინა, რომ არ წასულიყო, ფათიშას არ ჩავარდნოდეს კელში. თავიბემ მონაცემი დლე იმი ზეითაც არ მიეცა. ებრალეობდა ოცდახუთი წელი იმუშავა, ერ კვიცი მიცა ფათიშამ და თოლები კი წაართო.

ჰიგი, მავე ფათიშაები ყოფილან წალანდელი ზამანზეო.



თეირანი ქალაქში ყოფილა ერთი დიდებული ხემწიფე შაჰ აბასი. ამ ხემწიფეს ერთი ცხენი ჯოგი ჰყამდა და იმ ჯოგს ერთი მწყემსი ედგა. ე მწყემსი, თურმე, დიდი მეცნიერი ყოფილა ცხენებისა. ერთხელ, მწყემსს ჯოგი ზღვის პირას მიერეკა და აძუებდა. ამ დროს ზღვიდან ამოვიდა ერთი თეთრი ულაცი და გავიდა ერთ ჭაკზე. ცოტა ხნის მერე ერთი წითელი რაშიც ამოვიდა ზღვიდან და იმან კიდე მეორე ჭაკი დააგრილა. დაინახა მწყემსმა და ის ცხენები დაიხსომა. იფიქრა, ამათი კვიცები კარქები გამოვლენ, გამიგია, ზღვიც ცხენიც კვიცები მფრინავები იქნებიანო.

მართლაც, თავი დროზე ორივე ცხენმა მაიგო კვიცები. ერთმა თეთრი, მეორემ — წითელი. მწყემსი გამორჩეულათა ზრდიდა იმ ცხენებსა.

ერთხელაც, ხემწიფეს არაბისტანიდან ერთი სტუმარი მოუვიდა. ხელწიფემ იფიქრა ერთი, ამას კარქა დავასაჩუქრეფო და თავი მწყემსს შაუთვალა, კარქი კვიცები რომელიც იყოს, ამამირჩიე და მამიყვანეო. მწყემსმაც ი ორი კვიცი ამაარჩია, მიუყვანა:

— აი, დიდებულო ხემწიფევ, კვიცები მოგიყვანე, ჯოგში ამათზე კარქი ცხენი არ იქნება.

შეხედა ხემწიფემა და რასა ჰხედამს! კვიცები არიან ბანჯგვლიანი, გამხდარი, არც ბეწვი უვარგათ და არც არაფერი.

— შენ ვის უბედამ მასხრათ ავდებასა! ეს რა ცხენები არიან?! დაუძახა ხემწიფემ ხმლიან ჯალათსა და უთხრა: — მომჭერ ამათავი!

სტუმარ შეეცოდა მწყემსი და უთხრა: — თავ რითვინა ჰჭრი, რა დააშავა ეგეთიო.

მამინ ხემწიფემ მაყვანინა მემილეი და ორთავ თვალი ამააცალეს საწყალ მწყემსსა: — შენთვინ ეგ თვალეები მაინც არა ყოფილა საჭირო. წაიყვა ეგ შენი მოწონებული კვიცები და აქედან დამეკარქეო.

მივიდა თვალეზდათხრილი მწყემსი შინა. ერთი ბიჭი ჰყავდა. გამაეგება შვილი.

— შვილო, აი ხემწიფემ მე დამაბრმავა. ე კვიცები არ მეეწონა, იმითვინ დამაბრმავა. ეხლა შენ იცი, ბოსელში ორი თვალი ჩატიხრე, რომ სინათლე არსაიდან შედიოდეს. როგორც ვითხრა, ისე მიეცი თავი დროზე საკვები.

შვილიც ეგრე მაიქცა.

ერთ დღესაც მამამ უთხრა: — აბა, გამაიყვან, ცხენები, სახლ უკან რო ნახნავია, იმაში წყალი მიუშვი და კარქათ რო დაღებდა, გამაიყვან და გააქენე. აქეთ რო წამოხვალ. ე ლურჯა ცხენი რო უკანა ფეხით მიწად გაისვრის, ის მამიტაო.

მართლაც გამაიყვანა ბიჭმა ცხენი და რას ხედამს! ისეთია, სუ ფრინამს. იმი ფეხით ამოღებული მიწად ბელტები სუ რკინსაეფაა ხდება და პანტასეფა ცვივა. აკრიფა შვილმა ე ბელტები, მიუტანა მამას. მამამ უთხრა: — ე რკინა წაიღე მჭედელთან, ხმალი გააკეთებინე, იყიდე კარქი უნაგირი, შეკაზმე ე ცხენი და მინამ შენა და შენი ცხენი ერთათ იქნებით და ხმალიც ხელში გეჭირება, მტერი ვერას დაგაკლუფსო.

წაიღო შვილმა რკინა და მისცა მჭედელსა. უთხრა: — ამით ხმალი გამიკეთო.

გაუკეთეს ხმალი. ორი მჭედელი გრდემლ უბერამდა, ერთი მჭედამდა და ოთხი დღე მოუნდნენ იმი გაკეთებასა. რო გააკეთეს, ისეთი კაქი გამოიდა, თქვეს, მოდი, ჩინეთის ხემწიფეს გაუგზავნოთო.

წამოიღო შვილმა ხმალი, მივიდა მამასთან. მამამ უთხრა: — შვილო, მანამ ჩვენი ამამგდები ხემწიფე ცოცხალია, ჩვენ ამ ქვეყანაში არ გვედგომება, სადმე გადავიკარქნეთო.

მართლაც, აიკიდეს თავიანთი სარჩო-საბადებელი და გაუდგნენ გზას. მივიდნენ ქალაქ ჩამლიბელში და იქ დაბანაკდნენ. შვილმა 7777 კაცი შეაგროვა, ქოროლლი დაირქვა და დაიწყო ყაჩაღობა.

ქირი იქ დავაგდე, ლხინი აქ მოვიტანე.

#### 4. დეიწყოლლის აზაზი

ქოროლლი მიდიოდა გზაზე და გეიარა ცხენის დასაჭედავით მჭედელთან. მჭედელს მოატანია ცხენისთვის ნალი და ლურსმანი ოთხი-ხუთი ჭედა. როცა გასინჯა, არც ერთი არ ვარგოდა, დაღრიკა, დაკაკვა და გადაყარა. მჭედელმა უთხრა: — მაშინ შენთვის გავაკეთოთ ახალიო და კიდევ გააკეთა და დეიწყო ცხენის ჭედა. ცხენის ფეხს აკავებებდა თავის მოჯამაგირე ბიჭს. როცა ჩაქუჩს ლურსმანს არტყევდა. ორჯელ ლურსმანს არტყევდა და ერთჯელ — ბავშვს. ამ მდგომარეობაში დაჭედა ცხენი. ქოროლლიმ ამეილო და ცხენის დაჭედაში მიცა ერთი ოქრო. ეს ოქრო უცფად გამოართვა ბავშვმა და ხელის მოჭირებით წაშალა ზეთ მარკა და უთხრა ქოროლლის: — ბატონო, როგორ გეკადრება, ყალბ ფულს გვაძლევთო. ქოროლლიმ ამეილო მეორე ოქრო. ბავშვმა კიდევ წაშალა ზეთ მარკა და უთხ-

რა: — ესეც ყალბიაო. ეს მდგომარეობა რომ დეინახა, ქოროლლიმ თქვა: ვილაც გმირი ბაღანაო და ერთი ჭაჭვი ოქრო მიცა, შენ შეარჩიე კარქვანიო და წევდა ქოროლლი თავის გზაზე.

ბავშვმა შემუღბრუნდა და თავის უსტას უთხრა: — რა იყო მიზეზი, რომ ორ ჩაქუჩს ლურსმანს არტყევდი და ერთ მე მარტყევდიო. უსტამ უთხრა: — მაი ქოროლლი იყო და ასე რომ არ მექნა, არ გუუხარდებოდაო. ბოვშვმა შამუღბრუნდა და უთხრა, რუმე შენთან მუშაობას ჯობია, ისეთ კაცთან წევდეო. და კიდეც წევდა. გამეესხრია ქოროლლის, გადაუქრა გზა. ქოროლლიმ რომ ბავშვი დეინახა, იფიქრა, ბავშვმა უნდა გამლახოსო და ქეც შეეშინდა ცოტა. მივდა, სალამი მისცა ბავშვს. კითხა: — რა გნებამს? ბავშვმა უთხრა: — თუ წამიყვან, შენთან მუშაობა მინდა.

ქოროლლისაც უნდოდა ბაღანას წაყვანა და ქეც გუუხარდა. წეიყვანა ჩამლიბელში. იქ ცხოვრობდა ქოსა ემი. რომ მიიყვანა სახში, ბიძამისს, ქოსა ემის უთხრა: — ეს გმირი ბავშვია და მივცეთ სამუშაო, ჩვენთან ავზარდოთო.

ქოსა ემის არ მოეწონა ეს ბოვში — მაგას აცერი შეუძლია, რა უნდა ავზარდოთო. დავაყენოთ მაგი ცხენების მომლელო და ქეც დააყენეს. ჩააბარეს ქოსა ემის და ქოროლლის ცხენები. ამ ბავშვმა, რატომ დამაყენეს ცხენების მომლელოთ, ქოსა ემის ცხენს მიცა ნაკლები ყურადღება.

ერთ დღეს ქოსა ემიმ უთხრა ქოროლლის, რუმე, ვნახოთ, ერთი, რაფერ უარს ბაღანა ცხენებსო. წევდენ, რომ ნახეს, ქოსა ემის არ მეეწონა თავისი ცხენი და გუუჯავდა. ვერ მოგივლია კარქათო. ამ დროს ბავშვმა ცოტა მიკრა ხელი ქოსა ემის და ფერდის ყაბურღა ჩუუტება. ამი გულიზა გაჯავდა ქოსა ემი, მოხსნა და დააყენა კარებში ფეხსაცმელების გამწმენდათ.

ერთხელ ქოროლლის აშიღმა, ჯუნუნ აშიღმა ქოროლლის მოთხოვა სახში წასლის ნება. გუუშვა ქოროლლიმ ორმოცი დღით. თუ ორმოც დღეში არ მოხვედი, მიწაში ჩაძრე. იქიდან ამოგიღეფ, ცაში აფრინდე, იქიდან ჩამოგიღეფო. უთხრა ჯუნუნ აშიღი როცა თიფლიში ჩამოვიდა, მაქ იცნობდენ, თურმე კინტოები. ქოროლლიმ მას გამოატანა ფული, ცხენი, ტანისამოსი, რუმე ოჯახში დუუტოვეო. კინტოებმა დეინახეს და გზაზე მიეგებენ, ჰოდა უთხრეს: — სა იყავი, მოგვენატრე. წევდეო, ყავეში.

წეიყვანეს ყავეში. როცა ყავე დალიეს, სასმელი მოატანეს. დაათრეს ჯუნუნ აშიღი და დეეცა იქ. ეს ფული წაართვეს და გაიქცენ, გეიარენ, წევდენ.



როცა გამოფხიზდა, ყავეჯის დუუწყო ფულის თხონა. ამა გა-  
ხელდა:

— რის ფული?! ფული შენმა ამხანაგებმა წეილესო, — გააგდო გარეთ.

ამ მდგომარეობაში დეიწყო მან აშილობა და ქოროლითან წასლა დააგვიანა. იფიქრა, რაცხა ფულ ვიშონი და ისე წავალო. ქოროლიმ კი გაგზავნა ორი კაცი — ჯალათები და უბძანა: — წაით, მოკალით ჯუნუნ აშილი და იმისი სისხლიანი პერანგი მომიტანეთ!

ჯუნუნ აშილს გაახსენდა, ვადა ვადამივიდაო და წამოვიდა. ქალაქის კიდურზე რომ მივიდა, შეხედა დიდრის გოგო. იმ გოგომ უთხრა: — სა მიხვალო?

— მე ქოროლითან მივალო, — უთხრა ჯუნუნ აშილმა.

გოგომ დაწერა წერილი და გაატანა ქოროლითან. შით ეწერა: „თუ წამიყვან ცოლათ, კარქი, თუ არა და, შენ ყოფილხარ ქალიო“.

ჯუნუნ აშილმა ეს წერილი წეილო და წევდა. როცა თაზე ევდა, მაქ შეხდენ ის ორი ჯალათი. აშილმა უთხრა: — წერილი მაქ ქოროლიზე, ნუ მომკლავთო.

აღარ მოკლეს. წეიყვანეს ქოროლითან. ქოროლიმ წეიკითხა წერილი და გუუხარდა, აღარ მოკლა, დეიბარა თავისი ბეგები და უთხრა: — დალიეთ ჯადოსნური შერბეთი და ჩამეიყვანეთ დიდრის გოგო თიფლისიდანო.

ვერაეინ ვერ გაბედა ეს ამბავი. დემურჩოლი წამოდგა, მოკიდა ხელი და უნდოდა დაღევა, მაგრამ ქოროლიმ არ დაანება, შენი საქმე როგორაა ეს ამბავიო. ხელმეორეთ დაასხეს. დემურჩოლიმ კიდე დალია. მაშინ ქოროლიმ ამ ბავშვს — დემურჩოლის — ჩააცვა და გუუშვა. თან დაარიგა: ქალაქში რომ მიხვიდე, იყიდე ფართალი და გაყიდე იაფად.

მართლაც, როცა მივიდა დემურჩოლი ქალაქში, იყიდა მატერიია, გააკეთებია მეტრიანი არშინი, ყიდდა და სწავლობდა ქალაქის გასასვლელ-გამოსასვლელ გზებს, რუმ გოგო წეეყვანა. როცა მივდა ყავეში, ყავე რუმ დეელია, დუუსხეს, თქვა:

— ეგი რა არისო, თვალში რუმ ჩევისხა, თვალს არ დამისველებსო, — გატეხა და გადააგდო. ეილო და თავათ დეიწყო ყავეს დუღება და სმა. მერე ეილო და საზი დუუქრა.

შეატყობიეს გოგოს მამას. მან დააძახებია მასთან ეს ვაჟი და უთხრა:

— რა საქმე გაქ, რა ხელობაო. ვაჟმა უთხრა: — მე შემეძლია აშილობა, ლექსების თქმაო. — აბა, იმღერე! — ისეთი სიმღერები

ვიცი, დიდრები გაკუჭდებიან.

რომ იმღერა, ქალმა გეიგო, ჩემ წასაყვანად არის მოსული და მიწერა მამას: — ცოტა ჩვენს ოთახშიც იმღეროსო.

წეიყვანეს ქალთან. შევდა და სიმღერით უთხრა: — შენ წასაყვანათ ვარ მოსულიო.

გოგომ დიელაპარაკა. დათქვეს თორმეტ საათზე წასვლა.

ამ დემურჩოლლიმ თორმეტ საათზე მივდა და ქეც წეიყვანა გოგო. მამამ გეიგო შვილის მოტაცვა და გაგზავნა ასი კაცი — დეიჭირეთ და მეიყვანეთო. დემურჩოლლიმ ამეილო ხმალი და მაგრათ დუუხვდა. სამ დღეს იჩხუბეს და ბოლოს დეიჭირეს ბადით.

ფადიშაჰმა, გოგოს მამამ, გასცა ბრძანება, ჩამოვახჩოთ აქანავეო. ფადიშაჰს ყავდა ვეზირი. იმ ვეზირმა თქვა: — ახლა ასე რუმ ჩამოვახჩოთ, ამას პატრონი ეყოლება და ის პატრონი ჩვენ თლა გაგვანადგურებსო. მივცეთ სამი დღის ვადა, თუ კი არავინ მოიკითხა, მაშინ ჩამოვახჩოთო.

მეორე დღეს სიზმარი ნახა ქოროლლიმ: „რას გძინავს, დემურჩოლლი დაჭერილიაო“. გამეიღვძა, ადგა, დუუძახა მისი ბეგები: — წევდეთ მოსაძებნათ, დემურჩოლლი დუუჭირავან!

ქოსა ემიმ ვარი უთხრა, დეეზარა ღამეში წასლა. ქოროლლიმ მაგათ აღარ დუუჭერა, წეიყვანა ბეგები და წევდა ღამეში ცხენებით.

რომ გათენდა, ქოსა ემიმ ნახა, რუმ ადგილზე არევენ იყო და ფეშინში წევდა იგიც.

ქოროლლიმ ევდა თაში, დეეწია ერთ ქურთს და კითხა: — სა მიხვალ?

— დემურჩოლლი დუუჭირავან და იმის ტყავის გასახდელათ მივალ. ამ დროს ქოროლლიმ იშმარი უყო ბოლი ბეგს, მოსქარი თავიო. იმანაც ხელათ მოჭრა თავი.

როცა ამ ჯარზე მოახლოვდენ, შეხედა აქეთ ერთი ბიჭი მოდის. გამარჯობა რუმ უთხრეს, ამ ბიჭმა არ გაჩერდა. ქოროლლიმ უყვირა და გააჩერა. შეეკითხა: — სა მიხვალ ასე სწრაფათ, რუმ გამარჯვებაც არ მიიღეო? მან უთხრა: — დემურჩოლლი დუუჭირვან, უნდა ჩამოახჩონ და ქოროლლითან მივალ ამბის მისატანათო.

მაშინ ქოროლლიმ უთხრა: — მე ვარ ქოროლლი, ჩამოვდა ცხენიდან და ჩეეხუტა ბალანას. მას ქვიოდა ისა ბალი. ქოროლლიმ დაათქვა „გუზელ ისა ბალი“. შემოიჭდუმლა ცხენზე და წეიყვანა თან. რომ მივიდენ ჯარზე ახლოს, ქოროლლიმ უთხრა ამხანაგებს: — ჩვენ ასე რუმ მივდეთ, დემურჩოლლის მოვაკვლევიებთო, და გა-

ანაწილა ბიჭები ყველა მხარეზე, თუ ვინ საიდან მოსულიყო. თვითონ ჩეიკვა ხოჯის ფორმა და ისე მივიდა ფადიშაჰის ბინაში. ფადიშაჰმა შეეკითხა: — რაზე მოსულხარო? — თქვენ დაგიჭირავენ ქოროლლი, შე მას ათ წელს ვემსახურებოდი და ფული არ მომცა. ამისთვის ღმერთს ვთხოვ, რომ მოკლას, მეტი არაფერი არ მინდა. გთხოვ, მისი სიკვდილი მე მომცე და შენ გაყურებო. ფადიშაჰმა უთხრა: — ნება მაქ დართული, მიდი და რაც გინდა, უთხარი.

მივდა ქოროლლი დემურჩოლლითან. ამ დროს სიმღერით ხომ დღუძახა თავის ამხანაგები? ამხანაგები გარს შემოერტყენ და დეიწყო ჩხუბი. დემურჩოლლიმაც ღონეზე მევდა, დაანტრია კადლები და გეექანა ფადიშაჰის ჩადირში. დეიჭირა ფადიშაჰი და მისი დამჭერი. დანარჩენმა ბეგებმა ჩხუბი დაამთავრეს, მივდენ ჩადირთან, რომ დემურჩოლლის ესენი უკვე დაჭირული ყავს.

ქოროლლიმ გასცა განკარგულება მათი დასჯის. ამ დროს ფადიშაჰის ქალიშვილმა გამოვარდა და თხოვა: — მამა მაჩუქე, არ დაკლაო.

შემდეგ უნდა დეეკლას ვეზირი, მაგრამ დემურჩოლლიმა თქვა: — ამან ჩემზე სამი დღე ვადა ითხოვა და გადავრჩიო, ამიტომ გაუშვათო. მესამე კი დემურჩოლლის დამჭერი ჩამოახრჩვეს. ქოროლლიმ უთხრა ფადიშაჰს: — თუ გინდა ცხოვრება, წადი შენ ქვეყანაში.

ქალი წამეიყვანეს. დემურჩოლლის მიაწოდეს ბეგობა. დაიწყო ქოროლლითან მუშაობა.

##### 5. ქელოლლანისგან უიკათის მოკარვის ამბავი

პასან ფაშა იყო სილისტრას. იმარ ემრი ქნა, თელალს დააძახნია: „ვინცხას თუ შეიძლება, წვედეს ჩამლიბელში, ქოროლლის ცხენი მომიყვანოს, მე ჩემ დას მივსცემ“. მემრე ერთმა კაცმა, ქელოლლანმა: „მე წავალ და მევეყან ცხენს, თუ მომცემს თავის დას“. დღუძახა პასან ფაშამ ქელოლლანი. მიიყვანა მასთან: „ეს კაცები შაად იყვნენ, ე ბეგები, ე ფაშები, მე უნდა მოგცე და შენ, თუ მეიყვანე ცხენი“.

მივდა ქელოლლანი შინ. არ მიცა ნება, რომ წახვიდე შენ იქა, თავის დედამა: — ქოროლლი იგიდი კაცია, დაგკლავს შენ იქა.

— არ შეიძლება, მე უნდა წვედე იქა. ფაშას უნდა მოუყვანო ცხენი ქოროლლისა. მანაც უნდა მომცეს მისი გოგო მე.

წვედა ქელოლლანმა ქოროლლისან. ჩევდა ჩამლიბელში (ისტამბოლზე ახლოს). ჩასულა ჩამლიბელს სადილობიხან. მისულა ერთი ქურუნი ქვეშ (ავაზანს ვეტყვით ჩვენ, წყლისას, ცხენები რომ წყალსმენ). ქოროლლისა სეხებმა გამეიყვანეს ცხენები წყალზე სასმე-

ლად. არ სვეს ცხენებმა ქურუნიდამ წყალი. შეფხუკდენ ცხენები  
თან ქურუნიდამ. ქოროლლი ყონალიდან უყურებდა.

— რატომ არ სვეს მაგ ცხენებმა წყალი? ჩახედეთ მაგ ქურუნიში,  
რომ რაა?

მეგემ ქურუმ ქვეშედამ კაცი. ტაცეს ფეხზე, გამეატანეს კარში.  
ბევრი სცემეს თან სემსებმა. ქოროლლის შიებრაალა: ნუ სცემთ მაგ  
ფუხარას. აქ მედყვანეთ ჩემთან!

— რატომ იმალოდი ქურუმ ქვეშე?

— ცხენებიდან შემეშინა, ქურუმ ქვეშე ვიმალოდი.

— შენ რა ხილმეთი გამოგივა?

— შენ რაცა ხიზმეთს ბრძანობ, იმ ხიზმეთს მოვაფარებ.

— ცხენის ხიზმეთს მოაფერებ?

— უკეთესი ვიცი ცხენის მოვლა!

დოუძახა იმალორ-ალას (სამასი სემსი ცხენს მსახურობდა): —  
ამ ფუხარასაც ერთი ცხენი დაანახვეთ, მოუაროს, ჯამაგირ მივცემ.

იმ ცხენს ეხიზმეთა ერთ თვეს, კარქა ხმელი ცხენი დაანახვეს.  
ერთ თვეს იქით ქოროლლიმ ჩევდა თავლახანაში. ადეთი ქონდა. კით-  
ხა, რომე სულ კართან ება ის ხმელი ცხენი. უწინ ის ხმელი ცხენი  
ნახა, კართან რომ იყო.

— ამ ცხენს ვინ ეხიზმეთა?

— წინაღღეს ერთი ქელოლლანი მევიდა, ის ხიზმეთ ურჯება ამ  
ცხენსა.

— ძალიან კარქათ ხიზმეთი უქნია. ამეილო ათი თუმანი, მიცა იმ  
ქელოლლანს ბახშიში, აჩუქა.

— სულ კარქი მსახურება გცოდნია, ამას აქით შენ ჩემი ცხენი  
ყირატი ხიზმეთი უნდა უყო.

ერთ თვემ გემეიარა. თავლახანაში ადგილი ჰქონდენ სეისებს.  
ყველა სეისი იქვენ არი, თავლაში (ახორსაც ვეტყვით, დიდ ადგილში  
თავლა არი). ზემოთ დივანხანაში საზი, სიმღერა, საკმელი ყველა  
ჯინისის საკმელიდან, რახიდან, შერაბიდან, თლათ გაწყობილი ბეგებ-  
თან. ქოჩეგი, სამა, იქი, ყიამეთი დადგა, ჯუმბუში აქვან. აქ სემსებმა  
თქვეს: „ემ კიდი, რა ქეიფში არიან ისინი!“

— მეც ავალ, ჩამევეტან საკმელებს, — ქელოლლანმა თქვა.

— არ შეიძლება, შენ იქ ახვიდე ბეგთან.

— ის ჩემი ბეგია, მე მისი სემსი ვარ, რატომ არ შეიძლება? ევდა  
ქელოლლანმა ქოროლლითან.

— ეს ქეიფი თელი ღმერთმან თქვენ მოგცა. ჩვენც ღმერთმა  
გავგაჩინა. ჩვენც გვინდა ჯუმბუში, საკმელი.

— უბძანა ქოროლიმა: — რა და რამ გინდა საჭმელი?

— აქ რაც საჭმელია ხაზირზე, ყველა საჭმელი მინდა, ყველიფრიდან. მოუტანეს რახი-საჭმელი. ჩეიტანეს თავლახანეში. ქამეს საჭმელი, დალიეს რახი-შერაბი. ჯუმბუში სულ კაა ქნა.

— ნაკლები გვაქ ახლა ქოჩეგი. სამა გინდანან, აგერ მე ვისამებ. თქვენ დალიეთ რახი-შარაბი.

ქელოლლანს უთხრეს: — შენც დალიე!

— დავლიო, ველარ ვისამებ. თქვენ ჯუმბუში მეითავეთ, ბოლო დროს მე მევთავეფ.

მეგერ რახი-შარაბი ბევრი მოვდენ. ამათ თლათ გახდენ ზარხოში. აღარ იციან დუნიას ხებერი. იშუა ქელოლლანმა ხასი დრო. ცხენი წაყვანისთვის გახაზირდა. დივანხანეშიც ხებერი აღარ არი. ქოროლი ბეგებ დეეძინენ. არ აქვან არა ხებერი, ქელოლლანმა მივდა. ცხენს აქ ოთხ ფეხზე ბუხავი (ოთხი ოყა იყო). ვერ წყეყვანა ქოროლისა ცხენი. მოზებნა ბუხავის კლიტე, ვერ ნახა იმის საღები. მემრე თავის ნამსახურ ცხენთან ევდა ქოროლის ყონახში. იქ ბევრი ეძება საღები. ვერ ნახა იქ საღები. აგერ დილა შამოათენდა. მიხვდა, რომ ვერ უნდა წყეყვანო ეს ცხენი: „ნუ არი ქოროლის ყირათი, იყოს მეორე ტორათი“. მუადგა ზურგში უნაგირი. გამეყვანა კარში თავლიდან. დააჯდა და იაღლა. გეიქცა, წევდა კაცმა.

დილა გათენდა. სემსებიდან ხებერი არაფერი არ არი. მეგემ თლათ წევან და ძინვან. მეგერ შუა დღე გახდა. ქოროლის ბეგმა ადგა ზეზე, ეჯემოლი დელი აჰმედმა. ჩევდა თავლახანაში. არა სემსი არ ამდგარა.

— ადექით მალე, მუათავეთ ცხენის ხიზმეთი!

სეისებმა ადგნენ, შეხედეს, არ არის ქელოლანი, არ არის ცხენი. უთხრეს ე ხებერი დელი აჰმედს. მუუტანა ხებერი ქოროლის. მეტი შეეშინდა ქოროლის:

— ჩემი ცხენია თუ სხვა ცხენი?

— შენი ცხენი ისვენ (sic) არის, წოუყვანია სხვა ცხენი. რატომ შამემანახავ გლახა კაცს. მოუპარავს ცხენი, წაუყვანია, გაქცეულა. რა ქვეყანისა იყო ე კაცი? ერთიც ვერ ვკითხეთ, რომ „სად არი შენი ქალაქი?“

— წოუყვანია ერთი ცხენი. რა იქნება ერთი ცხენით? ზათიც მიჩუქვებია მისთვინ. სადაც რომ უნდა, იქ წეიყვანოს.

ორ საათ იქით გამეიფიშმანა: ამ კაცმა ჩვენ გამოგვარეზილა. თუ იტყოდეს მის სოფელში, მაჩუქვა ქოროლიმ ეს ცხენი; თუ თქვა, რომ ლალატობით ექენი მე ეს საქმე; ჩვენ მაშინ დავრჩით შერცხვე-

ნილი. მომიყვანეთ ჩემი ცხენი, სილაპი. გამუეკიდო ამ კაც მე. ქოროლიმ შეირტყა სილაპი. შეჯდა ცხენზე. წევდა იმის ფეშინში, მუეწია ერთს ადგილ. ქელოლლანმა მოხედა უკან, დეინახა ქოროლი. მაშინ თქვა, რომ: დემელია მე დღე, სიკვილს რომ მე შევხვეწე, მე საწყალმა სითკე წევდე. ერთი წისქვილი დეინახა, ჩევდა წისქვილის კარზე. ჩქარაა დოუძახა დეგირმანჩის: — მალეა გამოი, კარში!

— რა გაქ ჩემთან საჩივარი?

— ეგერ მუა ყირათლი. თლათ გაწყვიტა დეგირმანჩი.

— დეგირმანჩებს რა უქნიან?

— მეც არ ვიცი ჩემი სუჩი. შენი ურუბა მე მომეცი, ჩემი ურუბა შენ ჩაიცივი.

— მემრე რაფერ საქმე დევიჭირო?

— მოი, ქომოდან წისქვილქვეშ დეიმალე!

ქელოლანი გახდა დეგირმანჩი, მოვდა ქოროლი წისქვილი კარში. დუუძახა დეგირმანჩის: — რეაქნა ამ ცხენის ბატონი?

ვერ იცნა ქოროლიმ ქელოლანი, გონია მას დეგირმანჩი.

— რა გვაქ დეგირმანჩებს სუჩი?

— რე-იქნა ცხენის ბატონი, არ ვეძებ მე დეგირმანჩის.

— იგერ არი წისქვილქვეშ.

ასწია ერთი კაი ზოფა, ქოროლიმა მიცა დეგირმანჩის ურუბა თავის, თლათ სილალიც მიაბარა. ჩევდა წისქვილქვეშ. ნახა კაცი კუჩხეში. ცემა ერთი კარგა. მოთხუა წისქვილქვეშ ყიამეთი: — ვინ ხარ, რომ შენ აქ იმალი?

— მე ვარ ახლა დეგირმანჩი.

— რა იქნა ცხენის ბატონი?

— იგერ არი დეგირმანში.

გაავდო დეგირმანჩი იქა. მოვიდა ქოროლიმ დეგირმანი კარში. შემჯდარა ქელოლანი ცხენზე, გასულა და განზე დგას. ახლა ქოროლიმ რა ქნას, ცხენი არ ყავს და სილალი არ აქ. შეიხვეწა ქოროლიმა: „ნუ გემიტებს ჩემ ნამუსსა, რამტენიც გინდა, მოგცე ფული. არ წეადყვანო ცხენი, არ წეადლო ჩემი სილალი. მეტი ბევრად გეხვეწები. ეილევი ჩემგან ბევრი ფული!“

არ გეიგონა ქელოლლანმა. ქოროლი დარჩა ხვეწნაში. ახლა ქოროლიმ უნდა სიმღერა უთხრას ქელოლლანს:

ჯანგმ ყირათ, გოზგმ ყირათ,  
სენი ბინან აღურ მურათ,  
პერ იანგნდან ჩიეთარ ყანათ,  
ირახ იოლლარ არძანგნ დურ.

ყირათი ბესლადგმ ქორფა,  
ჰაიხირდუხჩას ჩიხარ ზარფა,  
ჰერ ყონახდა ონ თას არფა,  
იფექ თორბა არძანგნ დურ.  
ქოროლლუმ დერ ოხლარინან,  
დოგუშურამ ჩოხლარინან;  
ბაში ფოლათ მუხლარინან,  
გუმში ნალლარ არძანგნ დურ.

კაცმა გააჰენა, წვევიდა. ტორათი დარჩა, ისიც ხამლადი. სისხლი-  
მისხლი გაართვა. შინ დაბრუნდა ქოროლლი. აინაით გაუხედა ყა-  
ვაზმა, გახედა, რომ ფქვილით გამხდარა სულ ქოროლლი. ერთი კი-  
დომ ქოსა კაცი იყო, ემია. მას უთხრა ყადავზმა: საზი მომეცი, სიმ-  
ღერა უნდა უთხრა ქოროლლის.

ნეჩენ გირუნ დევირმანა,  
დე ყალ ბოილე იანა, იანა,  
ლედი ამი ავვაზ ხანა.  
ბაზარგნ მუბარეჟ ოლსუნ.

არხანა აღმიშსუნ ფასტა,  
დერდგნდან ოლშიშინ ხასტა,  
ყაჩ თუმანი ვერდინ, უსტა.  
ბაზარგნ მუბარეჟ ოლსუნ.

არხანა აღმიშსუნ დერი  
აღამ, ია გელ, ია დონგერი,  
ვერდუნ ყირი, აღდგნ ტორი.  
ბაზარგნ. მუბარეჟ ოლსუნ.

იუჯა დალლარდა იასლანდგნ,  
ქოროლლი დეიუ სესლანდგნ,  
რენგინა მი ჰავასლანდგნ.  
ბაზარგნ მუბარეჟ ოლსუნ.

ახლა ის იქ დავტიოთ.

ქელოლლანმა მოიყვანა ცხენი შინ და მის კალოზე გამოაბა. ფა-  
შას ხებერი ხვდა. მუუყვანია ქელოლლანს ცხენი. „აართვით და, აქ  
მეიყვანეთ“. ქელოლლანმაც უთხრა, რომე ჯერ გოგო მომცეს, მისი  
და, ცხენს ისე მივცემ.

— არ შეიძლება, მე იმას ჩემი და მივსცე.

ბეგებმა, ვეზირებმა უთხრეს, რომ „ტყვილი არ შეიძლება დიდ  
კაცთან. მიცე უნდა გოგო“, უთხრეს წინაკაცებმა: — ჩააცვი, დააბუ-  
რე, ურუბა გამოუცვალე, გახდება ერთი ბეგი. დიდრვიანებს დუ-  
უჯერა ჰასან ფაშამ და მირცა და ქელოლლანს, ორმოც დღეზე დუღუ-  
ნი მეითავეს. ცხენი მუუყვანა ქელოლლანმა, დუუბა, თავით ქელოლ-  
ლანმა ფერუხეთ ხანუმესთან დაწვა. მემრე ცხენს ვინ მოუაროს?  
ერთი სხვა სემსი გააგზავნა ფაშამა. იმ სემსსა თავი მოაწყვიტა  
ცხენმა. არაკაცს აღარ შეეძლებოდა ცხენთან შესვლა. კიდოც რომე  
მის სიძემა მოუაროს, ქელოლლანმა. შეჩვეული ის იყო.

ახლა ჩვენი საქმე მოვიდეს უნდა ქოროლლითან. ჩედაცვა დეჟრი-  
შის ურუბა წვედა სილისტრა ქალაქში. მივდა ქალაქზე ახლოს. ში-  
ეყარა ერთი ბებერი კაცი.



— რა საქმე გაქ, ემიავ, შენ მაგ ქალაქში?

— ჩვენ ჰასან ფაშამ ზორით აართვა ცხენი ქოროღლისთ-ვის სასეფ რათ მივალ, რაფერი ცხენია დევნახო. დევრიში ამბობს: შენ მივინგლე, მე დავაქო ის ყირათი:

ჩანგმ ყირათ, გოზგმ ყირათ,  
აქაბ გოზლარ გორურმოლა,  
ჰასან ფაშა ლევენთლარი  
აქემენ სუაუნ ვერურმოლა.

დორღ აიაღმ ბირ ბირ ბასარ,  
ღუშმანგნ ბალრინი ქესარ,  
პერ დერედან ბირ ბალ ესარ,  
ტალლარ ყარი ვერურმოლა.

თქვა და ბებერზე წინ გეძარა დევრიშმა. შევიდა ერთ ყავეში. ყოჯამანმა ბებერმა მივდა ფაშასთან. ერთი თემენნა უყო.

— შენი ერთი კარგი ცხენი ავირთმევი ქოროღლისთვინ, სანახავათ მოსული ვარ.

— მეყყანეთ, მარა არაკაცსაც არ იჯღუმლებს.

— ყავეში მოვდა ერთი დეჭირიში, საზი ხელში აქ, თუ შეჯდება მაგ ცხენზე, ის დეჭირიში შეჯდება. ჰემ სიმღერას ეტყვის და ჰემ — და დეჭირიში შეჯდება.

— მეყყანეთ ჩემთან დეჭირიში!

წეშდა ახლა ერთი ყათაზი ყავეში.

მეიყვანეს დეჭირიში ფაშასთან. უთხრა ცხენისთვინ სიმღერა. შეჯდა დეჭირიში იმ ცხენზე.

— ამ ცხენსაც ქოროღლის სილადი ეფერება!

— შენ დეჭირში, იმას ნუ ჩივი, სილადი აგერ აქ არის.

აწია ქოროღლის სილადი, უთხრა დეჭირიშმა სიმღერა: შეიძლება დეჭირიშ ბაბა, შენ ეილე ბახშიშ ფული.

ბირ ატ გორღუმ სილისტირა ელენდა  
ელმა გოზლი ყვსფერჩემლი ყირათ გელ.  
ბენდ ოლშიმღურ ბირ ხოირათგნ ელენდა,  
ელმა გოზლი ყვსფერჩემლი ყირათ გელ.  
ბეუა ღურ გეუდესი; ქუჩუქ ღურ ბაში,  
დორღუნი ტოლდერკშიშ ბემგნდა იაში,  
ჩოხ ხადარ ბეგდა ღურ ბუნგნ ყარდაში,  
ელმა გოზლი ყვსფერჩემლი ყირათ გელ.  
არია, არია ბულდუნ იზინი,  
ოფენ ტირნალინი, სოღრა გოზუნი,  
ხურიშან ღერ შუქურ გორღუნ იუზუნი,  
ელმა გოზლი ყვსფერჩემლი ყირათ გელ.

გაათავა სიმღერა და თან გააჰენა ცხენი. ხენდეკში გააშპუნა გაღმაზე, თუნა-ჩაიც გეიარა; გეუდგა გაღმაზე, ცხენს უნაგირი მოაძრო, გააშრო. ახლა სიმღერა უთხრა:





ენდუმ სეარ ელაღემ თუნა ილისგნ,  
 ილუმა ძუზუნა, მაღლ აგვაზხან  
 შემსი ყემერ ქიბი გოსტარურ იუზუნ,  
 გუმ ქიბი ტალარა მაილა, აგვაზხან.  
 მახში ოთურ, მახში ტანიშ სოზულუნ,  
 ბენგმ ფარა სენუნ იქი გოზუნ,  
 შემსი ყემერ ქიბი გოსტარურ ძუზუნ,  
 ილუმა ძუზუნა, მაღლ აგვაზხან.  
 ქოროლლუ სოაღადი ბიზი მარადან,  
 ფალდურუნ ენგელი, ჩიხსენ არადან,  
 მაიპირთდგნ ყირათი, გეჩდგნ თუნადან,  
 ჰერ იანგმუზ ოლდი ზაილ, აგვაზხან.

ახლა შეჯდა ცხენზე და წეულა ქოროლლი, ნეგემ ჰასან ფაშის  
 მეორე ქალი, სოგუთ ბალის ეტყოდენ, ერთი ჩივთლიგი იყო, იქ იჯ-  
 და ფერუზეთ ხანუმი, მივდა იქა ფერუზეთ ხანუმთან ქოროლლი.

— შენმა კაცმა ჩემი ცხენი მოაპარვია, სილაი მოაპარვია, ახლა  
 ჩემი კაცისთვის, ჩემი ბეგისთვის უნდა წაგიყვანო (ჰასან ფაშის  
 ქალს უთხრა).

იმ ხანუმსა წინდაწინ ქოროლლის ბეზირმანი გაქუცული ყავ-  
 და. ახლა სიმღერა უთხრა ქოროლლიმა ხანუმს:

სოგუთ ბაღენა ვიდარსენ,  
 ყუმამუნ იალმა იდარსენ,  
 ბეზირგანემ დოგარსენ  
 პარამიმისგნ, ფერუზეთ.

**ახლა ფერუზეთმა უთხრა:**

სოგუთ ბაღენა ვიდარემ,  
 ყუმამუნ იალმა იდარემ,  
 ბეზირგანენი დოგარემ,  
 აშუხ, სანა ქიმლარ დელლარ.

ბენ ქოროლლიამ, ყალხარემ,  
 ოხუმი გოქსან ჩახარემ,  
 სარაინ ბაშა იხარემ,  
 გელურმისგნ, ყიზ ფერუზეთ.

სანიდა სარაიდა ატტურემ,  
 ლემინი ქელბა ყავტურემ,  
 ფოსტუან სამან თეფთურემ,  
 აშუხ, სანა ქიმლარ დელლარ.

ფერუზედემ, აღემ ბელლი,  
 დუდი დილლი, ინჯა ბელლი,  
 სეფა გელდინ, ალა მოლლი,  
 აღამ, სანა ქიმლარ დელლარ.

ქოროლლიმა (ცხენზე ზის) ხელი წამოიღო, თერქზე შამეიჯდუმ-  
 ლა, ეყვანა, წევდა. ქოროლლიმა ორი ხანე სიტყვა კიდო უთხრა  
 გოგოს ცხენზე:

ჩიხარ, ბახჩადა გეზარსენ,  
 დერთლი ბაღრიმი ეზარსენ,  
 ბააზ ქალიდა ბენზარსენ,  
 ყელემ ტუთმაზ, მაზიმ სენი.

იუჯა ტალარუნ ყარისინ,  
 პანგი ბაღჩანგნ ბარისინ,  
 ყარა გელანგნ იარისინ,  
 ჩამლიბეულდა სარსენ სენი.



წეუდა. ჰასან ფაშამა ქალის წაყვანა შეატყვა. ორჯერ ათასი კაცით გამოეკიდა, გზაში მუეწია. ერთ კლდეში დაამწყვდია, ის ზე დამწყვდეული დარჩა.

ჩამლიბელს სიზმარი ნახა ქოსა ქანანმა. ქოროლლი ამუალს ადგილ დამწყვდეულია მალარაში. მოვდა, მოუსწრა ორმოცი ცხენოსანი. ქოროლლიმ უთხრა ცხენოსანს სიმღერა:

ყალბენ ყალბაია ტალაღმ,	ყალბენ ყავლაა სარფალმ,
ალაილარინი ბოლაღმ,	ყარლი სირქვუ ტართალმ,
დუშმანდან ჰაიფ ალაღმ,	აჯ ასლან ქიზი მართალმ,
სიზ ბირ მანდან, ბენ ბირ მანდან.	სიზ ბირ მანდან, ბენ ბირ მანდან.

კიდო უთხრა ქოროლლიმა სიმღერა მალარაში:

სარული ვგრი სარანარ,	შიშმექლი კაპუტ გეანარ,
ქელბეთ ბირ გუნ ირლარ ოლურ,	ალირ ქოლარი მანარ,
ყავლადა ყალმაზ კალაფათ,	თუქნედა ბენამ დიანარ,
ბოზულურ, თარიმარ ოლურ.	მეადან ბამგნდა ტარ ოლურ.

ქოროლლუმ ბუნი სოილასა,  
 ეშქ დერიასინი ბოილასა,  
 იგიდ მეიდანდა ოლმასა,  
 მირასუზ გელსა, არ ოლურ.

ის ორმოცი ცხენიანი კაცი ესკერში შევიდა და თლათ გაწყვიტა, ჰასან ფაშა დეჰქირა ქოსამ. ქოროლლიმ ქალი გააშვებია, მისცა თავის ბეგს ყარაგედას. ესკერი გაწყვიდენ, გეჰქცენ სილისტრას. ახლა ქოროლლიმ უნდა მოვიდეს ჩამლიბელს. წინდაწინ თექათლი მოვიდა ქოროლლი ჩამლიბელს და გელინებს უთხრა: „ჩვენი ბეგები სულ გაწყვიტესო“. ოცდაცხრამეტი გელინი ყავდა. მეორმოცე ყარაგედას ქალი:

ქანან ელარგნა ვარღმ,	ხაზინედარა დეან გელსენ,
და ეგლარღმ ყალღმ,	ხაზინე ოდასინა ვირსენ,
ბეგლარღმ ოლისინ ვორღმ,	ნიქაპლარინიზი ვერსენ,
ტულ ყალღგნუზ ხანუმლარგნ.	ბურდან გეღგნ, ხანუმლარგნ.

ქოროლლუმ დერ ყადრემ ბილინ,  
 მალან სოჰლადიმ და გულუნ,  
 ომან გულუნ, ხანგმლარგნ.

მოვიდა ესკერი ორმოცი ცხენიანი. მეიყვანეს ხანუმი. ხანუმის სიმღერა:

შუ ყარში ქი ყარლი ტალღარ,  
აჯაბ ბიზმ ტალღარმოლა,  
აღზი ლიფლი ბენგმ ანამ,  
ყიზმ დერდა, აღღარმოლა.

ქააბედან გელურ ჰაჯილარ,  
აღურქდან ჩიხმაზ აჯილარ,  
ბაღდა ქი ჩიფთა ბაჯილარ,  
ბაჯი დერ-და, აღღარმოლა.



ფერუხეთ გეადი აღინი,  
გელდი სალინი სალინი,  
ოღღუმ ქოროღლუ გელინი,  
ჩამღიბელდა გელდიმოლა.


შვიდ ღღეს, შვიდ ღამეს ქორწილი გააწყვეს. ყარაგედას მისცეს ხანუმი.

(თურქული სიმღერების თარგმანი იხ. შენიშვნებში)

#### 6. კამზანაგან ყირათის მოპარვა

ამბობენ, ყოფილა ერ ვაშკაც კაციო. იმას თავი დროზე იოხსულეები უბრალებია, ქეთხუდაების დუშმანი ყოფილაო. ამ კაცს, გასულა სოფლის გარე ერ თის პირს ბინა ჩამოუგდია და სადაც გაიგვედა, ვაშკაცი არისო, წავედოდა, მოიტაცებდა, მოყონდაო. როგორც გინდა რომ ვაშკაცი იყოს, იმიზდან ყუვათლუ არ ყოფილაო. იგრეობით დოუგრივებია 777 კაცი თავის ბინაზე. ეს დოგროვებული კაცები ყოფილან იმის ასკერებო. ეხლა იმათგან ერთი უნდა კამანდერი დააყენოს. იფიქრა, დელუ დემურჩი ოღლი კარგია. ფუთუმზგან ყუვათლუ არისო. ეს დელუ დემურჩი ოღლი ქეთხუდაევთან დაჰვაში ყილინყით არ უბზოლნია, იმას თავი მამათბეი გოუყეთინებია ათი ყულეჯი ჯინჯირი. ეს ჯინჯირი ნახევარი თონიანი ყოფილაო. დაჰვაში ამ ჯინჯირით მისაც მოხვდებოდა, უგიქავ აზროვდა სულს. ამ ასკერების იქე დამგრობელი ყოფილა ბრიმაა შვილი. იმას ჰქონია ორი ცხენი. ერთი ყოფილა ყირათი, ერთი კი დურათი. ყირათი დურათისაგან მაგრა მიხორნებოდაო. ეს კაცი ჰამეშა დაჰვაში წასულაში ყირათზე ჯდებოდაო. ყირათი გაქცომაში ორას ყულეჯ ჯინჯირს შაბამდნენ, ჯინჯირი წვერი მიწაზე არ ხვდებოდაო. უგიჰალი მაგრა მიხორნებოდა ჰიგი ყირათი. ის კაცი ქეხუდაევთან დაჰვას ჩადიოდა, იმათ ართომდა, ვარი დევლეთს ღარბიბებს უყოფდა.

ერხელ ერ ქეთხუდამ იფიქრა, თუ ბრიმაი შვილს ყირათი არ ექნა, მაგას დაჰვაში ჩონ მოვკლაეთო. ქეთხუდამ თქო, რამქთონ ზიანც უნდა მექნოს, მაგი ცხენი უნდა მოვაპარვინოვო. დაგროვდა ქეთხუდები სოფელ, მასლათობენ. ვინც იმის ყირათს მოიპარავს, მოიყვანს, ორი ბაკან ყიზილს ვაზლევთო. მეორე ქეთხუდა ამბოვს:

მე სამ ბაკან ყიზილს ვაზღვევო. მესამე ქუთხუდამ თქო:  მე ჩემი გოგოს ვაზღვევ, ქორწილი ხარჯიც ჩემგან იქნებაო.

ამა არამინაც გულს ვერ ჩედიოდნენ. ბუთუმს ეწინოდათ იმ ბრიმია შვილისაგან. მეორე დღეს ერ ქაჩალ იყო. იმამ გაიგა, რომ ეიგე საქმე არისო, თქო, მე წავალ.

წავიდა, უთხრა ქეთხუდას: — შენ გოგოს თუ მამათხოვებ ჩემთან, მე წავალ ყირათი მაპარლაო. ქეთხუდა რაზი იქნა. ქაჩალი მოვდა შინ. რაც ძველები ქონდა, დაიხურა და ჩადგა გზაში. მიდის. ჩონ ვიცით. რომ ქაჩალი როგო ბიჭი არის, ბუთუმგან ამთავნევს საქმი გაკეთებას. ეს ქაჩალი იყო ქაჩალ ჰასანა. ეს ქაჩალი სამი დღე გზას წავდა ვოუწივა იმ ვაშკაცი შაპრი კარეეთან, გარეთ მოიკუთხა დაჯდა.

შუადღე რომ იქნა, ყირათზე იჯდა ერ კაცი. მოვდა. მადგა თავი კარევეს, ხედავს, ეს ფალირი ჯის თავი შაპრეში, თქო მინა არი, ჰე კაცი რა უნდა, რომ ჰემანდ მოკუტულა. ზირზე რომ მიუწივა, უთხრა: — მინა ხარ, რა გინდა, რომ მოსულხარ? ამ ფალირმა უთხრა: — ერ ფალირი ვარ. ქეთხუდაებმა წამართვეს ბუთუმ ის ვარი, რაც შენ მამეცი მაშინაო. ეხლა მინდა, შენთან ვიყო, ცხორს მოვლო, შენ ცხენევს შევხედავ, მე არ მაქო სახლ-კარი. გეხეწები, შემინახეო, გზას წამიყო შენ ეზოშიო.

დავლო ხელი, ცხენზე შემოიღო, შევდა ეზოში. ნახა, რომ ბუთუმ ასკერები მუხლებზე იყვნენ, სალამს აზღვედნენ აღმასას. იმას სახელი ქვიან აღმასა. აღმასას დედაკაცმა რომ დაინახა, დახეულ ტანსამუსიანი კაც მოჰყონდა, თქო, ეს მინა? ჩემი კაცი ჰამეშა კაი ვაშკაცევს მოჰყონდა, ეხლა რა ფალირს მოჰყონს. ეხლა რაში უნდა ჰემა მოჰყონსო. აღმასამ ჩამოიყონა ეს ქაჩალი, უთხრა თავი ასკერევეს: — ეს არი ერ ფალირი ქაჩალი, ეს იქნება ჩონი შვიდას სამოცდამეთვრამეტე ძმა. იმუშაევს ეზოში, საქონელს შეხედავსო.

დახადეს ზველები, ჩააცვეს ახლები. აღმასას დედაკაცმა დაინახა, ქაჩალია, უგემაშინავ თქო: — რაც უნდა, მიეცი, ეხლავე ჰეგ გაიყო ეზოით. ვერ ხედავა ქაჩალიაო. მაგას ერ ხათაბალა მოუღია ჩონთუნ იგრე მოსულაო, თუ არ, არ მოვდოდაო. ქაჩლები ეემან ზიჯნია, ეშმაკებიაო. აღმასამ უთხრა დედაკაცს: — მე ამქთონა დაჰვამიტარებია, ერ ქაჩალმა რა უნდა მიყოსო. ეხლა ერ ქაჩალ ჰასანამ რა უნდა მიყოს მითამ რაიზეი გეშინიან, ჩემი ყილინჯი რომ მივცი, ვუთხრო. დამკარიო, ჰეგე მე ტყავს ვერ გამიჭრის.

ნიგორამ უთხრა: — მე ყარაზ გებნები, როგორც ვიცი. მე ვამბობ, რომ ჰეგ ქაჩალი ჩონ გემუქას გოგიმწარევეს, ვიცი მე. ქაჩლევს ბევერი თავზე ბოსტნები მოუხნავყე, შენ კარვა იცი, ჩემი მამას რამქთო-

ნა ცხორი შოუჭამა ერ ქაჩალმა ამა, არც კი ფიქროდნენ რომისი ქნევდა აიგე ქურდობასო. ჰიგი მიზგი მეშინიან ქაჩლებიზგან.

კაც-დედაკაც რომ ლაპარაკობდნენ, ჰამზას ჰისაბში არ აგდებდნენ. ისიც უგიქავ ბუხარს მოფინებოდა, თავი მიედო მითამ ეზინა, თოლები წასულოდა კეფაში. ამა მაგრა მაგრა უსმენდაყე იმათ. ჰემ ეშინოდა, არ გამაგდონო, ჰემაც ფიქრობდა, იქნებ სოფლით მიმე მოსულა, უთქომ ჩემი ბიჯობა, თუ რა საამ იცის ჰე დედაკაცი, ჰე-მაგრე წორსა, აგრე ჯავრი მოჰდიოდა, ერჯა, ჰავი დედაკაცი თავი მომეკლა, მეტი არაფერი მინდაო, მასკან მეც მომკვდარიყავიო. იმ ქეთხუდაამ ქალსაც აღარ მავლევდი გულშიო. ყარაზ ამ ქაჩალმა ინოქრა სამ თვეს.

ჯერ სიპტა ყირათი და დურათი არ უშოვდნენ ზირზე. მასკან და მასკან დეჩივნენ. ერ ღამე ჰამზამ გამოიყვანა დურათი წყალი და-დევლათ. ნახა, არავინ არის, შეჰკაზმა თავიბეი, თქო, ქეთხუდას მოვატყუებ ყირათიო, რას იციან ისინი, რომელია ყირათი, რომელია დურათიო. შეჯდა მიიყონს. გაიგეს, რომ ქაჩალმა დურათი მოიპარაო, უგიმაშინავ გამოვარდა ალმასი, შეჯდა ყირათზე, გამოუდგა უკან.

რომ გათენდა, ნახა, კომლოვი ტერი ამდგარიყო ღრუბლამდენ, ჰამზა დაჰა გადასულიყო ქეთხუდაები მიწაზე. აიქე ერ ციცქვილი იყო. ჩამოვიდა ცხენით, დაამბა ცხენი, შევდა ციცქვილში, მეციცქვილეს უთხრა, დეშუ, მამე შენი ტანსმუსი, ჩაიცვი ჩემი ტანსმუსი, დაიმალე, მალე სარნავში, ფქვილს წაგაყრიო, ალმასა მოდის, შენ ხომ იცი ხარ, ქეთხუდაების დუშმანია, შენ მაკვლელა მოდისო. მე კი ვეტყვი, მე ერ ღარიბი ვარ, მეციცქვილე არ ვარო, იეეგინა მე-ციცქვილე ჩადგა სარნავში, ზეით ფქვილი დააყარა, თითონ კი იმის ტანსმუსი ჩაიცვა, პირზე შეიყარა ფქვილი, დაჯდა ლოგინზე, მუგუ-ზებით ცეცხლს ანთევდა. ამ დროს ალმასა მოუწივა ციცქვილთან. ნახა, დურათი დაბმულა ატმის ხეზე. თქო: — აჰა, დედას გიტირევ, ქაჩალო, ეხლაო, ჰაბა შენ სად უნდა გედხორწო ყირათსო. ჩამოვიდა, ყირათი უგიქავ დააბა. შევდა ციცქვილში. გამოუყვირა მე-ციცქვილეს: — რა იქნა ეგე რომ კაცი მოვიდაო?

იმან აფხრუსტული, ხრევაწეული წელში მოკუნტული ადგა ფეხზე, თითით უჩვენა სარნავში პირქვე წაქცევ კაციო, ჩავლო დათივი ხელი კისერში. ჰამზა გამოვდა გარე, შეჯდა ყირათზე, წავდა ოცი მეტრი წინ. დაყენა ყირათი. ალმასამ კაცი შუაზე გაფათრა, ნახევარი ერ ხელში, ნახევარი ერ ხელში, გამოვდა გარე, ფიქროვდა, რომ ცხენზე უნდა გადაკიდოს, წაილოს. დედაკაციებმა დაანახებდა ქაჩალს.

ამა ფიქრები არ გამოდა წორა, უკრეტავს, ყირათზე მეციციკვი-  
ლე შემჯდარა, დოუყვირა: — მოი აქე, ჩამოი დეშურეო! — ნუ ყვირთ,  
მე ყირათი მინდოდა მომეპარა, ამა ვერ მეიფურსანდევილი, ეხლა კი  
მომენტი იქნა. მე ღურათს მივეყონდი, უნდა მომეტყუებინა ქეთხუ-  
და და ქალს ვითხოვნიდიო.

აღმასამ ნახა, რაში იყო საქმე. უთხრა, შეხვეწა: — ჰემაგრევე  
გაკეთე, ღურათი წაიყო, ყირათი დამიგდიო. ჰასანამ უთხრა: — მე  
ეხლა შენ ველარ დაგენდები. შენ ყირათზე შეჯდე, მე ღურათზე, და-  
მიქერ, მომგლეჯავ თავსო. ხუთმეტეი დღეს უკან მოი, ქეთხუდაების  
სოფელში აშილი ტანმუსით. შენი ჩონგურიც აილი, მოიკითხე ქორ-  
წილი სად არისო, მოი ქორწილში, როგორც აშილი, დოუქარი, იმ-  
ღერი, თამაშა გაკეთე, ქორწილი მორჩობი მეორე დღე მოგცემ შენი  
ყირათს, წაიყონეო — და ჰამზა წავდა.

აღმასა დაბრუნდა ღურათით, აღარ უნდოდა თავის თავი ეჩვე-  
ნებინა დედაკაცისათვის. ამა, კიდევე პატარ ფიქრი ქონდა, რომ ვაშ-  
კაცობას ვუჩვენევე, რომ მავყონ ყირათსო, უგიმბიბი მოვდა შინ.

ხალღმა გაიგეს, ქაჩალს აღმასამ ყირათი მოუპარავსო, მოუყ-  
ვანიაო, ბუთუმ გამათებული დარჩომოდენ. იმათ კი ეგონათ, რომ  
ჰამზა აღმასას მოუკლავო, რომ სამი თვე აღარ იყო. ამ ქეთხუდა  
კაცს ბოღმა მოვიდა ყელში, არ უნდოდა, თავი ვარდივი ქალი ამ ტი-  
ლიან ქაჩალიბეი მიეცა. ჰამზამ რო გაიგო, წავდა, დოუზახნა, უთხ-  
რა: — თუ არ მომცემ, წავყონ, მივეცემ ცხენს აღმასას და ვეტყვი,  
რომ შენ ეგრე ფიქროვდი, შენ მომპარინე იმი ცხენიო. მოვაკვლე-  
ვინევე შენი თავიო. თავი შიშით ქეთხუდამ უთხრა: — მაიყო ყირათი,  
ჩემი ზროხი სახში დაბიო.

დაიწყო ქორწილი. უგიმ დღეს მოუწივა აღმასამ ქორწილში,  
დაინახეს, რომ აშილია, დაუზახეს შინ. თავში დააჯდინეს. ერ ვი-  
მემ ვერ იცნა, რომ ეს აღმასა არისო. მარტო ქაჩალმა იცნა. ის კი  
მიმეს არ ეუბნებოდა, რომ ჰეგ არის ქეთხუდაების დუშმანი, ლარიბე-  
ბის შამავო. ერ დღე-ღამე გავიდა, ქორწილშია აღმასა, ამა, ვერ გამ-  
ზღარა პურით. ღამით რომ ბითივნი დაითვრენ, გავიდა კუხნაში,  
აშბაზი მოკეცა, ჩაჰყირა ქვამში. რაც შაჭმელები იყო, ბითუმ შექამა,  
ზლივ ცოტა მუცელი გაიკეთა. იმშინსუკან გადავიდა იქით, თუთანაც  
პოლზე დაწო, დაიზინა.

დილა როგორც გათენდა, დაინახეს, აშბაზი ქობშია მკვდარი.  
ბევრი იფიქრეს, მინ ქნევდა ამ საქმეს, ამა მიმემ ვერ იფიქრა, რომ  
აშილი ქნევდაო, გაგზელეს ქორწილი. როგორც არის, ქორწილი  
მორჩა, ქაჩალმა პატარზალი წაიყონა. მეორე ღამე იქნა, ქაჩალი

ზროხი სახში ელოდება აღმასას. ნავახტან დაინახა, რომ აღმასამ  
გალა ზროხი სახლი კარები, შემოვდა შიგ. შეჯდა ყირათზე, უთხ-  
რა: — რა ვქნაო ეხლა, მოგკლა, შენბეი როგორ წავიხდინო სახელი.  
აქტონ ხან ღარიბები მამა ვიყავი, ეხლა ღარიბები დუშმანი როგორ  
ვიქნებიო. შეჯდა ცხენზე, დოუზახა ქეთხუდას: — ყირათს მივყონ,  
თუ გინდა, გამოდი, წაგვიდნოთო!

გაჯავრდა ქეთხუდა, ამა არაფერი გამოვდა, აღმასამ ჩაავლო  
ხელი კისერში, მიარტყა თავით სახლი კარეცს. თუთინ წავიდა თავი  
ბინაში.

## 7. ქოროღლის ზრმა მამის სტუმრობა კუბ ძმასთან და ქოროღლის გაუახალვა

ქოროღლის მამა ქორი ყავდა, თვითონ ობოლი ღარიბი. მაგას  
მოყვარე ყავდა, ეგე კუტი იყო. კაი მოყვრობა ქონდათ. ის უთლიდა:  
ჩემთან ჩამოდიო, ეს ეუბნებოდა: მე ქორი ვარ, შენ ჩამოდიო.

ე ქოროღლი ბალანა იზღებდა და ეუბნებდა: „მამა, წამიყვანე,  
შენი ძმა კუტი ყოფილაო. — მე როგორ წაგიყვანო, მე ქორი ვარო.  
„ცხენზე შემაჯდუმლე და მე მიგიყვანო“.

ასე მიიყვანა სოფელში. დუღუძახებენ. გამოვლიან, შეიყვანებენ.  
კუტი ეტყვის: „ვინ არისო“. „რა ვიცი, ერთი ქორი კაცი მიიყვანა  
ბალანამაო“. ჩემი ძმა ხომ არ არიო. მეფხვევიან ერთმანეთს, დიდხანს  
იქ ღარჩებიან. წასვლას შეიწადინებს ქორი კაცი. აი კუტი არ უშვებს:  
„იყავ პაწა ხანს, მონატრებული ვარო“. არ შეიშლის. კუტი ამბობს:  
„ერთი ცხენი მუყუყვანეთო“. ქორი ამბობს: „მე თუ ცხენს მომცემთ,  
მე თითონ უნდა გამოვარჩიო ილხშიო“. კუტი ეუბნება: „რას მიხდები  
შენო? „ცხენს ვიცნობ, რა ცხენიაო, ძალს ვიცნობ დაუყეფებლად,  
კაცს ვიცნობ, რა გულის არისო“. „წეიყვანეთ, დააყენეთ ერთ კეღა-  
როშიო“.

წეიყვანეს, მიიყვანებენ ცხენებს, მოსერავს. არ ირჩევს. მოკ-  
ლედ. სამი-ოთხი ცხენი ღარჩება უვარგისი. ეს ბალანა კუჭდება, რა  
ცხენი უნდა აირჩიოსო. ბოლოს მოუყვანენ სხვა უვარგის ცხენს. მო-  
სერავს, გაფხეკილი ერთი ხმელი კვიცია. „ვარგია ეს“. მოვა კუტი  
კაცი ეუბნება: — აკი, ჩემო ძმაო, ამბობდი, ცხენს ვიცნობ, რა ცხე-  
ნიაო, ძალს ვიცნობ, რა ძალლიაო. ვეფერი ვერ იცანი, აი რა ცხე-  
ნია? მე ამით სახლში ვერ გაგიშობ. აი, თუ გინდა ზედმეტად წეიყ-  
ვანე.

მოსამსახურეს ეუბნება: — წადი, კაი ცხენი მოუყვანეთ!

მოუყვანეს სუქანი ცხენი. ბალანას გული შეუსრულდეს. წამოიყვანს ამ ცხენს. ერთ სამოცდაათ თავ ცხვარსაც მიცემს. წამოიყვანებენ ამ ცხენებს. მიყვანებენ კაი მინდორია.

— აი, ჩემო მამა, — ქორს ეუბნება ბალანა — აი კაი ცხენი რუმ არ მოეცა, გზაში დაგარჩობდი.

— რატომ, აი, კაი მინდორია, გავაქენოთ.

გავაქენებენ. შემოუჭირებს მათრახს ბალანა. ე დიდი ცხენი წაუხდება, ეი პატარა კვიცი გახტება, წავა. ჩამოვა ქორი კაცი, ნახავს, ი სუქანი ცხენი იხვევს მუცელს, გამხდარს აფერი აქ. „წეიყვანე აი ცხენი შენ, გასახელებს, აი მეორე გაყიდეო“.

აი სამოცდაათი ცხვარი გაუხდა სური. კაკანაი კაკანას იშონის და გახდება სური. მამამისი მოკვდება და დარჩება ქოროლი ჰურიშალი. ორ თვეს მოუარს ამ ცხენს, გამეიყვანს, დაადგამს უნაგირს, 15 დღე კიდე უნდა ამას მოვლაო, ქერის ჰამაო, 15 დღის უკან რომ გამოიყვანს, ამის მეტი აღარ უნდაო, თერბიელი ცხენი გამოუაო.

ლამაზი კაცია აი ქოროლი. შვიდ ქალამდე შეირთავს. ამ ყირათით მთებზე სიარული გუუხარდება.

ბოლიბეგი ყოფილა ხემწიფე, მიყავს ქერვანი. ერთი ლამაზი ბიჭი შეხდება, გოგოზე უფრო ლამაზი. ამ ქერვანი უფროსია. იეგნი ბიჭი ჩანს, ძიძვე ბიჭი, უჭრის ქოროლი გზას, გადაყოფს მკლავს, მოიტაცებს აივას, გააფრენს, წეიყვანს თავის სახში.

ორმოცდაათამდე კაცს შეიძენს ეს ქოროლი და დეიწყებს ხემწიფობას. ერთ მთიებზე ნახავს რომ ერთ მოხუც კაცს გოგო მიყავს. ეს გოგო თვალს დეიქერს ქოროლიზე, ლამაზი კაცია. მოხუცს ეუბნება ქოროლი: „დამითმე ცოლად“, — ამეიღებს ერთ ქესა ფულს. „შენ გინდა თუ არ გინდა, არ ვიცი მეო“, შეიჯღუმლებს ცხენზე.

ეს მოხუცი ფულს წეიღებს სახლში. ამას მაგარი ბიჭი ყავს. კითხავს: „სა წეიყვანე ჩემი და?“ „ამართვეს გზაში. ქოროლი ვარო, თქვა, აი ერთი ქესა ფული მომცა და წეიყვანა“. „როგორ მიეცი?!“ „რა მექნაო, შემოიჯღუმლა თერგზე, გეიარა წევდაო“. „მე შენთან დამდგომი შვილი არ ვარ“. გეიარს წავა. მივა ჩამლიბელში. ამბობს, მე იქ არ მიმესვლება, მოი მივალ ბოლიბეგთან, ბელქი იმან გამომაყვანიოს ჩემი დაო. ადგება და მივა ბოლიბეგთან.

— რა ამბავია?

— ასეო, მამაჩემს და ჩემ დას შეხვდა ეს კაცი მთაზე, დაავლო ხელიო, ერთი ქესა ფული გამოუგდო და წეიყვანა და წევდაო, შენთან მოვედი, შენ უნდა გემსახურო.



— იყავი ჩემთან, შენზე დიდი მტერი მე ვარ იმისა, მეც მრმტაცა ჩემი ფელივანი.

დეიწყებს ეს ბიჭი მუშაობას. ერთ დღეს ეუბნება ბოლიბეგს:

— ეხლა იზინი მომეცი, სანადიროთ უნდა წვევიდე, იაბანს მევიყვან.

მეიყვანა შევლი, გუუხარდება ბოლიბეგს, ამა, ბოლიბეგთან ვეფერი შედეგი ვერ მიიღო. იფიქრა, მე ეს ვერ მიშველისო. უთხრა: — იზინი მომეცი, ჩამლიბელში წვევიდეო.

— ქოროლლი ეშმაკი კაცია, აი მოგკლავს, ია ციხეში ჩაგსვამს. არ დეიშალა, წვედა. ქოროლლი მთაზე იარება.

— ვინ არი ეს? დეიჭირეთ, გაკოჭეთ, წეიყვანეთ ციხეში!

დენინახა დამ. სალამოს ქოროლლის უთხრა: — ძვალეები მტყდება, ჩემთან არ დაწვე.

— რატომ გტყდება? — იმიტომ, რომ ჩემი ძმა ჩემ სანახავათ მევდა, შენ კი ციხეში ჩააგდე. — რატომ არ მითხარი? — როგორ მეთქვა, შენ თერსი კაცი ხარ.

— მეიყვანეთ! — უბრძანებს. მეიყვანებენ.

— ბოლიში, მე არ ვიცოდი, თუ შენ ჩემი ყაინი იყავი. კარქათ მიიღებს, ამა უინი უინია, უნდა წეიყვანოს და.

მეხუთე დღე რომ გახდება, წავა სანადიროთ. ორი ნადირი მეიყვანა, ერთი ერთ ილლიაში, მეორე მეორე ილლიაში. — ყაინ ალა, შენ კარქი ვაყკაცი ყოფილხარ!

მეორე ხელ წავა და მეიყვანს, მესამეთ — ილა წამუა ჩემი სიძეო, — იფიქრებს. ბოლი ბეგს ეტყვის: „მაგარი ფელივანები წამოიყვანე, ბაწარი წამოიღე, ხვალ სალამოს აღრიანა მოო და დაჯექი ტყეში, რუმ დეიძინებენ, გავკოჭოთო“.

მეორე დღეს გეიარს. შეხდება ქოროლლი. — სა იყავი? — არ იყო იაბანი, — ატყვილებს. მეორე დილით ადგება, წამუალ მეცაო. — წამოი, აიდე! წეიყვანს, წავა. მივლენ მინდორში. არ არი არაფერი. მიუა, დაწვება: ქოროლლის ეუბნება, შენ თუ გინდა წაი, მე ამაღამ უნდა დავრჩეო. დარჩებიან. არ დაწვება ქოროლლი. „მე სილიანი კაცი ვარ, დერდი მაქო“. „სიძევ, დაწექი, მე დაგიცავო“, „არაო“.

ერთიც ნახავს, ქოროლლის ძილი მოსლია. წუთით ქოროლლი დაწვება, დეიძინება მაგრა. მივა ტყის პირად, გუუქანებს ჩევრეს, მოზავდებიან ტყიდან, ზოგი კისერზე დააწვება, ზოგი — ფეხებზე. დეიჭირავენ. ეუბნება ქოროლლი: — გამიშვით, ფიჩმან გახდებით, ქოროლლის ვეფერს ვერ უზამთ.

მიიყვანებენ ბოლი ბეგთან. ესკერიც მიეგებება. მაშინათვე მისცემს განკარგულებას: — უღელი მეიტანეთ, ზენჯირი მეიტანეთ! მაწევარ ჩამუშს შეუბამენ ქოროღლის, არ აკმევენ, არ ასმევენ. სამ ღამეს უკმელ-უსმელი ამ ჩამუშშია შებმული. დიდი აღილია შემოდვარული. ამოჭრიან ორმეს, უუშეებენ ამ ქოროღლის და თავდაღმე ჩუუშეებენ ორმეში. თორმეტი ფელივანი მეიტანს დიდ ქვას და დაადებენ ზე.

მეგემ ერთი ნიჰიანი კაცი ყოფილა, რაც სიზმარ ნახავს, ის გამეიწყობა ისე. ღამე სიზმარ ნახავს, რომ ქოროღლი დაჭირულია. პოდა, დუუძახა ფელივანებს: — ქოროღლი სამ დღეს ჩამუშში ყოფილა შებმული და ხე უხობებია, აი ნადი არ უნდაო, ბოლიბეგს ჯარით ვერ მიუდგებით, დუბარა უნდა მიუდგეთო. ყველა უყურებს, რომელი წვეიდეთო. დიდი სამოვრით ყავეს დადგამს. ამათში ერთი ისა ბალია, აივაზზე უფრო ლამაზი. ამ ფელივანებს ეუბნება ეს კაცი:—ასწით და შესვით ყავე, ვინ უფრო მალე შესვამს!

ყველას მოასწრებს ისა ბალი. წავა ეს ისა ბალი, ამა სილადი რამე არ აქ. მედნის ფოლადის კარი დაკეტილია. მედნის ძირში გარედან გამოაბამს ცხენს, ჩიტივით შეფთქილდება და ავა ზე. შუალამეა. გადავა, ჩავა ძირს. თურმე მეორე დღეს შუალდი ხანს უნდა დაწვან ქოროღლი. ბოლიბეგი სახში არ არის. სახში მარტო გოგოა — დუნია გუზელი. დეინახავს ქოროღლის, შეეცოდება, მეიტანს იაღს, პურს, შედგამს შიდან იაღს და ქვა ქვეშ შეჭედავს ხელით. ჩავარდება იაღიანი პური. დუუძახებს: — ე, ცოცხალი ხარ თუ კტარი?

— ცოცხალი ვარ!

— მე ბოლიბეგის გოგო ვარ, ხვალ დილას უნდა დეიწვე, აგერ პური ჩამოგიგდე!

ამ ხანში ისა ბალაც გადმუა. ხმაურობას გეიგონებს, მივა, — იდან მოხველ აქაო.

— დღეს ჩამოვედი და მედნის კარი დაკეტილიაო და ვერ მივიღივარო, — ატყვილებს.

— აიღე, წარმოი ჩემთან, წეიყვანს, ნახავს სინათლეზე. იმსილამაზე ბიჭია, რომ დუნიაზე არ იქნება უფრო ლამაზი. მეეწონება. — ქოროღლის კაცი არ ვარ, — ეუბნება.

ქოროღლის ყილიჯი და ურუბა მიკიდულია და ფერდვა ჩამოფარებული. გოგო ამბობს, თუ ეს ქოროღლის კაცია, იცნობს ამ ურუბასო და გააჩოჩებს ფერდეს. უყურებს ისა ბალი, იცნობს.

— გამოგაყვანიან ქოროღლის, თუ ცოლად წამიყვან.

— წავიყვან.

გოგო ეიღებს ურუბას, დაახვევს, მივლიან ორმეზე, ჩაწვება, ჩუქმახებს:

— ვინ გყავს მოყვარე, რომ დაგიხსნას?

— მრავალი მყავს, მაგრამ ვინ იცის ჩემი აქ ყოფნა? — მოთვლის, დემირჩოღლი დიდი მაგარი ფელივანიაო. ისა ბალას სახელს არ შეიტანს პირზე.

— ისა ბალია მოსული და თუ დამიდებ იმის პირობას, რომ ცოლად წამიყვან ისა ბალისთვის, გაგიშობ.

— მოხარული ვიქნები, ჩემი პირველი შვილი შენ იქნები.

ისა ბალი თორმეტი ფელივანის დადებულ ქვას მოაძლის, ჩუქმეებზენ თოკს, მეიბამს წელზე, დეეკიდებიან და ამეიყვანენ. მეეხვევიან. გადაკოცნის გოგოს. მივლიან მედინი ძირში. დამეა ბნელი. ისა ბალი ავა ზე. ასწევს ქოროღლი ამ გოგოს და გადაიყვანს.

— მე სანამ აქ არ დავაკიეინებ, არ წავალ, იცნან, რაფერი ქოროღლი ვარ.

წევლიან ესენი. ქოროღლი დააკიეინებს მაგრა. გუღუხტება, წავა.

#### 8. ქოროღლის შვილის ახვავი

ქოროღლის არ ყავდა შვილი. ქოროღლიმ თქვა, საცხა წავალ, ქალს ვიშონი, შვილი მეყოლებათ. მიდის. ერთ სოფელში მივა, ნახავს ერთ ქალს. „ღამე გამათევიეო“. ამ ქალის ქმარი დაკარქულია საცხა, არ ყავს. ხოდა, საღამოს ვახშამს აქმევს. ქოროღლი ოქროს მიცემს. ღამე დაწვება მასთან. ეტყვის: „თუ ბიჭი გეყოლა, ეს ხმალი მიეცი, მაგით მომნახავს მე“.

მართლაც, ეს ორსულათ დარჩა და ეყოლა ვაჟი. დღითიდღე იზრდებოდა. ყველას პანტასავით ყრიდა. ერთმა ბაღანამ უთხრა, რომ ფიჯი ხარ შენო. მერე ამ ბიჭმა აღგა, წამოვიდა დედასთან, ძუძუ ამოაღებინა, უკბინა ძუძუზე და უთხრა:

— ვინ იყო ჩემი მამა?

უამბო, ქოროღლი იყო და ეს ხმალი დაგიტოვა, ამ ხმლით მომნახავს მეო.

ადგება, ხმალს დეიკიდავს და წადის ქოროღლის საძებრად. მივა ჩამლიბელში.

ჰოდა, ერთ ბაღჩაში შევა, გუუშვებს ცხენს, თავად დაიძინებს. ამ დროს გზაზე გეიარს ქოროღლი. ნახავს, ვინცხას ძინავს. ქოროღლი გაფითრდება ამაზე. ჩემ შიშით აქ ჩიტი ვერ ფრინავს და ეს

ვინ მოსულაო. უნდა მოკლას, მარა შეეცოდება ახალგაზრდა ბიჭი. დეიწყებენ ჩხუბს. ამ ჩხუბში ბალანა მუუგებს, ამეიღებს ხმალს, უნდა დაკლას. ქოროლლი იცნობს თავის ხმალს, ეტყვის „ნუ მომკლავ, ეს ხმალი სა ნახეო“. ეტყვის ყოლიფერს. გედევხვევიან ერთმანეთს. ამის შემდეგ შეილათაა.

### 9. ბოლიბეგისაგან ქოროლლის დაბყვავება

ერთ სოფელში არის ერთი ბოლიბეგი. ამ სოფელში არის ერთი მეფე. ვასცემს ბრძანებას: — სამი გოგო მყავს და ვინც ქოროლლის მომიყვანს, რომელიც უნდა, მისი იყვეს, ორმოც კაცს ცხენოსანს ორმოც დღე-ღამეს გავატან და მომიყვანოს!

მივა ბოლიბეგი და ეტყვის — მე გავაკეთებ ამ საქმეს.

მეფე დათანხმდება. ბოლიბეგი შემოერთყმება ქოროლლის სახლს. შეიტყოფს ქოროლლი.

ქოროლლის სასახლეში ქონია ციხე. ამ ციხეში ყოფილა ერთი გიყი კაცი სამი წლის დამწყვდეული. ამ კაცს დაპირდება: — ჩადი, დათვალე, რამდენი კაცია, რა იარაღი აქვთ და თუ კარქა დათვლი, ციხიდან გავიშოფ.

ჩევდა ამ კაცმა და თლის. თავი მეიგიყიანა, ყვირის: — ამდენი არიან, ასე ჯიან!

ამევდა ისევ სასახლეში ქოროლლისთან. ბოლიბეგს ახლავს ქოროლლის რომ იცნობს, ისეთი კაცა, ცხენების მომღელი, რომელიც ქოროლლიმ გააგდო.

ამ ქოროლლიმ მიხდა, რომ მე დაჭერილი ვარო. ასწია თესპა, გედეიკიდა კისერზე, ჩევდა მათთან, თავი მეიაფერისტა. ამათმა კითხეს: — შენ ვინ ხარ?

— ქოროლლი აქ არის, საცხა ქეიფობს.

ბოლიბეგმა და იმ კაცმა წეიჩხუბა. ეს ეუბნება „ქოროლლია“, ის ეუბნება „არ არი ქოროლლი“. ამ ნაცნობმა უთხრა: — ჩვენ გარეთ გვედეთ და ეს კაცი თუ შენ სკამზე დაჯდა, ქოროლლია. იგი მტერს ყოველთვის ზევიდან ექცევა.

შემოვიდენ ესენი და ხედავენ, ქოროლლი დამჯდარა ნამდვილათ მის სკამზე. შებოჭეს, დეიჭირეს. წეიყვანეს. ჩევდენ ერთ მინდორზე. ჯარმა ჩამოვდა დასასვენებლათ და ეს თავს იაფერისტებს: „მე არ ვარ ქოროლლი“.

ბოლიბეგმა უთხრა: — ქოროლლისთან ნამსახური ხარ შენ და გეცოდინება, როგორ გააჭენებდა ცხენს, როგორ ხმალს დეიკიდებდაო.

ქოროლიმ უთხრა: — მე არც ცხენზე შეჯდომა ვიცნობ, არც არაფერი, ვერ გავაკეთებ.

ამ ჯარმა ასწიეს და ძალით შესვეს ცხენზე. მიცეს ხმალი, დეიკიდეთ. ქოროლიამ ეილო და წვერით იკიდებს. შესვეს ცხენზე, გაარონიეს, გამოაარონიეს. თითონაც დეიწყო სიარული. ხალხი ზის. ამ ქოროლიმ ისე არონია, რომ ცხენს ყურზე წვეთი გამოუვიდა. მერე ქოროლიმ გეეჭვა და ამათ ცხენზე შეჯდომაში წვედა, გეეჭვა ამ ხალხს და კარგი მანძილი რომ ეილო, გოუსკდა ცხენი.

ქოროლიის სასახლეში მოსწიეს ფინჯანი და ქოროლიის მოსახლებნად წასვლა მოუწია აივაზოლის. ქოროლიის ცხენი სახში იყო. აკიდეს ქოროლიის იარაღი და აივაზოლის უთხრეს: — გაყევი ამ ცხენს და სადაც ქოროლია, იქ მივიყვანს.

